პალეოგენის ბოლოს, დანაოჭების გამო, როგორც კავკასიონის, ისე აჭარათრიალეთის გეოსინკლინში წარმოიქმნა ამაღლებანი, ხოლო მათ შორის (საქართველოს ბელტის ფარგლებში) შეიქმნა დეპრესია, რომელიც დაფარა მიოცენურმა ზღვამ. მთელი ნეოგენის განმავლობაში ეს დეპრესია მარჩნი ზღვითაა დაფარული. თუმცა რხევითი-ეპიროგენეტური მოძრაობანი აღინიშნება როგორც გეოსინკლინურ, ისე ბელტურ ზონებში, ამ მოძრაობებმა განსაკუთრებით უფრო მკვეთრი კვალი დატოვეს საქართველოს ბელტზე, ვიდრე სხვაგან.

ამ დროს საქართველოს ბელტზე ხდება უხეშმარცვლოვანი ტერიგენული მასალის დაგროვება.

შუამიოცენურისწინა ძლიერმა შტირიულმა ფაზისმა გამოიწვია აღმავალი მოძრაობა და რეგრესია. აჭარა-თრიალეთის სისტემისათვის ეს ფაზისი იყო დამთავრებელი, რადგან „მის შემდეგ განვითარების გეოსინკლინური სტადია წყვეტს არსებობას და მთელი რაიონი იქცევა მაღალმთიან ნაოჭა სისტემად“ [3].

ამ მდგომარეობას ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ, რადგან საკვლევი რაიონში შემავალი ბელტის ფარგლებში ნაოჭთაწარმოქმნელი პროცესები გაცილებით უფრო სუსტი იყო, ვიდრე, აჭარა-თრიალეთის არაკონსოლიდირებულ სისტემასა და კავკასიონის სამხრეთ ფერდის გეოსინკლინურ ზოლში. ამ დროს საქართველოს ბელტის ფარგლებში მამდინარეობს ნელი აღმავალი მოძრაობა და რეგრესია. ეს აღმავალი მოძრაობა სწრაფად იცვლება დაღმავალით. რომელთანაც დაკავშირებულია კარგად ცნობილი ჩოკრაკული ტრანსგრესია. ამ დროს იფარება ძირულის მასივის დიდი ფართობი. ჩოკრაკულმა ზღვამ მასივის უფრო მეტი ნაწილი დაფარა, ვიდრე ოლიგოცენურმა. ქანების ფართობული გავრცელებისა და გრანულომეტრული შედგენილობის ანალიზი მიუთითებს ტრანსგრესიის თანდათანობით განვითარებაზე, რამაც მაქსიმუმს სარმატულში მიაღწია. თითქმის მთელი ბელტი დაიფარა წყალმარჩნი ზღვით. ამ დროისათვის დასავლეთ საქართველოს აუზი დაუკავშირდა აღმოსავლეთ საქართველოს აუზს (მუხრან-ტირიფონი). კავშირი დამყარდა როგორც რაჭალეჩხუმის დეპრესიის, ისე ყვირილა-ჩხერიმელის ყურის საშუალებით [3].

ჩ. კანდელაკის მიხედვით, ზედაჩოკრაკული თიხიანი მერგელების შეფერვა დაკავშირებულია სუბაერული გამოფიტული პორფირიტული წყების გადარეცხვასთან. უნდა აღინიშნოს, რომ ძირულის მასივის პერიფერიულ ნაწილში საკმაოდ დიდადაა გაირცელებული ცარცული ვულკანოგენური წყება, რომელ-

საც, ჩემი აზრით, ასევე შეეძლო მიეწოდებინა მიოცენური აუზისათვის უზრუნველყოფის ერული გამოფიტვის პროდუქტები.

ძირულის მასივის უფრო დიდი ნაწილი დაფარა კარგანულმა ზღვამ. საჩხერე-ჭიათურის ზოლში კარგანული ფაციესები შემდეგნაირად არის წარმოდგენილი.

ძირულის მასივის უშუალო სიახლოვეს კარგანული ბაზალური წარმონაქმნები წარმოდგენილია არკოზული, ძირითადად კვარციანი ქვიშაქვებით. ეს ნალექები ძირითადად გავრცელებულია ჭიათურის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მიდამოებში. სანაპირო ზოლის დაშორებით განვითარებულია ფერადი მერგელები და თიხები, ქვიშიანი თიხები, პელიტომორფული ნიჟარიანი ქვიშაქვები.

კონკურში ტრანსგრესია ძლიერდება. მისი ბაზალური წარმონაქმნები, ნ. კანდელაკის მიხედვით, ჭიათურის რაიონში წარმოდგენილია უხეშმარცვლოვანი ბრექჩია-კონგლომერატით, რომელიც ზევით გადადის თიხიან-კოქციანი გრაველიტიან ქვიშაქვებში, ხოლო ჭიათურის საბადოს მიდამოების შედარებით ღრმა ზღვის ზოლში ილექებოდა ქვიშიანი თიხები და ოლითური ქვიშაქვები.

მიოცენური ტრანსგრესია თავისი განვითარებებს მაქსიმუმს აღწევს ქვედა სარმატულში. ამ დროს საკვლევი ტერიტორიის დიდ ფართობზე, სანაპირო ზოლიდან საკმაოდ დაშორებით, ილექებოდა შედარებით ღრმა ზღვის ნალექები. ესენია ნაცრისფერი თიხები და თიხიანი მერგელები. ფაქტობრივი მასალის ანალიზზე საფუძველზე მივხვდებით დასკვნამდე, რომ საკვლევი ტერიტორიის სამხრეთი ნაწილი ქვედა სარმატში მთლიანად ზღვით იყო დაფარული.

შუა სარმატის შემდეგ იწყება ოპო-ლენჩუშის დებრესიისა და ძირულის მასივის ახევიება. ზღვა საბოლოოდ ტოვებს საკვლევი ტერიტორიას და ინაცვლებს დასავლეთისა და აღმოსავლეთისაკენ; კავშირი აღმოსავლეთ და დასავლეთ აუზებს შორის წყდება. ამის შემდეგ ისინი აგრძელებენ დამოუკიდებელ არსებობას და მათში ილექება მძლავრი მიო-პლიოცენური ნალექები.

შუასარმატული ნალექების არსებობა საკვლევი რაიონში სადავოდ ითვლება თანამედროვე შესწავლილობის დონეზე, უფრო მიზანშეწონილად მიიჩნევა დავეუშვა, რომ ქვედა სარმატის შემდეგ ზღვამ საბოლოოდ დატოვა საკვლევი ტერიტორია.

საკვლევი რაიონში პლიოცენური ნალექების არარსებობა არ იძლევა საშუალებას აღვადგინოთ ამ დროის გეოლოგიური ისტორია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
გეოლოგიური ინსტიტუტი
თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 27.4.1962)

Ш. Х. ГЕГУЧАДЗЕ

ГЕОЛОГИЯ

К ПАЛЕОГЕН-НЕОГЕНОВОЙ ИСТОРИИ ГЕОЛОГИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ ВОДРАЗДЕЛА РИОНИ-КВИРИЛА

Резюме

Обработка фактического материала, собранного нами за последние годы с учетом существующих литературных данных, дала возможность уточнить некоторые моменты палеоген-неогеновой истории геологического развития исследованного района.

В палеоцене вся исследованная территория покрыта морем, за исключением Сачхере-Схвиторской полосы. С нижнего палеоцена наблюдается постепенное омеление бассейна—начало регрессии, за которой последовала верхнепалеоценовая трансгрессия.

В приабоке после восходящих движений вновь начинается погружение.

В конце эоцена или в начале олигоцена начинает действовать Пиренейская орогеническая фаза, и наступает регрессия, за которой последовала олигоценовая трансгрессия, ярко выраженная в исследуемом районе.

На сегодняшний день в пределах исследуемой территории сохранилась лишь незначительная часть олигоценовых осадков. Становится ясным, что участков без подрудных песчаников было гораздо больше, чем о них известно в настоящее время.

Первичноокисленные руды связаны со всеми частями бассейна, а не только с прибрежной полосой, как считалось раньше.

По нашему мнению, полоса распространения первичноокисленных руд представляла собой часть обширного мелководного бассейна.

В конце палеогена в результате складкообразования как в Кавказской, так и Аджаро-Триалетской геосинклинали возникли возвышенности, а в межгорье (в пределах Грузинской глыбы) образовалась депрессия, которую залило миоценовое море. Эта депрессия в течение всего неогена была покрыта мелководным бассейном.

Сильная предсреднемиоценовая Штирийская фаза вызвала восходящие движения и регрессию.

После среднего сармата начинается воздымание Рача-Лечхумской депрессии и Дзирульского массива. Море окончательно покидает исследуемую территорию.

დავითგუბიაძის ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. А. Джanelидзе. Геологические наблюдения в Окрибе и в смежных частях Рачи и Лечхума. Тбилиси, 1940.
2. ი. კაკაბაძე. რაჭა-ლეჩხუმის აუზი და მონახდენე რაიონები პალეოგენის დროს. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის შრომები, გეოლოგიური სერია, ტ. II (VII), 1944.
3. П. Гамкrelидзе. Геологическое строение Аджаро-Триалетской складчатой системы. АН СССР. Институт геологии и минералогии. Монографии, № 2. Тбилиси, 1949.
4. А. Бетехин. Промышленные марганцевые руды СССР. 1946.
5. А. Чиковани. О стратиграфии и фациях третичных отложений северной периферии Дзирульского массива. Труды Геологического инст. АН СССР БОМ XII (XVII). Тбилиси, 1961.



ახალი მონაცემები ღუშეთის რაიონის ტუტე ტრაქიტული ქანების შესახებ

(წარმოადგინა აკადემიკოსმა გ. ძოწენიძემ 17.1.1962)

1932 წ. რ ე ნ გ ა რ ტ ე მ ა პირველმა მიუთითა [1] ღუშეთის რაიონში ტრაქიტების არსებობაზე (მდ. სამანისხევი). მან ისინი მიაკუთვნა ქვედაეოცენური „ბრექჩიების პორიზონტის“ ლოდნარისებრ წარმონაქმნებს. უკანასკნელ ხანს ამ ქანებმა კვლავ მიიპყრეს გეოლოგების ყურადღება [2, 3] და ახლა უკვე შეიძლება ლაპარაკი ამ ქანების გავრცელების სუბვანედურ ზოლზე, რომელიც გაიდევნება ცალკეული გამოსავლების სახით 15 კმ მანძილზე აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით სოფ. ეთვალისიდან სოფ. ტონჩამდე. ტრაქიტების გავრცელების რაიონი შეეკუთვნება მუხრან-ტირიფონის ტექტონიკური ქვეზონის ჩრდილოეთ პერიფერიას [4]. აქ გვხვდება ნალექები იურულიდან დაწყებული პლიოცენურ ასაკამდე ჩათვლით. მასში შემავალი ქანების ფაციალურ-ლითოლოგიური ნაირსახეობა განისაზღვრება საკვლევი რაიონის მდებარეობით სამხრეთი ფერდის გეოსინკლინისა და საქართველოს ბელტის საზღვარზე [5, 6, 7, 8].

სოფ. ეთვალისში გამიშვლებული ტუტე ტრაქიტები აღწერილი აქვთ ნ. ს. ხ ი რ ტ ლ ა ძ ე ს და ნ. მ რ ე ვ ლ ი შ ვ ი ლ ს [2], მათვე აქვთ აღნიშნული ტრაქიტების გამოსავლები სოფ. მგლიანთან და მოცემული მათი მოკლე დახასიათება.

ქვემოთ მოყვანილია ტუტე ტრაქიტული პორფირების აღწერა სოფლების მგლიანისა და ტონჩას მიდამოებიდან, რაც რამდენადმე ავსებს აქამდე არსებულ ცნობებს მათ შესახებ.

სოფელ მგლიანის ჩრდილო ნაწილში იურული და ზედაეოცენური ასაკის ნალექების კონტაქტის ზონაზე მდებარეობს ტუტე ტრაქიტული პორფირის საკმაოდ დიდი დაიკისებრი სხეული. დაიკის საგებ გვერდში ბაიოსის ავეიტ-ლაბრადორიანი პორფირიტი და ქვიშაქვიან-თიხიანი ნალექებია გავრცელებული. ამ ქანების დიდი ზომის (დიამეტრით 2—3 მ) ქსენოლითებს ვხვდებით ამონთხეულ ქანებში. სახურავი გვერდი წარმოდგენილია ზედაეოცენური ტრანსგრესიული, წვრილ-ქვარგვალის კონგლომერატის შრით, რომელიც შეიცავს ტუტე ტრაქიტული პორფირების ქვარგვალებს.

სოფ. ტონჩას მიდამოებში ფიქსირებულია ტუტე ტრაქიტული პორფირების ორი გამოსავალი: ერთი—სოფლის ბოლოს ჩრდილო დასავლეთი მიმართულებით, ხოლო მეორე 700 მეტრით უფრო დასავლეთით.

ორივე შემთხვევაში ამონთხეული ქანები მდებარეობენ ლიასური ასაკის ქვიშაქვიან-თიხიან ნალექებში [5]. დასავლეთ ნაწილის გამოსავალი გაიდევნება 100 მეტრის მანძილზე, რომლის ხილული სიმაღლავრე 10 მეტრამდეა.

ტუტე ტრაქიტული პორფირები ორივე უბანზე წარმოდგენილია მასიური ჭურბ-ნაცრისფერი ქანებით, რომელთაც ვარდისფერი ან მომწვანო ელფფერი

დაუყვებათ. ჩვეულებრივ ესენი ფანერიტებია ევპორფირული სტრუქტურით. პერიფერიულ ნაწილში შეიმჩნევა ფარულკრისტალური აფირული და პორფირულიდან მათკენ გარდამავალი სტრუქტურები. მიკროსკოპის ქვეშ შეიმჩნევა ყველა გადასვლა პორფირისებრიდან პორფირულისა და მიკროლითური სტრუქტურისაკენ; ძირითადი მასის სტრუქტურა ცვალებადობს ტრაქიტოიდულიდან ტიპობრივ ტრაქიტულამდე ფლუიდალური ტექსტურით.

ქანში იაფი გვრცელებით სარგებლობს ანორთოკლაზი; მას ქანის 75—85% უჭირავს. იგი ჰქმნის როგორც პორფირულ გამონაყოფებს, ასევე მიკროლითებს.

მინერალის ობტიკური თვისებები ($n_{Ng}=80^\circ$, $Nm=12^\circ$, $Np=85^\circ$; $2V=43^\circ$; $n_{\omega}=1,524 \pm 0,001$), ასევე ქიმიური ანალიზის გადათვლის შედეგები მოწმობს, რომ მის შემადგენლობაში შედიან ალბიტისა და ორთოკლაზის მოლეკულები თანაბარი რაოდენობით. ანორთოკლაზის კრისტალები თავისთავად წარმოდგენენ დაშლის მიკროპერტიტებს. შეიმჩნევა ტენდენცია კრისტალების პერიფერიულ ნაწილზე შემადგენელი ნატრიუმის დაგროვებისა. ზოგ შემთხვევაში ალბიტის გამონაყოფები პოლისინთეტურად დამრჩობლილია, ანორთოკლაზი, როგორც წესი, პელიტიზებულია.

ეგირინი ჩვეულებრივ სხეულის შიდა ნაწილებთანაა დაკავშირებული. ზალბანდებთან ის ნელ-ნელა იცვლება კარბონატულ-ბიოტიტური წარმონაქმნით. ეგირინი იკავებს ქანის მოცულობის 5% და წარმოდგენილია ცუდად განვითარებული წვრილი წარბეჭელებული კრისტალების სახით, ახასიათებს პლეოქროიზმი ღია მწვანედან უფერომდე.

აბსორბციის სქემა ასეთია: $Np' > Nm' > Ng'$; წაგრძელებას თანხვდება ინდიკატრისის ღერძი Np . ჩაქრობის კუთხე, გაზომილი Np -სთან, 0° -ის ტოლია. გარდატეხის მაჩვენებელი $Np > 1,734$. კუთხე ტყეჩადობის ბზარებს შორის უტოლდება სწორს.

ქანში თითქმის ყოველთვის არის ანალციმი. ცალკეულ შლიფებში მისი შემცველობა 10% აღწევს (მინერალი ობტიკურად იზოტროპულია, უფერო $n=1,488 + 0,001$. ტყეჩადობა კუბის მიმართ). იგი ავსებს სიციარიელებს ანორთოკლაზის კრისტალებს შორის, რომელნიც ხშირად კუთხური ფორმისაა. უფრო იშვიათად ანაცვლებს ანორთოკლაზს უსწორმასწორო ქერცლების სახით.

სამანისხევში სხეულის სახურავის ახლოს შეიმჩნევა იშვიათი წვრილი ფსევდომორფოზები მინერალური აგრეგატისა, რომელიც შემოსაზღვრულია ოპაციტური რკალით.

აქცესორული მინერალები წარმოდგენილი არიან 0,2—0,3 მმ-ის აპატიტის პრიზმული კრისტალებით.

მადნეული მინერალები ჰემატიტისა და პირიტის ჩანაწინწკლებია.

ამონთხეული ქანების ქიმიური ანალიზის შედეგები უახლოვდება ტუტე ტრაქიტული პორფირების ტიპობრივი ანალიზების შედეგებს [9, 10]; მათთვის დამახასიათებელია K_2O სიჭარბე Na_2O -ზე, რაც აიხსნება კალიუმის შედარებით მაღალი შემცველობით ანორთოკლაზში; დამახასიათებელია აგრეთვე CaO შედარებითი ხილარობე, რომლის შემცველობა ცალკეულ სინჯებში მერყეობს. ეს გარემოება აიხსნება ქანის კარბონატიზაციით.

სოფ. ტონჩის მიდამოების ნიმუშებში რკინის ზეჟანგის გადასვლა ქანგში პოსტმაგმური შეცვლით უნდა აიხსნას.

ქანის სპექტრალური ანალიზის მონაცემების მიხედვით მინარეგების სახით გვხვდება: ცირკონიუმი, ნიობი, სპილენძი, ცინკი, გალიუმი, სტრონციუმი და სხვა.

ცხრილი 1

ნიმუშების იღების ადგილის დასახელება	კომპონენტების შედგენილობა წონით %-ით												ძირითადი საპროტეოტო ჩრეტებები ვ. ა. კონსტრუქციის მიხედვით				ძირითადი ნორმატიული მარკალების შეზღუდვების წონით %-ით			
	SiO ₂	TiO ₂	Al ₂ O ₃	Fe ₂ O ₃	FeO	MnO	MgO	CaO	Na ₂ O	K ₂ O	P ₂ O ₅	H ₂ O	A	C	M	Q	Ac	Or	Ab	Am
	სამანისწყვი	60.80	0.32	18.10	1.81	2.77	0.20	0.26	0.13	5.4	7.0	0.04	0.14	53.04	0.20	9.36	37.42	4.01	41.46	42.67
სამანისწყვი	59.0	0.32	18.20	1.41	3.49	0.17	0.49	1.81	5.20	6.60	0.04	0.10	49.94	1.7	9.3	36.56	4.03	39.39	38.24	4.45
სოფ. ტონა	69.66	0.19	19.36	1.94	—	0.11	—	0.45	4.6	8.0	0.02	0.36	41.25	0.44	11.1	32.99				
სოფ. ტონა	61.32	0.18	20.39	3.53	—	0.10	0.13	0.14	4.6	7.2	0.06	0.56	48.50	0.16	11.92	38.66				
სოფ. კოველისი (2)	57.54	0.13	19.26	3.68	0.06	0.15	0.29	3.89	4.22	5.55	0.12	3.52	43.92	9.31	5.78	41.1				
ტონა ტრაქიტული პოფიროსი საბულო დელის მიხედვით	62.63	0.62	17.06	3.01	1.98	0.13	0.63	1.51	6.26	5.37	0.09	0.71	53	1	8	38				

შენიშვნა: განვარტება ნორმატიულ მარკალებზე სოფ. ტონას ნიმუშებიდან არ მიხერბდა მათი ჰიდროქსიმაღვრად ძლიერი შედუღის გამო.

პოსტმაგმური შეცვლა გამოხატულია პლაგიოკლაზის და, როგორც ჩანს, ანორთოკლაზისაც. ჩანაცვლებით წვრილქერცლოვანი მინერალური აგრეგატი. ეს აგრეგატული წარმონაქმნი შედგება უფრო, ღია მურა და მწვანე ფერის მინერალისაგან; გამჭვირვალე ქერცლები ხასიათდება უფრო მაღალი გარდატეხის მაჩვენებლით ($n_{\text{მა}} = 1.581 \pm 0.002$) და ორმაგი გარდატეხის ძალით ($0.010 - 0.012$); წაგრძელება დადებითია, რაც საფუძველს ევპოლეს მიეკუთვნება. იგი დელესიტის ტიპის ქლორიტებს. ღია მწვანე ფერის ქერცლებს შედარებით დაბალი გარდატეხის მაჩვენებელი ($n_{\text{მა}} = 1.562 \pm 0.002$) და ორმაგი გარდატეხის ძალა აქვთ (მუქი ნაცრისფერი შეფერვა პირველი რიგისა); როგორც ჩანს, ისინი პენინს მიეკუთვნებიან. ამ მინერალურ აგრეგატში არ არის გამოირჩეული სერიციტის არსებობა, რადგან შედარებით დიდ ქერცლებს ახასიათებს წითელი და ლურჯი ინტერფერენციის ფერები. ჩვეულებრივ ქლორიტის ქერცლები განლაგებული უწესრიგოდ. ქმნის რადიალურ-სხივოსნურ და რიბეტისებურ წარმონაქმნებს, ცალკეულ შემთხვევებში ქლორიტებში შეიმჩნევა პოლისინთეტურად დამრჩობლილი პლაგიოკლაზების რელიქტები.

სოფ. ტონჩასთან მდებარე უბანზე მსგავს მინერალურ წარმონაქმნთან, რომელიც ძირითადად პენინთაა წარმოდგენილი. ხშირად ასოციაციაშია შედარებით სალი წვრილი ქსენომორფული დაუმრჩობლავი ანდეზინის № 34—35 მარცვლები, რომლებშიც სერიციტის ერთეული ქერცლებია გაჩენილი. მასვე უკავშირდებიან სივრცობრივად რკინის ჰიდროქსიდი და კარბონატის პატარა დაგროვებანი. თუ მხედველობაში მივიღებთ ამ მასაში ეგვირინის რელიქტების არსებობას, ის ეგვირინის შეცვლის პროდუქტად უნდა ჩავთვალოთ.

საერთოდ, ეგვირინისათვის ამ ქანებში უფრო დამახასიათებელია შეცვლა კარბონატულ-ბიოტიტური მასით. იგი თავის მხრივ წარმოდგენილია წვრილმარცვლოვანი კარბონატით და ბიოტიტის სუბმიკროსკოპული ნაწილაკებით. ჩვეულებრივ მათთან ასოციაციაშია ბიოტიტის წვრილა უსწორმასწორო ფორმის ქერცლები, ღიადაც მუქმწვანემდე პლექტრონიკით, ქლორიტი, წარმოშობილი მინდვრის შპატის ხარჯზე, მადნეული მინერალი და აპატიტი.

საჰანისხევის ამონთხეულ ქანებში გვხვდება მათი შემცველი ბაიოსის გულკანოგენური ქანების ქსენოლითები. ფენოკრისტალები ქსენოლითებში შეცვლილია კარბონატით ან ქლორიტულ-სერიციტული მასით. ძირითად მასაში გაჩენილია კარბონატის წვრილი მარცვლები, მწვანე ბიოტიტის ქერცლები, იშვიათად ანალიმი. ზოგჯერ კარბონატთან ერთად გვხვდება აპატიტის უამრავი წვრილი კრისტალი და მურა ბიოტიტის ქერცლები.

შეცვლილი ქანები დასეროლია პირიტის, კარბონატისა და კვარცისაგან შემდგარი წვრილი (1 მმ-მდე) ძარღვაკებით. ცალკეულ უბნებზე ისინი ჰქმნიან ხშირ ბადეს, რაც ქანს ბრექჩიის სახეს აძლევს. ჩვეულებრივ ძარღვაკები ხშირდებიან სხეულის საგებ გვერდთან.

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: სოფლების ეთვალისის, მგლიანისა და ტონჩას მიდამოებში განვითარებულია მსგავსი ქანები, წარმოქმნილი საერთო მაგმური პროცესით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი მიეკუთვნებიან ჰიპაბისურ მაგმურ წარმონაქმნებს და წარმოადგენენ დაიკებს ან შრეებრივ სხეულებს. პეტროგრაფიულად ისინი ძლიერ ახლოს დგანან გურიის ანალიმიან ტრაქიტებთან, რომელნიც თ. ყ ა ზ ა ხ ი შ ვ ი ლ ს [11] აქვს აღწერილი.

დამოკიდებულება ტუტე ტრაქიტულ პორფირებსა და შემცველ ქანებს შორის განსაზღვრავს მათი ფორმირების დროს როგორც ბაიოსის შემდგომი—ზედა ეოცენამდელი.

უფრო სწორი იქნება ისინი ჩავთვალოთ ზედაიურულად, რომლებიც წარმომობილნი არიან ბათური ოროგენის შედეგად დანაოკებულ ბაიოსზე. ასეთებს ვხვდებით ქ. ქუთაისის მიდამოებში, სადაც ზედაიურული ფერადი წყება შეეცავს ოლიგენიანი ბაზალტების, ტრაქიბაზალტების და ტრაქიტების ფენებს [12].

პეტროლოგიური თავისებურებები ახასიათებენ ქანებს როგორც პოსტოროგენულ წარმონაქმნებს, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ზედმეტი საბუთი აღნიშნული რაიონის ბაიოსურის შემდეგდროინდელი ისტორიის მიკუთვნებისა საქართველოს ბელტისადმი და არა საქართველოს სამხრეთ ფერდის გეოსინკლინისადმი [12].

მინერალური ნედლეულის
 კავკასიის ინსტიტუტი
 თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 18.1.1962)

ПЕТРОГРАФИЯ

А. А. НОСОВ

НОВЫЕ ДАННЫЕ О ЩЕЛОЧНЫХ ТРАХИТОВЫХ ПОРФИРАХ ДУШЕТСКОГО РАЙОНА

Резюме

В работе приводится петрографическое описание щелочных трахитовых порфиров, распространенных на северной периферии Мухранско-Тирифонской тектонической подзоны в районе сс. Этвалиси, Мглиани и Тонча. Описанные щелочные трахитовые порфиры представляют собой фанериты с эвпорфировой структурой. Они сложены анортотклазом (75—85%), альцимомом (до 10%), эгирином (до 5%), апатитом и рудными минералами — гематитом и пиритом. Кристаллы анортотклаза образуют микропертиты распада, в состав которых входят в равных количествах альбитовая и ортоклазовая молекулы. Для пород характерно преобладание K_2O над Na_2O в отличие от обычно наблюдаемых обратных взаимоотношений. Отмечается относительная бедность CaO . В качестве элементов — примесей содержатся: цирконий, ниобий, медь, ванадий, галлий, стронций и др.

Характерные постмагматические изменения выражены замещением полевого шпата мелкочешуйчатым агрегатом деллесита и пеннинна, эгирин чаще всего замещается карбонат-биотитовой массой.

На основании проведенных исследований мы приходим к выводу, что в окрестностях сс. Этвалиси, Мглиани и Тонча развиты сходные породы, образованные в результате общего магматического процесса. По петрографическому облику эти породы близки альцимовым трахитам Гурни.

Взаимоотношения щелочных трахитовых порфиров с вмещающими породами определяют время их формирования как послелайосское до-верхнеэоценовое. Вероятнее всего, их следует считать верхнеюрскими, образовавшимися на складчатом байоссе после батской орофазы.

Петрологические особенности пород характеризуют их как пост-орогенные образования, что может быть использовано в качестве лишнего довода в пользу отнесения постбайосской истории данной области к Грузинской глыбе, а не к геосинклинали южного склона.

დავითიანი ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. В. П. Ренгартен. Геологический очерк... Труды ВГРО ВСНХ, в. 148, М.—Л., 1932.
2. Н. И. Схиртладзе, Н. И. Мревлишвили. О трахитах Душетского района. Сообщения АН ГССР, том № 6, 1961.
3. А. А. Носов. О щелочных трахитовых порфирах Душетского района. Автоаннотации докладов на научной сессии, посвященной 40-летию установления Советской власти в Грузии. КИМС, 1961.
4. П. Д. Гамкrelidze. Основные черты тектонического строения Грузии. Труды Геол. института. Геол. серия, том X (XV). Изд. АН ГССР, 1957.
5. Ш. А. Адамия. Материалы о геологическом строении предгорий Большого Кавказа между бассейнами рек Малой Лиахвы и меридианом г. Душети. Изд. АН ГССР, 1958.
6. Д. А. Булейшвили. Геология и нефтегазоносность межгорной впадины Восточной Грузии. 1960.
7. Н. И. Мревлишвили. Фауна и стратиграфия палеогена Душетского района. Автореферат, 1956.
8. Н. И. Мревлишвили. Геологическое строение предгорий Большого Кавказа в Душетском районе. Труды Геол. института. Геол. сер., том X (XV). Изд. АН ГССР, 1957.
9. А. Н. Заварицкий. Изверженные горные породы. Изд. АН СССР, 1955.
10. Е. А. Кузнецов. Петрография магматических и метаморфических пород. Изд. Моск. университета, 1956.
11. Т. Г. Казахишвили, П. Н. Топурия. Неонитрузии ущелья р. Супсы Труды Груз. отд. ВИМС, вып. 2, 1938.
12. Г. С. Дзоценидзе. Домиоценовый эффузивный вулканизм Грузии. Изд. АН ГССР, 1948.

ბალეობიოლოგია

ჟ. დოლიძე და ლ. ბალიძე

კოლხეთის სუროს ბიოლოგიური ისტორიისათვის

(წარმოადგენს აკადემიკოსმა ლ. დავითაშვილმა 21.6.1962)

1961 წელს ფ. მჭედლოშვილმა ვადმოგვცა მის მიერ 1957—1958 წწ. საველე მუშაობის დროს ახალციხის რაიონში შეგროვილი პალეობოტანიკური მასალები. ნიმუშები აღებული იყო მდ. ფოცხოვჩაის მარჯვენა ნაპირზე სოფელ ვალედან 2 კილომეტრის დასავლეთით მდებარე ჭრილდან (თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე სოფ. სტეფანწმინდის გასწვრივ).

ნამარხი ფლორა დატულია თეთრ-მონაცრისფრო ტუფოგენურ ნალექებში, რომელიც გოდერძის წყების გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს. მცენარეული ნაშთები უხვადაა წარმოდგენილი საკმაოდ კარგი დატულობის ფოთლების ანაბეჭდების სახით. მათ შორის აღმოჩნდა შტუფი ერთი ტიპის ფოთლის სამი საყურადღებო ანაბეჭდით, რომლებიც განვსაზღვრეთ და მივაკუთვნეთ გვარ სუროს — *Hedera* ფოთლის პირველი ორი ანაბეჭდი ერთნაირია (იხ. სურ. 1 და 2) ფორმით უკუკვერცხისებრ-რომბული, სიგრძე 7—7,5 სმ, მაქსიმალური სიგანე ფოთლის ზედა მესამედში 5—5,6 სმ. მესამე ფოთლის ანაბეჭდი ოდნავ განსხვავებულია, ფორმით უფრო მომრგვალოა და მისი სიგრძე და სიგანე დაახლოებით 6 სმ უდრის.

სამივე ფოთლის ფუძე ფართო სოლისებურია, წვერო კი მოკლედ წამახვილებული. ფოთლები კიდემთლიანია, ოდნავ ტალღოვანი. ნერვატია მკვეთრადაა აღბეჭდილი. ფოთლის ანაბეჭდებს აქვთ სამი ბაზალური ძარღვი, რომელთა შორის ცენტრალური ძარღვი მძლავრია და გამკვეთი. მისგან 23—30°-იანი კუთხით, ფუძიდან მკირე მანძილის დაშორებით, გამოდიან გვერდითი ბაზალური ძარღვები, რომლებიც სიმძლავრით ცენტრალურ ბაზალურ ძარღვს არ ჩამოუვარდებიან, მიემართებიან სწორად ფოთლის ზედა მესამედში, სადაც ჩანგლისებურად იტოტებიან და გვერდით ძარღვებთან დიდი ზომის გრძელ მარყუჟებს წარმოქმნიან. ფოთლის ფუძისეულ ნაწილში შეიმჩნევა კიდევ ერთი წყვილი ძლიერ ფაქიზი ბაზალური ძარღვი, რომელიც მიჰყვება ფოთლის კიდეს და მის შუა ნაწილში იკარგება.

ფუძიდან 2,5—3 სმ-ის დაცილებით ცენტრალური ბაზალური ძარღვიდან მორიგეობით გამოდის 2 წყვილი გვერდითი ძარღვი. ისინი ერთმანეთისაგან დაცილებული არიან 1,5—2 სმ-ით, მიიმართებიან ზემოთ და ფოთლის კიდებთან იტოტებიან. გვერდითი ბაზალური ძარღვებიდან ფოთლის კიდის მხარეს

გამოდიან ჩანგლისებურად განშტოებული მეორე რიგის ძარღვები. ანაბეჭდებზე გამოხატულია აგრეთვე მესამე რიგის და უფრო წვრილი ძარღვებისაგან შემდგარი პოლიგონალური ბადე.



სურ. 1



სურ. 2

აღწერილი ნიმუშების დეტალურმა შედარებამ ნამარხ და რეცენტულ მცენარეებთან საეხებით დაამტკიცა, რომ ისინი მიეკუთვნებიან გვარ სუროს *Hedera*. მაგრამ დღემდე ცნობილი ნამარხი სუროებისაგან, განსაკუთრებით კი გადაშენებული სახეობებისაგან, ვალეს ტუფოგენური ნალექებიდან აღწერილი ანაბეჭდები მკვეთრად განსხვავდებიან როგორც ფოთლების ფორმით, ისე ნერვაციის ხასიათით. ასეთ მკვეთრად განსხვავებულ ნამარხ სუროებს ეკუთვნიან საბჭოთა კავშირის ცარტულ და მესამეულ ნალექებში ცნობილი სახეობები: *Hedera Maclurii* Heer (სახალინის და კამჩატკის ზედაცარტული და პალეოცენური ნალექებიდან); *Hedera primordialis* Heer (სახალინის ცარტული ნალექებიდან); *Hedera ochotica* Krysch. (ლენა-კოლიმის ზედაცარტული ნალექებიდან); *H. cf. cuneata* Heer (სახალინის მესამეულიდან); *H. Eichwaldii* Palibine (ვოლგა-დონის და ტიმის პალეოგენური ნალექებიდან); *H. Maquarrii* Heer (უსურიისა და დე-ფრიზის ნახევარკუნძულის პალეოგენური ნალექებიდან); *H. paleocenica* Krassnow. (ქვედა ვოლგისპირეთის პალეოგენიდან); *Hedera auriculata* Heer (ზედა ოლიგოცენური ნალექებიდან — ბაიკალის მახლობლად).

ვალედან აღწერილი ნიმუშები როგორც ფორმით, ისე ნერვაციის ტიპით მკვეთრად განსხვავდებიან *Hedera helix* L. — ჩვეულებრივი სუროს როგორც

განამარხებული, ისე რეცენტული ფორმებისაგან. *H. helix* L.-ის ნამარხი ფორმები ცნობილია საქართველოს პლიოცენური ნალექებიდან; სოხუმის რაიონის სოფ. მეორე ათარას კიმერიულ [1], სოხუმის მთის ზედაპლიოცენური და მეოთხეული [2] და გურიის ჩაუდური შრეებიდან [3, 4]. *Hedera helix* L. ამაჟამად ფართოდ არის გავრცელებული შუა და სამხრეთ ევროპაში და მცირე აზიაში. კავკასიის *Hedera helix* L. ა. პოიარკოვამ გამოყო დამოუკიდებელ სახეობად *Hedera caucasigena* Pojark., რომელიც ძირითადად გავრცელებულია დასავლეთ იმეირკავკასიასა და დასავლეთ ამიერკავკასიაში, მაგრამ ამ უკანასკნელთანაც ჩვენი ნიმუშები ნაკლებ მსგავსებას იჩენენ.

ვალედან აღწერილი ანაბეჭდები ემსგავსება რეცენტულ *Hedera colchica* C. Koch., რომელიც განამარხებული სახით ცნობილია საქართველოს პლიოცენური ნალექებიდან. სოხუმის რაიონის სოფ. მეორე ათარას კიმერიული [1], სოხუმის მთის ზედაპლიოცენური და მეოთხეული [2], გურიის ჩაუდური [3, 4] და სამხრეთ კახეთის აღზავილური ნალექებიდან [5]. მსგავსება ჩვენს ნიმუშებსა და *Hedera colchica*-ს ნამარხ ფორმებს შორის გამოიხატება ფოთლების ზომებითა და მოყვანილობით, ფოთლის კიდის, წვეროსა და ფუძის ერთგვარობით. ამავე დროს ვალეს სუროს ნარჩენები *Hedera colchica* C. Koch.-ველა დღემდე ცნობილი განამარხებული ფორმისაგან განსხვავდება ფოთლის ნერვაციის თავისებურებით. ეს განსხვავება განსაკუთრებით გამოიხატება გვერდითი ბაზალური ძარღვების სიმძლავრით და დახრილობის კუთხით ცენტრალური ბაზალური ძარღვის მიმართ. *Hedera colchica*-ს დღემდე ცნობილ ნამარხ ფორმებში გვერდითი ბაზალური ძარღვები ცენტრალურთან ქმნიან 10—12°-იან კუთხეს, ხოლო ჩვენს ნიმუშებზე ეს კუთხე განისაზღვრება 23—30°-ით. ვალედან აღწერილ ანაბეჭდებზე გვერდითი ბაზალური ძარღვები სიმძლავრით ჰთავარ ძარღვს არ ჩამოუვარდებიან, ხოლო საქართველოს პლიოცენური ნალექებიდან ცნობილ *H. colchica* C. Koch. ნამარხ ფორმებში გვერდითი ბაზალური ძარღვები ბევრად უფრო სუსტადაა განვითარებული და ამასთან მათი რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე ვალეს ნამარხ სუროზე.

ნიმუშები შევადარეთ აგრეთვე კავკასიაში გავრცელებულ რეცენტულ სუროებს *H. Pastuchovii* G. Woron. და *H. colchica* C. Koch.

H. colchica გვხვდება დასავლეთ იმეირკავკასიაში. დასავლეთ ამიერკავკასიაში, აღმოსავლეთით სურამის ქედამდე, სამხრეთ ბალკანეთსა და მცირე აზიაში, *H. Pastuchovii* G. Woron. კი მხოლოდ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში (თიანეთის ქედი, ზაქათალას, ნუხის, ლენქორანის რაიონები) და ირანში.

ვალედან მოპოვებული სუროს ანაბეჭდები მსგავსებას იჩენენ *Hedera colchica* C. Koch. ფოთლებთან.

H. Pastuchovii-ს ძირითადად ლანცეტისებური ფოთლები აქვს, ხოლო უკუკვერცხისებური, ფოთლის ზემო მესამედში გაფართოებული ფოთლები მძლავრად განვითარებული ძარღვებით, როგორც ეს ვალეს ნამარხ სუროს ახასიათებს, იშვიათად გვხვდება.

H. colchica C. Koch.-ს ფოთლის მრავალ ფორმას შორის ქარბობს სწორედ უკუკვერცხისებური ფორმის ფოთლები, მაგრამ მათი ზედა მესამედის გაფართოება ისეთი დიდი ზომით, როგორც ეს ვალედან მოპოვებულ განაშრხებულ ნიმუშებზეა გამოხატული, იშვიათად შეინიშნება.

Hedera colchica C. Koch.-ს ფოთლების ზოგი ეგზემპლარი ჩვენს ნიმუშებს ემსგავსება ნერვაციითაც. ჩვენს ნიმუშებსა და რეცენტულ *H. colchica* C. Koch.-ს შორის მსგავსება გამოიხატება გვერდითი ძარღვების დატოტიანების ხასიათით. ორივე შემთხვევაში მათი ჩანგლისებური განშტოებები ქმნიან გრძელ მარყუჟებს. ასევე მსგავსია მესამე რიგის ძარღვებისა და წვრილი პოლიგონალური ბადის აგებულება, მაგრამ *Hedera colchica* C. Koch. რეცენტული ფორმები ვალეს სუროს განამარხებული ფოთლის ანაბეჭდებისაგან განსხვავდება გვერდითი ძარღვების მეტი რაოდენობით (4—5 წყვილი) და დატოტიანების მეტი სიხშირით. ამასთანავე რეცენტულ ფორმებში გვერდითი და ბაზალური ძარღვები სიმძლავრითა და განვითარებით ერთმანეთისაგან თითქმის არ განსხვავდებიან და ამიტომ არ ქმნიან მკვეთრად გამოხატული ბაზალური ნერვაციის შთაბეჭდილებას, რაც ასე ნათლად ჩანს ვალეს განამარხებულ ნიმუშებზე.

ამრიგად, ვალეს ანაბეჭდების შესწავლამ საესებით დადასტურა მათი გვარ *Hedera*-სადმი მიკუთვნება ფოთლის ყველა დიაგნოსტიკური ნიშნის მიხედვით. ამავე დროს ცხადი ვახდა სიახლოვე და მსგავსება *H. colchica* C. Koch.-თან, თუმცა მათი გაიგივება მაინც არ მიგვაჩნია დასაშვებად.

H. colchica C. Koch. ა. პოიარკოვამ მიაკუთვნა მწკრივ *Robustae* Pojark.-ს. ამავე მწკრივში მან გააერთიანა ახალი სახეობა *Hedera robusta* Pojark. [6], რომელიც დადგენილ იქნა ა. პოიარკოვას მიერ პოტანინის მასალების მიხედვით სანხრეთ-დასავლეთ ჩინეთიდან (სიჩუანის პროვინცია). *H. colchica* C. Koch. და *H. robusta* Pojark. ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ უმნიშვნელო დეტალებით. კერძოდ *H. robusta* Pojark.-ს ჩვეულებრივად უფრო წაგრძელებული ფორმის ფოთლები ახასიათებს კოლხეთის სუროსთან შედარებით, ხოლო მათი მაქსიმალური სიგანე ფოთლის შუა ან უფრო ქვევით იმყოფება. ამიტომ ვალეს სუროს თანაბარ ფარგლებში ამგვარებს მსგავსებასა და განსხვავებას ორივე ზემოაღნიშნულ სახეობასთან.

H. colchica C. Koch. და *H. robusta* Pojark.-ს გათიშული არეალები, მათი დიდი მსგავსება და ნათესაობა კიდევ ერთხელ ამტკიცებს კოლხეთისა და ჩინეთის ფლორისტულ კავშირს გეოლოგიურ წარსულში, ხოლო ვალეს სუროს თანაბარი მსგავსება და განსხვავება ამ ორი სახეობისაგან მიუთითებს, რომ იგი მათი წინაპარი სახეობაა, რომლისგანაც წარმოიშვნენ *H. colchica* C. Koch. და *H. robusta* C. Koch. ამიტომ ვალეს სურო გამოყოფილი უნდა იქნეს ახალ სახეობად, როგორც მწკრივ *Robustae* Pojark.-ს საწყისი წინაპარი ფორმა. ადგილსამყოფელის მიხედვით ამ ახალ სახეობას ვუწოდებთ *Hedera meschetica* sp. n.

Hedera meschetica sp. n. ნაპოვნია გოდერძის წყების ანალოგიურ ნალექებში და ამიტომ მისი ასაკი პლიოცენურად უნდა მივიჩნიოთ [7, 8, 9, 10].

პლიოცენიდანვე ცნობილია ტიპობრივი *H. colchica* C. Koch. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ *Hedera meschetica* sp. n. არსებობდა ბევრად უფრო ადრე (მიოცენში და ალბათ პალეოგენშიც). ადრე შესამეულ დროს *Hedera meschetica* sp. n. ალბათ გავრცელებული იყო დიდ სივრცეებზე კავკასიიდან ჩინეთამდე, რასაც აშკარად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ შუალედ ტერიტორიებზე *H. colchica* C. Koch. და *H. robusta* Pojark.-ს შორის მწკრივ *Robustae* Pojark.-ს წარმომადგენლები არ მოიპოვებიან. უნდა ვიფიქროთ, რომ ვალეს ტუფოგენურ ნალექებში *Hedera meschetica* sp. n.-ს პოვნა მაჩვენებელია მისი გადაშენების დროის ბოლო მონაკვეთების, ხოლო იგივე დრო მაუწყებელია საქართველოში მისი შთამომავლის *H. colchica* C. Koch.-ს განვითარებისა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
 პალეობიოლოგიის ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 21.6.1962)

ПАЛЕОБИОЛОГИЯ

Ж. Ш. ДОЛИДЗЕ И А. Т. ЧЕЛИДЗЕ

К ГЕОЛОГИЧЕСКОЙ ИСТОРИИ КОЛХИДСКОГО ПЛЮЩА

Резюме

В 1961 году П. А. Мчедlishvili передал нам отпечатки листьев, собранные им в 1957—1958 гг. в Ахалцихском районе у с. Вале р. туфогеновых отложениях, которые являются аналогами нижней части годердзской свиты.

Среди многочисленных палеоботанических образцов находится один штуф с тремя однотипными отпечатками листьев. Их детальное сравнение с рецентными и ископаемыми формами подтвердило принадлежность этих отпечатков листьев к роду *Hedera* L. Наибольшее сходство они обнаруживают с рецентными формами *Hedera colchica* C. Koch., произрастающего в Грузии, и с китайским *Hedera robustae* Pojark. Эти два вида плюща отличаются друг от друга едва заметными морфологическими признаками. А. И. Пояркова объединяет их в один филогенетический ряд — *Robustae* Pojark.

Разобширенные ареалы этих плющей, их большое сходство и родство еще раз доказывают флористическую связь Колхиды и Китая в геологическом прошлом, а одинаковые признаки сходства и различия наше-



го ископаемого плюща с этими двумя рецентными видами указывают на то, что он является предковой формой, от которой образовались *H. colchica* и *H. robustae*. Поэтому плющ из Вале выделен в новый вид и назван *Hedera Meschetica* sp. n.

В плиоценовых отложениях Грузии встречены остатки типичного колхидского плюща *H. colchica* С. Koch., поэтому надо полагать, что *H. colchica* существовал в более раннем времени — в миоцене, а *H. Meschetica*, видимо, был распространён на большой площади — от Кавказа до Китая в раннетретичное время, на что указывает тот факт, что на промежуточных территориях представители ряда *Robustae* Rojark. не встречаются. Нахождение *H. Meschetica* sp. n. в туфогенных отложениях с. Вале, по-видимому, является показателем последних отрезков времени вымирания этого вида и одновременно начала развития на территории Грузии её потомка — *Hedera colchica* С. Koch.

დაბმონათი ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. А. А. Колаковский. Второе дополнение к кодорской плиоценовой флоре. Труды Сухумского ботанического сада, вып. XII, Сухуми, 1959.
2. Н. К. Ратнани. Некоторые данные о плиоценовой флоре Сухуми. Труды Сухумского ботанического сада, вып. XII, Сухуми, 1959.
3. Э. Н. Кара-Мурза. Растительные остатки чаудинских слоев Гурии. Фл. и систематика высших растений, вып. V, 1941.
4. К. И. Чочиева. О флоре чаудинского горизонта. VI научная сессия Института палеоботаники, Тбилиси, 1959.
5. И. В. Палибин, А. С. Петров и Т. С. Цириня. Растительные остатки ачкагельских отложений. Кила—Купра, 1934.
6. А. И. Пояркова. Китайские виды плюща и их систематическая связь. Бот. матер. герб. Ботан. института им. Комарова АН СССР, т. XIV, 1951.
7. А. Н. Криштофович. История палеоботаники в СССР. Изд. АН СССР, Москва, 1956.
8. П. А. Мchedlishvili. О возрасте гондердзской флоры в связи с нахождением пальм *Sabal* в киммерийских отложениях Западной Грузии. ДАН СССР, т. XVII.
9. А. Н. Криштофович. Палеоботаника. Гостоптехиздат, 1957.
10. П. А. Мchedlishvili. Еще раз о возрасте гондердзской флоры, Бюллетень МОИП, № 1, 1954.



სპელოლოგია

ზ. ბინტილოვოვი

კალციტური ოოლითები და პიზოლითები ავხნაჯეთის მღვიმეებში

(წარმოდგინა აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა 27.10.1961)

უკანასკნელ წლებში დასავლეთ საქართველოს კარსტული ზონის გეგმანო-მიერმა კვლევამ შესაძლებელი გახადა შეედგომოდით დღემდე ცნობილი და უცნობი მღვიმეების სპელეოლოგიურ თავისებურებათა შესწავლას.


დასავლეთ საქართველოს კარსტული მღვიმეები ან მათი ცალკეული დარბაზები ზოგჯერ უხვად არის შორთული ნაირფეროვანი კრისტალური წარმონაქმნებით — ჩანასახოვანი, წვრილი მილსებური და ვეებერთელა სტალაქტიტებითა და სტალაგმიტებით, სვეტებით, მოფარდაგებული ზედაპირებით. ფართოდ გავრცელებულ ამ წარმონაქმნებს გარდა გამოვლენილია იშვიათი სტალაქტიტური ფორმებიც — ჰელიტიტები, ჰელიგმიტები, ანასტომოტიები, ისკრუსტაციული ნალენთები, „მცურავი სტალაქტიტი“ — ტბათა ზედაპირზე გადაკრული კალციტის ფირფიტები და მათ შორის იშვიათი მინერალური კონკრეციები — მღვიმური მარგალიტები (ოოლითები) და პიზოლითები, რომელთა დახასიათებისადმია მიძღვნილი წინამდებარე სტატიაა.

ბუნების უაღრესად იშვიათი კონკრეციები — კალციტური ოოლითები და პიზოლითები ჩვენ მიერ მიკვლეულ იქნა გუმას (მდ. დას. გუმისთას აუზი) და მთის კალთის (მდ. აღმ. გუმისთას აუზი) კარსტულ მღვიმეებში. გუმას მღვიმეში ეს წარმონაქმნები დარბაზის ბოლოში იმ უბანზე გვხვდება, სადაც წყლის მცირე ქაველების ვარდნას ინტენსიური და რიტმული ხასიათი აქვს. კოროზიული ორმოების სიღრმე, რომლებშიც კონკრეციების წარმოშობა ხდება, 3—5 სმ, ხოლო გარშემოწერილობა 15—35 სმ აღწევს. პიზოლითის ყველაზე დიდი ეკზემპლარის სიდიდე 40 მმ, უმცირესი კი 10 მმ აღემატება; მათი საშუალო სიგანე 14,5—15 მმ-ია. პიზოლითების ქვეშ განლაგებულია ქინძისთავისოდენა მბრწყინავი მარგალიტები. კონკრეციების ფორმა უმეტესად მრგვალი და არასიმეტრიულად მრგვალია (სურ. 1), რასაც, ჩვენი დაკვირვებით, განსაზღვრავს მათი ზრდის თავისებურებანი. კერძოდ, წყლის ქაველის სისტემატური ვარდნის პროცესში ორმოში მყოფი მინერალები მოძრაობენ, ერთმანეთს ეჯახებიან, რაც, უეჭველად, მათ ფორმაზე ახდენს გავლენას. ზოგიერთ ორმოში ქაველი ყოველ 5 წამში, ზოგან კი უფრო ადრე ან გვიან, ან კიდევ ორმოში ერთდროულად რამდენიმე ადგილას ეცემა.

კალციტურ ოოლითებსა და პიზოლითებს უმეტესწილად მოყვითალო და მოთეთრო ფერი აქვთ, გამოირჩევიან მინისებური და სადაფისებური ელვარებით.

მღვიმური ოოლითები და პიზოლითები შეიძლება წარმოიშვას როგორც გამდინარე ხაკადების, ისე წყლის ქაველებისა და წვეთების ვარდნის პროცესში. გუმას მღვიმის ბოლოში დიდი სიმაღლიდან (15—20 მ) ვარდნილ, კარბონატით გაჯერებულ წყლის ქაველებს მოძრაობაში მოჰყავს კოროზიულ ორმოებში მყოფი უხსნადი ნაწილაკები. გუმეში დაცემისას მინერალისებური ხსნარი ნახშირ-


ორჯანგის გარკვეულ რაოდენობას კარგავს, რაც ხელს უწყობს კალციტის შემოღებულ ქვიშის ნაწილაკების, კვარცისა და ორმოში მყოფი სხვა სავნების გარშემო (მაგ. გუმას ერთ-ერთი პიზოლითის ცენტრში ხის ნახშირის მოზრდილი ნაწილაკი აღმოჩნდა). ეს უკანასკნელი, რომლებიც ზრდის ცენტრებს წარმოადგენენ, თანდათან იმოსებიან კალციტის თხელი გარსებით, მსხვილდებათ და მრგვალდებიან, რასაც მათი განუწყვეტელი ტრიალი იწვევს. გარკვეული პერიოდის შემდეგ დგება მომენტი, როცა ვარდნილ წვეთებს აღარ ძალუძთ დამ-



სურ. 1

ძიებული კონკრეციის ტრიალი და წყალი მას ორმოს ნაპირზე რიყავს. მსგავსი წარმონაქმნები გვხვდება მთის კალთის მღვიმეებში, მაგრამ ისინი ვარდნილი ჭავლების მოქმედებით კი არ არიან წარმოქმნილნი, არამედ გამდინარე ნაკადების მიერ, რომელნიც დიდი ხანია დამშრალან. გამშრალების გამო ორმოებში ძყოფ კონკრეციებს განვითარებული აქვთ ბურუსკები. ზოგიერთ შემთხვევაში კი შეზრდიან ფსკერს. სიდიდით ისინი ემსგავსებიან გუმას სფერულ კონკრეციებს. თუმცა მათგან ნაკლები ელვარებით განსხვავდებიან.

გამოკვლეული ოვოლითები და პიზოლითები უმეტესად კალციუმის კარბონატისაგან შედგება, რაც კარგად ჩანს ქიმიური ანალიზებიდან (იხ. ცხრილი).



სურ. 2.

როგორც მოსალოდნელი იყო, პიზოლითის გარსში კარბონატის შემცველობა მეტია, ვიდრე ბირთვში, ხოლო უხსნადი ნარჩენები ბირთვში მეტია, ვიდრე გარსში. პიზოლითების განივკვეთებზე შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს უამრავი კონცენტრული გარსი (სურ. 2), რომელთა სისქე, ფერი და ელვარება განსხვავებულია.

კალციტური ოოლითები და პიზოლითები წარმოქმნისათვის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შესაფერ გარემოს მოითხოვს. როგორც ჩანს, მნიშვნელობა აქვს HCO_3 და Ca შესაბამის კონცენტრაციას წყალში, ჰაერის ტემპერატურას და ტენიანობის პირობებს, მინერალიზებული წყლების მუდმივ შემოსვლას და ა. შ.

ცბრილი

პიზოლითები	ტენი	დანაკარგი გაზურების დროს	უხსნადი ნარჩენები	$\text{Al}_2\text{O}_3\text{Fe}_2\text{O}_3$	CaO	MgO	
გუმას მღვიმე	პიზოლითის ბირ- თვი	0,22	43,3	0,88	0,42	0,12	54,40
	პიზოლითის გარ- სი	0,14	43,72	0,18	0,22	0,04	55,22
მთის კალთის მღვიმე	არა	43,04	0,38	0,31	0,3	55,00	არა

ოოლითები და პიზოლითები საქართველოსა და კავკასიის მღვიმეებში დღემდე არ იყო ცნობილი. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ანალოგიური ფორმები პროფ. გ. მაქსიმოვიჩის მიერ აღწერილია კიხელის რაიონის (პერმის ოლქი) ჩრდილო ნაწილის ერთ-ერთ მღვიმეში. შედარებისათვის შეიძლება აღინიშნოს, რომ კიხელის მღვიმის კალციტური კონკრეციების მაქსიმალური სიგრძე 14 მმ არ აღემატება, ხოლო დიამეტრი მოპოვებული ნიმუშების 48%-სთვის 5—8 მმ ფარგლებში მერყეობს (11, გვ. 74), რაც საგრძნობლად ჩამორჩება გუმასა და მთის კალთის მღვიმეთა კონკრეციების შესაბამის სიდიდეებს. აღსანიშნავია, რომ გუმას მღვიმეში ოოლითებისა და პიზოლითების წარმოქმნის პროცესი ამჟამად ძალზე აქტიურად მიმდინარეობს, მაშინ როცა კიხელის მღვიმეში მსგავსი ფორმები ელუვიური თიხის ფენებშია მოპოვებული.

კალციტური ოოლითები და პიზოლითები დიდ იშვიათობას წარმოადგენს მსოფლიო მასშტაბითაც. მღვიმეები, რომლებშიც ეს კონკრეციებია ნაპოვნი, ჯერჯერობით 60-მდე თუ აღწევს, დედამიწის ზედაპირზე კი 30 ათასზე მეტი მღვიმეა აღრიცხული (12, გვ. 21). ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოვიყვანოთ საგულისხმო დეტალი. ნ. კასტერემ 1939 წლამდე გამოკვლეული 500 მღვიმიდან ოოლითები და პიზოლითები მხოლოდ ერთში — კაჟირის მღვიმეში იპოვა (11, გვ. 76).

გუმისა და მთის კალთის უნიკალური ბუნებრივი ძეგლები — კარსტული მღვიმეები, — დაცვას საჭიროებს.

საქართველოს სსრ შეცნობილობათა აკადემია

სპელეოლოგიური კომისია

(რედაქციას მოუვიდა 27.10.1961)

СПЕЛЕОЛОГИЯ

З. К. ТИНТИЛОВ

КАЛЬЦИТОВЫЕ ООЛИТЫ И ПИЗОЛИТЫ В ПЕЩЕРАХ
АБХАЗИИ

Резюме

Кальцитовые оолиты и пизолиты могут образоваться как в процессе падения струи воды и капель с потолка, так и пещерными потоками. Гумские пизолиты и лыхныские классические оолиты обра-

зуются именно первым способом, а подобные же образования в пещерах Мтис-Калта (басс. р. Вост. Гумисты) и Нового Афона (басс. р. Псыриха) образованы потоками, давно уже исчезнувшими.

Величина самого большого образца пизолита — 40 мм, а самого маленького — 10 мм. Под пизолитами размещены блестящие оолиты величиной от 2 до 5 мм. Исследованные кальцитовые минералы состоят преимущественно из карбоната кальция (97—98%).

В их поперечном разрезе даже невооруженным глазом отчетливо видно скорлуповатое строение — чередование разноцветных колец по толщине и блеску; различная окраска слоев вызвана разницей в составе просачивающейся воды в летнем и зимнем сезонах. Конкреции имеют желтоватый или коричневый цвет, отличаются стекловидным и иногда перламутровым блеском; желтоватые тона указывают на продукты восстановления, а перламутровые слои — на повторную кристаллизацию, частичное растворение и перекристаллизацию.

Для образования оолитов требуется среда, остающаяся неизменной в течение долгого периода, соответствующая концентрация HCO_3 и Са в воде, температура и влажность воздуха и постоянство притока воды и пр. По этим показателям пещеры Гума, Мтис-Калта, Нового Афона и Лыхны не отличаются существенно друг от друга. В залах этих пещер, где были найдены конкреции, температура воздуха достигает 13—15°, а относительная влажность — 95%.

Пещерные оолиты до 1959 года не были известны в пещерах Грузии и Кавказа. Из известных на земном шаре 30 тысяч пещер они найдены пока в 80 пещерах и шахтах.

დაბოვნებაში ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Г. А. Максимович. Кальцитовые оолиты, пизолиты и конкреции пещер и рудников. Зап. Всес. минеральн. о-ва, т. 84, № 1, 1955.
2. Г. А. Максимович. Карст. Изд-во «Знание», серия IX, № 7, 1960.

ა. ბერაბა

მსხვილპანელიანი შენობების ანგარიში სეისმურ ზემოქმედებაზე


(წარმოადგინა აკადემიკოსმა კ. ზავრიევა 15.3.1962)

წინამდებარე სტატიაში მოცემულია ანგარიშის შედეგები მსხვილპანელიანი შენობის სეისმოდევნაზე. მიღებული ჩვენ მიერ დამუშავებული მეთოდით. აღნიშნული მეთოდი საკმაოდ ფართოდაა გაშუქებული ჩვენს წინანდელ შრომებში [1, 2, 3] კონსოლური ფირფიტებისა და ქვის შენობის კედლის ბრტყელი დაძაბული მდგომარეობის მაგალითებზე.

პრაქტიკულ მაგალითად შევარჩიეთ „უზსახპროექტის“ მიერ დამუშავებული „ვიპროსტროინდუსტრიის“ ტიპის ოთხსართულიანი მსხვილპანელიანი შენობის პროექტი. აღნიშნული შენობის განივი კედლები ნაანგარიშებია [4]-ში.

ჩვენ მიერ შერჩეულ იქნა ერთ-ერთი განივი კედელი (ნახ. 1), როგორც შენობის ყველაზე მეტად დაძაბული ელემენტი.

მეთოდის არსი და ანგარიშის მსვლელობა მოკლედ შემდეგში მდგომარეობს: კედელს ვყოფთ ზოლებად. ისე რომ ზოლების სიგანის ფარდობა მათ სიმაღლესთან $\frac{1}{3} \div \frac{1}{4}$ -ის ფარგ-




სურ. 4.

ლებშია. ეს გვაძლევს საშუალებას ზოლები განვიხილოთ როგორც უბრალო კონსოლური კოჭები და მიღებული სტატიკურად ურკვევადი საანგარიშო სისტემა (ნახ. 1) ამოვხსნათ ძალთა მეთოდით (ნახ. 2).

სართულების ნიშნულებზე მოდებული საანგარიშო სეისმური ძალები, აღებული [4]-ის მიხედვით, მოცემულია 1 ცხრილში. უშუალოდ ძალთა მეთოდით ამოცანის გადასაწყვეტად (ნახ. 2) საჭირო იქნებოდა შეგვედგინა და ამო-

გვეხსნა 24 უცნობისაგან შემდგარი კანონიკურ განტოლებათა სისტემა. ჩვენ მიერ შემუშავებული მეთოდით კი ვახდენთ აღნიშნულ განტოლებათა სისტემის განცალგებას, რაც არსებითად აადვილებს ამოცანის გადაწყვეტას.



სურ. 4.

ასეთი განცალგება შემდეგში მდგომარეობს. პირველ და მეორე ზოლებს ვიხილავთ როგორც ერთ სისტემას და ასეთ სისტემას ვხსნით ძალთა მეთოდით, ერთეულ განზოგადებულ გადაადგილებათა გამოსათვლელად. შემდეგ

ცხრილი 1

წებრილების №	S_i B T	$\mu_1 = \mu_4 = \frac{h_1}{h_1 + h_2 + h_3 + h_4}$	$\mu^2 = \mu_3 = \frac{h_2}{h_1 + h_2 + h_3 + h_4}$	1	2	3	4
				ზოლი S_{ij}	ზოლი S_{ij}	ზოლი S_{ij}	ზოლი S_{ij}
1	5,10	$\frac{1,55}{1,55 + 2,55 + 2,55 + 1,55} = \frac{1,55}{8,2} = 0,189$	$\frac{2,55}{8,2} = 0,311$	0,96	1,59	1,59	0,96
2	3,60			0,68	1,12	1,12	0,68
3	2,38			0,45	0,74	0,74	0,45
4	2,10			0,40	0,65	0,65	0,40
5	1,64			0,31	0,51	0,51	0,31

ერთ სისტემაში ვაერთებთ პირველ და მეორე შეწყვილებულ ზოლებს მესამე ზოლთან იმავე მიზნით. ეს პროცესი გრძელდება ყველა არსებული ზოლის აღნიშნული წესით შეუღლებამდე.

სწორედ ამ გზით ხდება განტოლებათა რიცხვის მნიშვნელოვნად შემცირება. ნებისმიერი შუალედი დრეკადი სისტემის ამოსახსნელ განტოლებებს ზოგადად შემდეგი სახე აქვს:

$$j = 1, 2, 3 \dots g$$

$$i = 1, 2, 3 \dots n \quad t_{i(j+1; j+2)} = 1 \quad p_{i(j+1; j+2)} = 1 \quad m_{i(j+1; j+2)} = 1 \quad S$$

$$\begin{aligned} & \sum_{i=1}^n A_1 \cdot T_i + \sum_{i=1}^n B_1 \cdot P_i + \sum_{i=1}^n C_1 \cdot M_i = D_1; & E_1; & F_1; & G_1; \\ & \sum_{i=1}^n A_2 \cdot P_i + \sum_{i=1}^n B_2 \cdot P_i + \sum_{i=1}^n C_2 \cdot M_i = D_2; & E_2; & F_2; & G_2; \\ & \sum_{i=1}^n A_3 \cdot T_i + \sum_{i=1}^n B_3 \cdot P_i + \sum_{i=1}^n C_3 \cdot M_i = D_3; & E_3; & F_3; & G_3; \end{aligned}$$

სადაც

$$A_1 = [\Delta_{k, i(j)}^t + \Delta_{k, i(j+1)}^t] + b_{(j; j+1)} \cdot \Delta_{k, i(j)}^m + b_{(j+1; j)} \cdot \Delta_{k, i(j+1)}^m];$$

$$B_1 = (\Delta_{k, i(j+1)}^p - \Delta_{k, i(j)}^p); \quad C_1 = \Delta_{k, i(j)}^m + \Delta_{k, i(j+1)}^m;$$

$$D_1 = \Delta_{k, i(j+1)}^t - b_{(j+1; j+2)} \cdot \Delta_{k, i(j+1)}^m; \quad E_1 = \Delta_{k, i(j+1)}^p;$$

$$F_1 = \Delta_{k, i(j+1)}^m; \quad G_1 = \sum_{i=1}^n \Delta_{k, i(j)}^p \cdot S_{(j); i} + \sum_{i=1}^n \Delta_{k, i(j+1)}^p \cdot S_{(j+1); i};$$

$$A_2 = b_{(j+1)} \cdot \delta_{k, i(j+1)}^m - b_{(j; j+1)} \cdot \delta_{k, i(j)}^m; \quad B_2 = \delta_{k, i(j)}^p + \delta_{k, i(j+1)}^p;$$

$$C_2 = \delta_{k, i(j)}^m + \delta_{k, i(j+1)}^m; \quad D_2 = -b_{(j+1; j+2)} \cdot \delta_{k, i(j+1)}^m; \quad E_2 = \delta_{k, i(j+1)}^p;$$

$$F_2 = \delta_{k, i(j+1)}^m; \quad G_2 = -\sum_{i=1}^n \delta_{k, i(j)}^p \cdot S_{(j); i} + \sum_{i=1}^n \delta_{k, i(j+1)}^p \cdot S_{(j+1); i};$$

$$A_3 = b_{(j+1)} \cdot \alpha_{k, i(j)}^m - b_{(j+1; j)} \cdot \alpha_{k, i(j+1)}^m; \quad B_3 = \alpha_{k, i(j)}^p + \alpha_{k, i(j+1)}^p;$$

$$C_3 = \alpha_{k, i(j)}^m + \alpha_{k, i(j+1)}^m; \quad D_3 = b_{(j+1; j+2)} \cdot \alpha_{k, i(j+1)}^m; \quad E_3 = -\alpha_{k, i(j+1)}^p;$$

$$F_3 = \alpha_{k, i(j+1)}^m; \quad G_3 = \sum_{i=1}^n \alpha_{k, i(j)}^p \cdot S_{(j); i} - \sum_{i=1}^n \alpha_{k, i(j+1)}^p \cdot S_{(j+1); i};$$

სადაც

Δ , δ და α შესაბამისი ძალების t , p და m -ის მიმართულებით გამოწვეული განზოგადებული გადაადგილებებია;

K წერტილის ნომერია, სადაც ვეძებთ გადაადგილებას მოცემული ძალების მიმართულებით;

i იმ წერტილის ნომერია, რომელშიც მოდებულ ძალებთან ვეძებთ გადაადგილებას;

j ზოლის ნომერია.

უცნობი შიგა ძალებების T , P და M -ის ამოხსნის შემდეგ ცალკეული ზოლები განიხილება როგორც უბრალო კონსოლური კოპები და ადვილად მიიღება საანგარიშო კონსტრუქციის ნებისმიერ წერტილში ჩვენთვის საინტერესო ძალები, ძაბვები და დეფორმაციები.

ცხრილი 2

i	I ვარიანტი					
	განაპირა ზღუდარები			შუა ზღუდარები		
	Ti (ტ)	Pi (ტ)	Mi (ტმ)	Ti (ტ)	Pi (ტ)	Mi (ტმ)
4	0,510	-0,419	0	0,790	0	0
3	1,387	-0,288	0	2,128	0	0
2	1,983	-0,212	0	3,058	0	0
1	2,455	-0,035	0	3,593	0	0
II ვარიანტი						
4	0,874	-0,313	0,006	1,100	0	0
3	1,704	-0,062	0,002	1,345	0	0
2	2,384	-0,071	-0,010	1,437	0	0
1	2,321	-0,078	-0,009	1,128	0	0
III ვარიანტი						
i	განაპირა ზღუდარები			შუა ზღუდარები		
	Ti (ტ)	Pi (ტ)	Mi (ტმ)	Ti (ტ)	Pi (ტ)	Mi (ტმ)
4	0,877	-0,317	0,027	1,088	0	0
3	1,718	-0,048	-0,012	1,323	0	0
2	2,412	-0,032	0,021	1,403	0	0
1	2,375	0,119	0,024	1,084	0	0
IV ვარიანტი						
4	0,879	-0,324	0	1,086	0	0
3	1,715	-0,045	0	1,324	0	0
2	2,413	-0,037	0	1,404	0	0
1	2,376	0,122	0	1,084	0	0

მე-2 ცხრილში მოცემულია აღნიშნული მეთოდით განივი კედლისათვის გამოთვლილი შიგა ძალებების სიდიდეები. მასთან განხილულია ანგარიშის ოთხი ვარიანტი. პირველი ვარიანტის მიხედვით ზღუდარები ითვლება აბსოლუტურ ხისტ ელემენტად შუა კედლისებთან შედარებით. ეს იმას ნიშნავს,

რომ განზოგადებული გადაადგილებების გამოთვლის დროს მხედველობაში არ მიიღება ზღუდარების დეფორმაციები ($EJ \rightarrow \infty$ და $M_i = 0$). მეორე ვარიანტი იმაში მდგომარეობს, რომ გადაადგილებების გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღება ძერის დეფორმაციები შუა კედლისებში. მესამე ვარიანტის მიხედვით გათვალისწინებულია ყველა შესაძლო დეფორმაცია როგორც შუა კედლისებში, ისე ზღუდარებში. მეოთხე ვარიანტი მესამესთან შედარებით, არ ითვალისწინებს ზღუდარებში მომენტის როგორც შიგა ძალების გავლენას.

აღნიშნული ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ ზღუდარების დეფორმაციების გათვალისწინება საგრძნობ გავლენას ახდენს ამოცანის შედეგებზე (I და IV ვარიანტების შედარება). მეოთხე ვარიანტის შედარება მესამესთან გვიჩვენებს, რომ ზღუდარებში მოქმედი მომენტების როგორც შიგა ძალების გავლენა უმნიშვნელოა განივი ძალებით გამოწვეულ მომენტებთან შედარებით.

ზემოგანხილულიდან ნათელია, თუ როგორ ადვილდება დასმული ამოცანის გადაწყვეტა ძალთა მეთოდის უშუალოდ გამოყენებასთან შედარებით. ჯერ ერთი ამოხსნა იყოფა ორ ნაწილად, შიგა და გარეთა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამოცანა შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს შიგა და გარე ძალებისათვის ცალკე-ცალკე. გარდა ამისა, განტოლებათა რაოდენობა სისტემაში მცირდება 24-დან 8-მდე (IV ვარიანტი). თუ დაუშობტებთ კიდევ იმას, რომ გამოთვლის მთელი ტექნიკა სრულდება ცხრილებით, რაც აადვილებს პროგრამირებას, ნათელი გახდება აღნიშნული მეთოდის ეფექტურობა, მასთან გამოთვლელი მანქანების საშუალებით სულ მცირე დროში შეიძლება ჩატარდეს მრავალი განივი და გრძივი კედლის ანგარიში.

ჩვენ მიერ დამუშავებული მეთოდის საკმაო სიზუსტე შემოწმდა რიგ პრაქტიკულ მაგალითზე [2, 3]. ეს მაგალითები ნებას იძლევა შევადაროთ ცხრილი 3

მომენტები ზღუდარების ჩამაგრების კვეთებში (ტმ)

I სართ. ნომერი	I ვარიანტი		II ვარიანტი		III ვარიანტი		IV ვარიანტი	
	განაპირა ზღუდარები	შუა ზღუდარები	განაპირა ზღუდარები	შუა ზღუდარები	განაპირა ზღუდარ.	შუა ზღუდარები	განაპირა ზღუდარ.	შუა ზღუდარები
	Mi	Mi	Mi	Mi	Mi	Mi	Mi	Mi
4	0,230	0,750	0,399	1,045	0,422	1,034	0,396	1,032
3	0,624	2,021	0,769	1,278	0,761	1,257	0,772	1,258
2	0,892	2,905	1,063	1,365	1,106	1,333	1,086	1,334
1	1,105	3,414	1,035	1,072	1,093	1,030	1,069	1,030

ჩვენი მეთოდით მიღებული შედეგები ანალოგიურ შედეგებს, მიღებულს [4]-ით, ეს უკანასკნელი შრომა კი რეკომენდებულია საპროექტო ორგანიზაციებისათვის [5]. ცხრ. 4-ში მოცემულია [4]-ით მიღებული შედეგები, მომენტები



აღებულია ზღუდარების ჩამაგრების კვეთებში. განხილული მეთოდით მშენებლობაში არაა მიღებული კედლის ზღუდარებში მოქმედი ნორმალური ძალები (P).

ცხრილი 4

სადაც K ფორმის კოეფიციენტი, დამოკიდებულია სხეულის ფორმასა და ზომებზე და აქვს ფართის განზომილება. სწორი ფორმის მრავალი სხეულისათვის შეიძლება მისი გამოთვლა, ხოლო რთული კონფიგურაციის სხეულებისათვის რგი შეიძლება მოინახოს ექსპერიმენტული გზით [3].

თუ ტემპერატურაგამტარობის კოეფიციენტი ცნობილია, მაშინ რეგულარული თბური რეჟიმის მეორე მეთოდით საკვლევი მასალის ნიმუშის მულტივი განსაზღვრო პირობების დროს

$$d = \text{const} \text{ და } t = \text{const}. \quad (4)$$

გაზობრივ გარემოში გაცივებით შეიძლება განისაზღვროს თბოგამტარობა h . (4) სასაზღვრო პირობების რეალიზაცია ხდება ნიმუშის გაცივებით ჰერის თავისუფალი კონვექციის პირობებში. ექსპერიმენტი მდგომარეობს საცდელი მასალის ნიმუშის d_x და ეტალონური მასალის, რომლის თერმული თვისებები კარგადაა ცნობილი, ნიმუშის d_n კოეფიციენტების ცვლელადობაზე დაკვირვებაში. d_x და d_n სიდიდეების გაზომვის სიზუსტეზე დამოკიდებულია λ -ს განსაზღვრის სიზუსტეზე.

უკანასკნელ დროს ვაგრცელდა ორი აღფას მეთოდი [4]. ამ მეთოდით საში თერმული კოეფიციენტიდან განისაზღვრება ნებისმიერი ორი: a და h , c და h , a და c , ხოლო ცნობილი დამოკიდებულებით

$$h = ac\gamma, \quad (5)$$

სადაც γ საცდელი მასალის მოცულობითი წონაა, ყოველთვის შეიძლება მოინახოს მესამე კოეფიციენტი.

არსებული მეთოდების თანახმად ნიმუში იხეხება წინასწარ დამზადებული კალორიმეტრის ზომაზე და თავსდება მასში. მაგრამ როგორც არ უნდა დავუშვავდეს ნიმუში, ყოველთვის ადგილი აქვს კალორიმეტრის კედლებსა და ნიმუშს შორის ჰაერის ღრეჩოს არსებობას, რამაც შეიძლება საგრძნობი ცდომილება გამოიწვიოს.

ამიტომ სახარატო დაზვაზე დამუშავებულ საქირო ზომების ნიმუშს კალორიმეტრში კი არ ვათავსებდით, არამედ ვფარავდით პლასტმასური წებოს თხელი შრით, რათა წყლიან თერმოსტატში ცდის ჩატარებისას მისი ბუნებრივი ტენიანობა არ დარღვეულიყო.

ასეთი სახით მომზადებული ნიმუშის გრძივი ღერძის გასწვრივ ვბურღავდით ნიმუშის სიმაღლის $1/3$ -დან $1/2$ -მდე სიგრძისა და 3,5—5 მმ დიამეტრის ხვრელს და მასში ვათავსებდით სპილენძ-კონსტანტანის თერმოწყვილს. შემდეგ ხვრელს ვავსებდით ან გამოსაცდელი ქანის წვრილად დაფქული ფხვნილით, რომელსაც მაგრად ვტკეპნიდით, ან ამ ფქვილისაგან დამზადებული სქელი თხევადი მასით. თერმოწყვილის სორსალსა და სამთო ქანს შორის ამრიგად მიღებული კონტაქტი არ ამახინჯებს ნიმუშის ტემპერატურულ ველს და, მაშასადამე, არ ცვლის მის თბოფიზიკურ თვისებებს.

წინამუშის №	ქანის დაბასიათება	ქანის მოცულობითი წონა ტნ/კუ	ბედობითი თბოტევადობა	კალკულაციური ტემპერატურა გმტრობა 10-1 მ/კათ.	თბოვანობა კკალ/მ. საათ. გრად.	ტენიანობა, %	ფორიანობა, %	შენიშვნა
13	ნაცრისფერი, საშუალო მარცვლოვანი ქვიშაქვა კარბონატული ცემენტით	2,35	0,243 0,242	37,04 37,78	2,12 2,15	0,30	0,50	
15	წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვა თიხოვანი ცემენტით	2,40	0,212 0,211	27,70 23,08	1,47 1,17	0,49	7,34	
25	ნაცრისფერი, წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვა თიხოვანი ცემენტით	2,56	0,208 0,208	38,91 39,95	2,08 2,13	2,59	16,16	
19	მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვა თიხოვანი ცემენტით	2,3	0,207 0,213	27,25 32,00	1,33 1,57	0,23	5,40	
20	მსხვილნატეხოვანი მჟაფე კვარციანი ქვიშაქვა	2,25	0,208 0,201	23,10 24,04	1,08 1,13	0,31	6,54	
21	ნაცრისფერი, მსხვილმარცვლოვანი მჟაფე არკოზული ქვიშაქვა	2,55	0,201 0,204	35,27 31,40	1,81 1,63	0,29	4,80	
29	მუქი ნაცრისფერი ტუფობრექჩია	3,13	0,200 0,207	33,00 35,38	2,13 2,29	0,41	11,24	
30	მომწვანო-ნაცრისფერი, წვრილმარცვლოვანი სიდერიტოლიტი	3,34	0,195 0,197	24,75 30,34	1,61 1,99	0,38	8,83	
31	მომწვანო-ნაცრისფერი, წვრილმარცვლოვანი სიდერიტოლიტი	2,99	0,207 0,207	26,82 27,53	1,66 1,71	0,41	15,38	
35	ნაცრისფერი, წვრილმარცვლოვანი კირქვა	2,48	0,218 0,219	25,71 21,37	1,39 1,16	0,50	29,85	
16	საშუალომარცვლოვანი ქვიშაქვა თიხოვანი ცემენტით	2,36	0,225 0,226	21,94 22,68	1,17 1,21	—	—	
24	ნაცრისფერი, მსხვილმარცვლოვანი, მჟაფეკვარციანი ქვიშაქვა	2,44	0,206 0,206	24,38 25,83	1,22 1,30	0,19	1,32	
5	წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვა კარბონატული ცემენტით	2,78	0,190 0,191	31,56 28,25	1,67 1,50	0,59	1,09	
1	მომწვანო-ნაცრისფერი, მსხვილმარცვლოვანი, არკოზულგრაფეაკული ქვიშაქვა	2,71	0,230 0,232	27,20 31,30	1,70 1,97	2,60	15,75	
14	მსხვილმარცვლოვანი, მომწვანო-ნაცრისფერი, მჟაფეკვარციანი ქვიშაქვა	2,46	0,233 0,235	29,20 22,44	1,69 1,30	0,75	8,5	ზედა ქვიშაქვების წყება
18	მომწვანო-ნაცრისფერი, საშუალომარცვლოვანი სიდერიტოლიტი ქვიშაქვის მასალით	2,25	0,197 0,197	25,40 24,50	1,63 1,57	0,18	1,21	ზედა ქვიშაქვების წყება

ნიმუშის №	ქანის დახასიათება	ქანის მოცუ- ლობითი წონა კგ/მ²	ზედფართო თბო- ტემპერატურა, კალ/კმ. გრად.	ტემპერატურა გამტარობა 10 ⁴ მ²/კათ.	თბოგამტარობა კალ/მ. საათ. გრად.	ტენიანობა, % /%	ფორიანობა, % %	შენიშვნა
8	საშუალომარცვლოვანი თიხოვანი ცემენტი	2,59	0,206 0,213	20,05 20,18	1,08 1,12	0,58	1,52	ბაიოსის წყება
36	მომწვანო-ნაცრისფერი ტუფობრექჩია	2,49	0,241 0,214	19,06 18,17	1,02 0,97	2,62	13,38	ბაიოსის წყება
11	წვრილმარცვლოვანი კირქვა	2,51	0,161 0,161	17,88 18,67	0,72 0,75	0,06	17,03	კირქვების წყება
26	ძლიერ გადაღლომიტებული ნაცრის- ფერი კირქვა	2,64	0,201 0,200	18,56 15,56	0,99 0,82	0,13	11,48	კირქვების წყება
17	სხვადასხვა მარცვლოვანი თიხოვანი ცემენტი	2,41	0,280 0,285	20,30 25,25	1,38 1,74	1,08	3,60	ნაირფეროვანი წყება
12	მოყავისფრო, მსხვილმარცვლოვანი გრაფეაქა	2,55	0,210 0,213	20,80 34,88	1,61 1,89	1,23	2,30	ნაირფეროვანი წყება
13	მუქი ნაცრისფერი კირქვა	2,51	0,209 0,208	15,18 14,40	0,80 0,75	1,12	12,36	ნაირფეროვანი წყება

4, 5 და 6 გრაფებში ზედა სიდიდეები მიღებულია რეგულარული თბური რეჟიმის პირველი და მეორე მეთოდით, ქვედა სიდიდეები კი—ორი ალფას მეთოდით.

თერმული თვისებების რეგულარული თბური რეჟიმის მეორე მეთოდითა და ორი ალფას მეთოდით განსაზღვრისათვის აუცილებელია თბოგაცემის კოეფიციენტის გაზომვა. ამის გაკეთება შეიძლება კარგად ცნობილი თერმული თვისებების ლითონისაგან დამზადებული ეტალონის საშუალებით, რომელიც ფორმითა და ზომებით ნიმუშის ასლს უნდა წარმოადგენდეს.

ჩვენ გამოვიყენეთ წითელი სპილენძისაგან დამზადებული მთლიანსმული ეტალონი, რომლის დიამეტრი $d=40$ მმ და სიმაღლე $H=76$ მმ. დიფერენციალური თერმოწყვილის „ცხელ ნარჩილსა“ და ეტალონის კედლებს შორის კარგი კონტაქტის შესაქმნელად ეტალონში, მისი სიმაღლის $1/8$ -დან $1/2$ -მდე გაბურღულ ზერელში ვყრიდით სპილენძის ნაჭობს, შემდეგ ვასხამდით რამდენიმე წვეთ ზეთს და თაბაშირის საცობით ჰერმეტიულად ვხურავდით.

ნიმუშისა და ეტალონის თბოგაცემის d_x და d_n კოეფიციენტების ტოლობისათვის აუცილებელია მათი ინტეგრალური გამოხვივების უნარის კოეფიციენტთა ტოლობაც, რისთვისაც ნიმუშისა და ეტალონს ვღებავდით ერთისა და იმავე საღებავით. შემდეგ მათ ვათავსებდით საშრობ კარადაში და ვახურებდით $50-75^{\circ}\text{C}$.


წყლიან სამედიცინო ულტრათერმოსტატში ვახორციელებდით გაცივების პროცესს, (2) პირობის დაცვით. თერმოსტატში გარემოს ძუღმვი ტემპერატურის შენარჩუნება წარმოებდა სითხის ინტენსიური არევით, ხოლო ტემპერატურის კონტროლი-თერმომეტრით.

ჰაერის თავისუფალი კონვექციის პირობებში გაცივებას ვახდენდით წყნარი ჰაერის კამერაში. იგი შედგება ორი, ერთიმეორეში ჩადგმული, სპილენძის-

ცილინდრული ავზისაგან (შიდა ავზის $D=60$ სმ, $H=70$ სმ, გარე ავზის $D=80$ სმ $H=90$ სმ). მათ შორის სივრცე აესებულია წყლით. ავზის შიდა კედლები შევადგაა შეღებილი. იმის გამო რომ, კამერის ზომები ბევრად აღემატება ნიმუშისა და ეტალონის ზომებს და კამერის კედლები და წყლის შრე ხასიათდება მაღალი თბოტევადობით, უზრუნველყოფილია გაცივების პროცესის სტაბილობა კამერაში. გაზომვებმა აჩვენა, რომ ჰაერის ნაკადის სტაბილობის კონტროლს ვაწარმოებდით პიტოს მილისა და დახრილსკალიანი მიკრომანომეტრის საშუალებით.

რეგულარული თბური რეჟიმით მიმდინარე გაცივების პროცესში დაკვირვებას ვახდენდით უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის თბოენერგეტიკის ინსტიტუტში შექმნილი თბოფიზიკური თვისებების ჩქარული განსაზღვრის ავტომატურ დანადგარზე. ამის გარდა საზომ ხელსაწყოდ ვიყენებდით M 91/A ტიპის ვავლანომეტრს დროის გარკვეულ დაყოვნების შემდეგ ჩვენებათა გიზულაური ათვლით. ავტომატური დანადგარის პრინციპული სქემა მოცემულია ნახ. 1-ზე.

ნახ. 1. ქანების თბოფიზიკური თვისებების ჩქარული განსაზღვრის ავტომატური დანადგარის სქემა




გარემოსა და საცდელ ნიმუშს შორის ტემპერატურათა სხვაობას ვზომავდით დიფერენციალური თერმოწყვილის საშუალებით. თერმოწყვილის ერთ ნარჩილს ვათავსებდით საცდელ ნიმუშში, ხოლო მეორეს—გარემოში, რომელშიც წარმოებდა გაცივება. თერმოწყვილის თავისუფალი ბოლოები უერთდებოდა მაგნიტურ გამაძლიერებელს, ხოლო აქედან გაძლიერებული იმპულსი მიეწოდებოდა მნუსხავ ხელსაწყოს. მნუსხავ ხელსაწყოებად ვიყენებდით CF ტიპის ვალვანომეტრს და $\Phi III - 9$ ტიპის პოტენციომეტრს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ რეგულარული თბური რეჟიმის დამყარებიდან გაცივების ტემპის რიცხობრივი სიდიდე ნახევრად ლოგარითმული სწორის დახრის კუთხის ტანგენსის ტოლია [2]. მაგრამ ჩვენ მიერ შემჩნეულია, რომ ჰაერის ბუნებრივი კონვექციის პირობებში სხეულის გაცივებისას (1) დამოკიდებულება მთლიანად სამართლიანი არ არის. იგივე აღნიშნულია ლიტერატურაშიც [5, 6]. ამ შემთხვევაში ცდისეული წერტილები გაცივების ნახევრად ლოგარითმულ გრაფიკებზე ლაგდებათ არა სწორზე, არამედ მდორე მრუდზე (ნახ. 2). ეს გამრუდება უნდა იხსნას თბოგაცემის კოეფიციენტის შემცირებით დროში, რადგან იგი ფუნქციად სხეულის ზედაპირისა და გარემოს ტემპერატურათა შორის სხვაობისა, რომელიც ექსპერიმენტის დროს ვანუწყებდით იცვლება.

სხეულის წყალში (რომლის ინტენსიური არევა ხდება) ან ჰაერის იძულებითი კონვექციის პირობებში გაცივებისას α -კოეფიციენტი პრაქტიკულად სტაბილურია და ამიტომ იგი გაცივების ტემპის სიდიდესი გავლენას არ ახდენს (ნახ. 3).


ნახევრად ლოგარითმული გრაფიკების გამრუდების გამო აუცილებელია მათი უბნებად დაყოფა (როგორც ეს ნაჩვენებია ნახ. 2-ზე). თითოეული უბნისათვის შეიძლება მივიღოთ, რომ გაცივება წარმოებს ექსპონენციალურა კა-

ახ. 2. წყნარი ჰაერის კამერაში ეტალონის გაცივების გრაფიკი



ნონით, გამოვითვალოთ გაცივების ტემპი და შემდეგ განვსაზღვროთ მისი საშუალო მნიშვნელობა მოცემული ნიმუშისათვის.

ნახ. 3. აეროდინამიკურ მილში ნიმუშის გაცივების გრაფიკი



ტყიბულ-შაორის ქვანახშირის საბადოს ქანების თბოფიზიკური თვისებების კვლევის შედეგები მოცემულია ცხრილში 1. როგორც ცხრილიდან ჩანს, რეგულარული თბური რეჟიმის პირველი და მეორე მეთოდით და ორი ალტანს

მეთოდით განსაზღვრული ქანების თერმული პარამეტრები ოდნავ განსხვავდება ერთიმეორისაგან. მაგალითად, ქვედა ქვიშაქვების წყებისათვის (ნიმუშები №№ 1, 5, 6, 13, 15, 19, 20, 21, 24, 25, 29, 30, 31, 35) თერმული კოეფიციენტების გასაშუალებული მნიშვნელობები შეადგენს: პირველი და მეორე მეთოდების მიხედვით— $a=28,85, 10^{-4}$, მ²/საათ.; $c=0,211$, კკალ/კგ. გრად.; $h=1,60$, კკალ/მ. საათ. გრად. ორი ალფას მეთოდის მიხედვით— $a=29,35 \cdot 10^{-4}$ მ²/საათ.; $c=0,212$ კკალ/კგ. გრად. და $h=1,64$ კკალ/მ. საათ. გრად.

ორი ალფას მეთოდი არ ზღუდავს (გარკვეულ ფარგლებში) ნიმუშის ფორმასა და ზომებს და საშუალებას იძლევა შევისწავლოთ ისეთი მასალების თერმული თვისებები, რომელთა დამუშავება შეუძლებელია (ნახშირი, ნახშირთვანი და თიხოვანი ფიქლები და სხვა). ამიტომ ამ მეთოდის საანგარიშო ნაწილის სირთულის მიუხედავად უპირატესობა მაინც მას უნდა მიეცეს.

თერმული კოეფიციენტების სიდიდე დაზრდების პარალელური თბური ნაკადის დროს მეტია, ვიდრე მართობული ნაკადის შემთხვევაში. ტყიბულ-შაორის ქვანახშირის საბადოს პირობების ნახშირიანი წყების ქვიშაქვებისათვის დაზრდების პარალელური ნაკადის დროს კოეფიციენტებს მნიშვნელობა 69%-ით მეტია მართობულთან შედარებით, ხოლო ბაიოსის წყების ქვიშაქვებისათვის—51%-ით მეტი.

ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, რომ ტყიბულ-შაორის ქვანახშირის საბადოს სამთო ქანების თბური პარამეტრები საგრძნობლად დაბალია ღონბასის ქანებთან შედარებით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

გ. წულუკიძის სახელობის
სამთო საქმის ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 2.11.1962)

ГОРНОЕ ДЕЛО

А. А. ДЗИДЗИГУРИ, Ш. И. ОНИАНИ, Р. А. САРЫЧЕВ

ИССЛЕДОВАНИЕ ТЕПЛОФИЗИЧЕСКИХ СВОЙСТВ ГОРНЫХ ПОРОД ТКИБУЛИ-ШАОРСКОГО КАМЕННОУГОЛЬНОГО МЕСТОРОЖДЕНИЯ

Резюме

В статье изложены основные положения первого и второго методов регулярного теплового режима и метода двух альфа, дано описание техники эксперимента и применяемой аппаратуры. Рекомендуется не помещать, как это общепринято, образцы в колориметры, а покрывать их тонким слоем пластмассового клея, что избавляет от значительных погрешностей.

Замечено, что формула (1) не совсем справедлива в случае охлаждения в условиях естественной воздушной конвекции. В данном случае экспериментальные точки на полудогарифмических графиках охлаждения располагаются не на прямой, а на плавной кривой (рис. 2). Отмеченное выше искривление объясняется уменьшением коэффициента теплоотдачи со временем τ , так как коэффициент теплоотдачи — функция непрерывно изменяющейся во время эксперимента раз-



ности температур между поверхностью тела и средой. При охлаждении тел в интенсивно перемешиваемой среде и при вынужденной конвекции коэффициент α практически стабилен и не влияет на величину темпа охлаждения, что и наблюдается (рис. 3). На рис. 2 показана предлагаемая методика обработки плавной кривой путем деления ее на отдельные участки.

Результаты исследования теплофизических характеристик горных пород Ткибули—Шаорского каменноугольного месторождения приведены в табл. 1. В графах 4, 5 и 6 верхние цифры показывают значения удельной теплоемкости, температуропроводности и теплопроводности, полученные по первому и второму методам регулярного режима; нижние — по методу двух альфа. Как видно из таблицы, значения теплофизических характеристик, определенные комплексно по первому и второму методам регулярного режима и по методу двух альфа, незначительно отличаются друг от друга. Например, для свиты нижних песчаников усредненные значения коэффициентов (образцы №№ 1, 5, 6, 13, 15, 19, 20, 21, 24, 25, 29, 30, 31, 35) по первому и второму методам составляют: $a = 28,95 \cdot 10^{-4}$ м²/час; $c = 0,211$ ккал/кг.град; $\lambda = 1,60$ ккал/м.час.град; а по методу двух альфа: $a = 29,35 \cdot 10^{-4}$ м²/час; $c = 0,212$ ккал/кг.град; $\lambda = 1,64$ ккал/м.час.град.

Образцы 14 и 18 отобраны из свиты верхних песчаников; 8 и 36 — из свиты песчаников байоса; 11,26 — из свиты известняков; 17, 12, 37 — из пестроцветной свиты.

При исследовании теплофизических характеристик горных пород предпочтение следует отдавать методу двух альфа, так как он до некоторой степени не налагает ограничений на форму и размеры образца и позволяет исследовать такие материалы, которые не поддаются обработке (уголь, углистые и глинистые сланцы и др.).

Значения теплофизических характеристик при тепловом потоке, параллельном напластованию слоев, больше, чем при тепловом потоке, поперечном напластованию. Это увеличение для свиты верхних и нижних песчаников Ткибули—Шаорского каменноугольного месторождения по теплопроводности составляет 69%, для песчаников свиты байоса — 51%.

დაბმუხმეპულო ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Г. В. Дуганов, А. Н. Никитин и др. Скоростное определение теплофизических свойств пород в массиве. Известия ВУЗ. Цветная металлургия, № 4, 1962.
2. Г. М. Кондратьев. Тепловые измерения. Машгиз, 1957.
3. Г. М. Кондратьев. Регулярный тепловой режим. ГТИ, 1954.
4. Д. А. Кикинадзе. Методы исследования тепловых коэффициентов горных пород. Автореферат. Тбилиси, 1959.
5. Э. М. Семьяшкин. О выборе температуры перегрева тела... Труды ЛИТМО, вып. 37, 1959.
6. Г. М. Левин, Э. М. Малкова, А. К. Семенов. Исследование характеристик графиков простого охлаждения тел. ЖТФ, XXV, вып. 2, 1955.

მენეჯმენტის ფიზიოლოგია

თ. ბაშაძე და დ. კობახიძე

ზაზის ფსევდი პიგმენტების არსებობის შესახებ

(წარმოდგინა აკადემიკოსმა ლ. ჯაფარიძემ 8.7.1962)

უკანასკნელმა გამოკვლევებმა გამოავლინა მცენარის ფესვის სისტემაში მიმდინარე მრავალი ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური რეაქცია, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მცენარის საერთო მეტაბოლიზმში. ფესვებში მიმდინარე სინთეზური პროცესებით წარმოქმნილი მრავალი ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერება დიდ გავლენას ახდენს მიწისზედა ორგანოების მეტაბოლიზმზე.

ბ. რუბინისა და ვ. გერმანოვას გამოკვლევებიდან ჩანს, რომ ფოთლებში ქლოროფილისა და სხვა პიგმენტთა სინთეზი მჭიდროდაა დაკავშირებული იმ რეაქციებთან, რომლებიც მიმდინარეობს ფესვის სისტემაში. ფესვთა სისტემის მოქმედების სპეციფიკასა და მათი პიგმენტური აპარატის აღნაგობის თავისებურებათა შორის გარკვეული კორელაციური კავშირია, რომელიც ხსნის მრავალრიცხოვან შემთხვევებს საძირესა და სახაფხველის ურთიერთობაში [1]. სინათლის ზემოქმედებით ფესვების გამწვანების ფაქტი დიდი ხანია ცნობილია ბ. რუბინისა და ვ. გერმანოვას გამოკვლევებმა გამოავლინა ის კავშირი, რომელიც არსებობს სინათლეზე ფესვების გამწვანების ინტენსივობასა და ამავე მცენარეების ფოთლებში პიგმენტების შედგენალობას შორის. აღნიშნული მკვლევარების მიერ დაკვირვების ობიექტად გამოყენებული იყო ცერცვი, მზესუმზირა და ნასტურცია. ეს მცენარეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფოთლებში ყვითელი და მწვანე პიგმენტების შემცველობით. აღმოჩნდა, რომ სინათლეზე ფესვების მიერ პიგმენტთა სინთეზის ინტენსივობა ფოთლებში მათი სინთეზის უნარის ანალოგიურია. მწვანე პიგმენტების სინთეზი უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს ცერცვის ფესვებში, რომელიც გამოირჩევა ფოთლებში ქლოროფილის მაღალი შემცველობით. მზესუმზირა ფესვებში კაროტინოიდებს უფრო მეტს შეიცავს, ვიდრე ქლოროფილს. ასეთივე სურათია მის ფოთლებში, ნასტურცია კი ფესვებში ქლოროფილს კვალს სახით შეიცავს. ავტორების მიერ აღნიშნულია განსაზღვრული დამოკიდებულება ფესვის ქსოვილის მიერ პიგმენტთა სინთეზის უნარსა და მასში ციტოქრომ-ოქსიდაზისა და კატალიზის აქტივობას შორის. მწვანე პიგმენტთა წარმოქმნას უნარით ფესვების აქტივობა შესაძლოა განისაზღვროს ფესვის ქსოვილების მიერ პორფირინების სინთეზის საერთო უნარით [2, 3].

ფოთლოვარეულ ფიტოქრომები შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი. უკანასკნელ ხანებში ამ მხრივ აღსანიშნავია ე. კეცხოველის გამოკვლევა კავკასიური ფლორის მერქნიან ჯიშებში ქერქისა და მერქნის ფიტოქრომებს შემცველობის შესახებ [4].

მრავალი შრომა არსებობს ზაზის ფოთლებში ფიტოქრომების შემცველობაზე, ფოთლოვარეულ პიგმენტებს კი მხოლოდ ერთწლიან რქებშია აღნიშნული. ქ. ილურიძე-მოლოჩანისა და ხ. ხიდაშელის გამოკვლევებიდან ირკვევა, რომ არსებობს გარკვეული კავშირი ქლოროფილის შემცველობასა და

ამერიკული საძირის 420-ა დაფესვიანების უნარს შორის, ქლოროფილის დაბალი შემცველობის დროს დაფესვიანება 25 პროცენტს აღწევს, ხოლო ქლოროფილის მაღალი შემცველობისას—90%-ს [5].

ე. ქეცხოველის მიერ ქართულ ვაზის მრავალ ჯიშზე აღნიშნული მიმართულებით ჩატარებულმა გამოკვლევებმა გამოავლინა, რომ სათბურის პირობებში რქების დაფესვიანებისას ფიტოქრომების მთელი კომპლექსი განიცდის რთულ ბიოქიმიურ გარდაქმნებს. მაგალითად, ქლოროფილის რაოდენობა მცირდება ერთნახევარჯერ, კაროტინისა—ერთიორად, ხოლო ქსანთოფილი უმნიშვნელოდ ცვალებადობს. იმ მცენარეებს, რომლებიც ხასიათდებიან ქლოროფილის ინტენსიური ხარჯით, რეგენერაციის უფრო მაღალი უნარი აღმოაჩნდათ იმ მცენარეებთან შედარებით, რომლებსაც ქლოროფილის შემცირება სათბურში გამოყვანისას მცირე სიდიდით ჰქონდათ აღნიშნული [6].

სინათლეზე ფესვების გამწვანების შემთხვევები ხშირადაა შემჩნეული, მაგრამ სიბნელეში ფესვებში ქლოროფილის და სხვა ფიტოქრომების წარმოქმნის მოვლენა ლიტერატურაში ცნობილი არ არის. ვაზის ფესვების სისტემის შესწავლასთან დაკავშირებით გათხრების წარმოებისას (1958 წ.) ჩვენ შევამჩნიეთ, რომ ფესვის უწყრილესი დაბოლოებანი, ფესვის წვერები, მომწვანომოყვითალო შეფერვით ხასიათდებოდნენ. აღნიშნული მოვლენა უფრო მკვეთრად იყო გამოსახული საკუთარ ძირზე დარგულ ევროპულ ვაზებზე და ნამყენებში, ხოლო ამერიკული საძირების ფესვის წვერების შეფერვა უფრო მკრთალად იყო გამოსახული. აღნიშნული მოვლენა შემჩნეული იყო აგრეთვე სავეგეტაციო ცდამიც ქვიშის კულტურებზე.

სინათლე იწვევდა ფესვის წვერის პიგმენტაციის გაქრობას. სინათლის ზემოქმედებით ფესვის წვერის გახუნება სწრაფად მიმდინარეობდა. გახუნების პროცესი კარგად ჩანს მიკროსკოპში მცირე გადიდებაზე. ფესვის წვერის პიგმენტური ნაწილის განივ განაკვეთზე პირველად ქერქში ეპიბლემის უჯრედების შემდეგ ეგზოდერმაში ჩანს პიგმენტების შემცველი უჯრედების ვიწრო შრე. ზოგჯერ პირველად ქერქში ვხვდებით ცალკეულ ქლოროფილის შემცველ უჯრედებს, რომლებიც ცენტრალურ ცილინდრამდე აღწევენ. ეს უჯრედები დასაწყისში მომწვანომოყვითალოა. შემდეგ სინათლის მოქმედებით თანდათან კარგავს მწვანე ფერს, რამდენიმე ხანს ინარჩუნებს ყვითელ ფერს და ბოლოს ძირითადად უფერული ხდება. სინათლის ზემოქმედებით ფესვის წვერის პიგმენტაციის დარღვევის მიზეზი ჭერჯირობით აუხსნელი რჩება. რადგან სინათლე ფესვში არსებულ ქლოროფილზე და სხვა ყვითელ პიგმენტებზე უარყოფით გავლენას ახდენს, ამიტომ ის სამუშაოები, რომლებიც ეხებადა სხვადასხვა ჯიშის ვაზის ფესვებში ფიტოქრომების შესწავლას, სიბნელეში ან მწვანე სინათლეზე დაბალი ტემპერატურის (10—15°) გამოყენებით მიმდინარეობდა. ვაზის ფესვის წვერებში და ფესვის სისტემის სხვა ზონებში ფიტოქრომების განსაზღვრისათვის გამოყენებული იყო დ. საბუნიკოვის მიერ დამუშავებული ქაღალდის ქრომატოგრაფიული მეთოდი. ფიტოქრომების გამოყოფას ვაწარმოებდით ქრომატოგრაფიულ ქაღალდ № 2-ზე შემდეგ გამსხნელების გამოყენებით: პირველი მიმართულებისათვის—ბენზოლი ბენზინით, შეფარება 3:1, ხოლო მეორე მიმართულებისათვის აღებული იყო ბენზინი 9%-იანი ეთილის სპირტით.

ფესვების ფიტოქრომული ზონის ანალიზებიდან ჩანს, რომ საკუთარ ძირზე დარგული რქაწითელის ფესვის წვერი შეიცავს შემდეგ ფიტოქრომებს: ქლოროფილ „ა“ და „ბ“-ს, კაროტინის, ლუტეინის, ვილაქსანტინის და ნეოქსანტინის. აღნიშნული მცენარის ფესვის სხვა ზონები მწვანე პიგმენტებს არ შეი-

ცავენ. ფესვის შემწვრ ზონაში ყველა ყვითელი პიგმენტი ადნიშნული, ხოლო გამტარ მსხვილ ფესვებში მხოლოდ კაროტინი და ლუტეინი გვხვდება. ანალოგიური სურათია დიულოს ფესვებში. რიპარია X რუპესტრის 3309 და 101—14-ის ფესვის წვერებში შემდეგი პიგმენტები აღმოჩნდა: კაროტინი, ლუტეინი, ვიოლაქსანტინი და ქლოროფილი „ა“. ბერლანდიერი X რიპარია 5 „ბბ“-ეს ფესვის წვერები, გარდა ზემო აღნიშნული პიგმენტებისა, ქლოროფილ „ბ“-საც შეიცავს. 5 „ბ“-ეს ფესვის წვერი, რომელზედაც დამყნობილია ალიგოტე, შეიცავს შემდეგ პიგმენტებს: კაროტინს, ლუტეინს, ვიოლაქსანტინს და ქლოროფილ „ა“-ს, ხოლო 3309-ის ფესვებში, რომელზედაც იგივე ჭიში ალიგოტეა დამყნობილი, გვხვდება ქლოროფილი კვალის სახით და ყვითელი პიგმენტები: კაროტინი, ლუტეინი და ვიოლაქსანტინი.

ამგვარად, ვაზის ფესვის ფიტოქრომები თვისობრივი შედგენილობით არ განსხვავდებიან ფოთლისა და რქის პიგმენტთა შედგენილობისაგან. განსხვავება მხოლოდ რაოდენობრივია. ჯერჯერობით ჩვენ მიერ ფესვის წვერში პლასტიდები, რომლებიც იქნებოდნენ აღნიშნული პიგმენტების მატარებელი, არ ყოფილა ნახული. ფიტოქრომები მთელ უჯრედებში დიფუზიურად იყო გავრცელებული. თუ ფესვის უჯრედებში ქლოროფილი და სხვა პიგმენტები მტკიცედ არაა დაკავშირებული სტრომის ცილებთან, ალბათ ამით უნდა იყოს გამოწვეული სინათლეზე ფესვის ქლოროფილის უმდგრადობა, მისი სწრაფი დაშლა და გახუნება.

შესაძლოა, მიკროსკოპის მცირე გადიდებაზე ვაზის ფესვში შემჩნეული ფებიან (სხვადასხვა სახის პლასტიდიან), არამედ აღსორბირებულნი იყვნენ ფებიან (სხვადასხვა სახის პლასტიდიან), არამედ აღსორბირებულნი იყვნენ უჯრედის უწვრილეს სტრუქტურულ ერთეულებზე. გარდა ამისა, ფოთლისა და ფესვის პლასტიდები ერთიმეორისაგან უნდა განსხვავდებოდნენ არა მარტო მორფოლოგიურად (ზომით, ფორმით და ა. შ.), არამედ ფიზიოლოგიური ფუნქციებითაც. აღნიშნული მოსაზრების გამოსარკვევად და ვაზის ფესვში პლასტიდური ფიტოქრომების შესწავლისათვის საჭიროა ციტოფიზიოლოგიური გამოკვლევა სათანადო მეთოდის გამოყენებით.

საინტერესოა აღინიშნოს ის კავშირი, რომელიც არსებობს ფესვებში პიგმენტების შემცველობასა და ფესვებიდან ნახშირბადის შეთვისების ინტენსივობას შორის. რადიოაქტიური ნახშირბადის გამოყენებით ჩატარებულმა ცდებმა გვიჩვენა, რომ არაქლოროზგამძლე საძირე 3309-ზე დამყნობილი ალიგოტე ნახშირბადის უფრო ინტენსიური აღსორბციით ხასიათდება, ვიდრე ქლოროზგამძლე საძირეზე 5 „ბ“-ზე დამყნობილი ალიგოტე [7].

ჩვენი შემდგომი გამოკვლევები მიზნად ისახავს ვაზის ფესვის პიგმენტების როლის დადგენას ფესვის სისტემაში მიმდინარე სხვადასხვა ფიზიოლოგიურ და ბიოქიმიურ პროცესებში. აქედან პირველ რიგში აღსანიშნავია ფესვის პიგმენტების როლის დადგენა ფესვებიდან ნახშირბადოვანი კვების საკითხში. ფესვის მიერ სხვადასხვა ნივთიერებათა აღდგენის უნარში, სუნთქვისა და ფერმენტატულ მოქმედების აქტიუობაში, მინერალური კვების საკითხში და სხვა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ბოტანიკის ინსტიტუტი

ФИЗИОЛОГИЯ РАСТЕНИЙ

Т. Я. ЧКУАСЕЛИ и Д. В. КОТАЕВА

 ПИГМЕНТЫ КОРНЕВОЙ СИСТЕМЫ ВИНОГРАДНОЙ ЛОЗЫ

 Резюме

Во время раскопок при изучении корневых систем виноградной лозы нами было замечено, что корневые окончания окрашены в желто-зеленый цвет. В этом отношении особенно отличаются корни европейских сортов на собственных корнях и корни тех подвоев, на которых привиты эти сорта. У американских подвойных сортов (непривитых) окраска корневых окончаний была слабее.

Свет вызывает разрушение пигментации корневых окончаний. Выцветание кончика корня под действием света происходит быстро.

Исследования показали, что кончики корней корнесобственных Ркацители содержат следующие фитохромы: хлорофилл «а» и «в», каротин, виолаксантин, лютеин и неоксантин. Другие зоны корневой системы не содержат зеленых пигментов. Во всасывающей зоне обнаружены только каротин и лютеин. Аналогичная картина отмечена у сорта Дюло. В кончиках корней у сортов Рипария×Рупестрис 101—14 и 3309 обнаружены следующие пигменты: каротин, лютеин, виолаксантин и хлорофилл «а».

Нашими исследованиями обнаружено, что существует определенная связь между содержанием хлорофилла и других пигментов в корнях и переходом в органическую форму углерода, поступающего в виде карбонатного иона через корни. В корнях Алиготе, привитого на 3309, радиоактивный углерод поступает интенсивнее, чем у Алиготе на 5 «бб», но переход в органическую форму, ассимиляция углерода в корнях Алиготе на 3309, происходит слабее, чем у Алиготе на 5 «бб». Соответственно с этим зеленых пигментов у Алиготе на 3309 гораздо меньше, чем у Алиготе на 5 «бб». Таким образом, наблюдается прямая связь между содержанием зеленых корневых пигментов и энергией ассимиляции углерода, поступающего в корневую систему виноградной лозы.

ლიტერატურის ციტირება—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Б. А. Рубин и В. Ф. Германова. Влияние корневых систем на формирование фотосинтетического аппарата. ДАН СССР, т. 107, № 5, 1956.
2. Б. А. Рубин и В. Ф. Германова. О синтезе пигментов в корнях. ДАН СССР, т. 124, № 4, 1959.
3. Б. А. Рубин и В. Ф. Германова. О синтезе пигментов в корнях. Тезисы докладов конференции «Корневое питание в обмене веществ и продуктивности растений». М., 6—10 февраля, 1961.
4. Э. Н. Кецховели. Пластинидные фитохромы коры и древесины. Труды Тбилисского ботанического института АН ГССР, т. 19, 1958.
5. К. Илауридзе-Молчан и Х. Хидашели. Влияние места подрезки и содержания хлорофилла на укореняемость сорта 420—А. Сообщения АН ГССР, т. III, № 9, 1942.
6. Э. Н. Кецховели. Пластинидные пигменты в древесине виноградной лозы. Сообщения АН ГССР, т. 20, № 4, 1958.
7. Ш. Ш. Чанишвили и Т. Я. Чкуасели. Влияние реакции среды на поступление карбонатного иона в корневую систему виноградной лозы. Материалы симпозиума по применению биофизики в области защиты растений. Ленинград, 1961.

ა. მშავანაძე

მასალები კეთილშობილი დაფნის ყავისფერი ლაქიანობის
გამომწვევი ორგანიზმის — *COLLETOTRICHUM NOBILE* (SACC.)
COMB. NOV. — შესწავლისათვის

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ლ. ყანაველმა 15.10.1962)

საქართველოში კეთილშობილი დაფნის ავადმყოფობათა შესწავლისას ჩვენ გამოვავლინეთ დაფნის ფოთლების ყავისფერი ლაქიანობა, ანუ ანთრაქნოზი, რომლის გამომწვევად ლიტერატურული ცნობებით [1, 2, 3, 4, 5, 6] *Gloeosporium nobile* Sacc. ითვლება.

იმის გამო, რომ ასეთ ლაქებზე ერთდროულად ვპოულობდით მელანკონიების ჯგუფის სოკოების — *Gloeosporium*-ისა და *Colletotrichum*-ის ტიპის ნაყოფიანობას (სარეცელებს უჯაგრებოდ და ჯაგრებით). გადავწყვიტეთ მისი სახეობრივი და გეარობრივი მნიშვნელობის დასადგენად შეგვესწავლა იგი როგორც წმინდა კულტურებში, ასევე ბუნებრივი ნიმუშების მიხედვითაც.

დაავადებულ ფოთლებზე ლაქები მრგვალია, დასაწყისში მუქი ყავისფერი, ოდნავ ჩაღრმავებული, შემდეგ ბაცი ყავისფერი ხდება და მუქი არ-შიითაა გარშემოვლებული.

სარეცელი ფოთლის ზედა მხარეზე ვითარდება შავი წერტილების სახით, პირველ ხანებში ნაყოფიანობა ეპიდერმისითაა დაფარული, შემდეგ კი უკანასკნელის დარღვევის გამო თავისუფლად მჯდომია, ზომით 130,5—17,5 მიკრონი (სურ. 1-А.).

სარეცელი ჯაგრებითაა, რომლებიც დატიხრული, მუქი ყავისფერია. ზომით 52—87×3,8—4,3 მიკრონი.

კონიდიომტარები მრავალუჯრედიანია, უფერული, ზომით 26,3—30×3,5—4,5 მიკრონი.

კონიდიუმები ერთუჯრედიანია, უფერული, მასაში მოწითალო-პირისფერი, მოგრძო-ელიფსისებრი, სწორი ან ოდნავ მოხრილი; ზომით 18,5—21,3×4,2—6,3 მიკრონი. მარცვლოვანი შიგთავსით, ცხიმის წვეთებით (სურ. 1-Б).

ჩვენი ნიმუშები შევადარეთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის ჰერბარიუმში დაცულ *Gloeosporium nobile* Sacc.—ნიმუშებთან, აგრეთვე დიაგნოზებს, რომლებიც მოცემულია ლიტერატურაში.

ქვემოთ, 1 ცხრილში მოცემულია აღნიშნული სოკოების კონიდიური ნაყოფიანობის (კონიდიუმების, კონიდიომტარებისა და სარეცელების) ზომები.

ცხრილი 1

სახეობა დასახელება	სახეობის დამახასიათებელი ნიშნები			შენიშვნა
	ზომები			
	კონიდიუმები	კონიდიო- მტარები	სარეცელი	
<i>Colletotrichum nobile</i> (Sacc.) comb. nov.	18,5—21,3× 4,2—6,2 მიკრონი	26,3—53× 3,55—4—5 მიკრონი	130,5—170,5 მიკრონი	გვხვდება როგორც ჯაგრებიანი, ასევე უჯაგრებო სარეცელებიც
<i>Gloeosporium nobile</i> Sacc.	18—24×5—6 მიკრონი	20—50×4— 5,2 მიკრონი	125—173 მიკრონი	

როგორც 1 ცხრილიდან ჩანს, სარეცელების კონიდიომტარებისა და სპორების ზომები საესებით მსგავსია. მსგავსება არის აგრეთვე მათ ფორმებსა და ავადმყოფობის გარეგნულ სიმპტომებს შორის. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს ნიმუშებში გვხვდება ჯაგრებიანი სარეცელებიც.

გვარი *Gloeosporium*-ისაგან გვარი *Colletotrichum*-ის ერთ-ერთ ძირითად განმასხვავებელ ნიშანს კონიდიურ სარეცელზე ჯაგრების არსებობა წარმოადგენდა. პირველ ხანებში გვარი *Colletotrichum*-ის ბევრი წარმომადგენელი, რომელთა სარეცელზე მუქად შეფერილი ჯაგრები ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული ან მკვლევართა მიერ არ იყო შეჩინებული, მიკუთვნებული იყო გვარ *Gloeosporium*-ს. შემდგომ მათ სარეცელზე ჯაგრების შენიშვნის გამო ეს სახეობები გვარ *Colletotrichum*-ში იქნენ გადაყვანილი. ამიტომ გვარი *Colletotrichum*, ისე როგორც გვარი *Gloeosporium*, ბევრი სახეობისათვის სინონიმებს წარმოადგენდა.

მრავალი მკვლევარი [3,7,8,9,10,11] აღნიშნავს, რომ ჯაგრების არსებობა სარეცელზე მყარი არ არის და ამიტომ იგი გვარ *Colletotrichum*-ის დადგენისათვის ძირითად დიაგნოსტიკურ ნიშნად არ ჩაითვლება.

ზემოთ აღნიშნული მკვლევრები გვარ *Colletotrichum*-ს გენეტიკურად უკავშირებენ ჩანთიან სოკოს *Glomerella*-ს. ამავე ავტორების მიხედვით გვარი *Colletotrichum*-ის დამახასიათებელ ნიშნებად უნდა ჩაითვალოს: სარეცელი ჯაგრებით ან უჯაგრებოდ, სპორების ღივებზე აპრესორიუმების განვითარება, პსევდოპიკნიდები ან პიკნიდები, სკლეროციუმები და ჩანთიანი სტადია *Glomerella*-ს ტიპისა.


ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დიაგნოსტიკური ნიშნის მისაღებად ჩვენ გამოვიყენეთ სოკო სუფთა კულტურებში; ვადათესილი გვექონდა ლუდაგარის საკვებ არეზე და ძიძოს (*Melilotus officinalis* (L.) Desr.) სტერილურ ტოტებზე.

ლუდაგარზე სოკო კარგად ვითარდება, მიცელიუმი მუქი ნაცრისფერი, ძირში მოშავო მონაცრისფროა; 7—8 დღეში ვითარდება სარეცელი კონიდიომტარებით, კონიდიუმებითა და ჯაგრებით (სურ. 1-A¹).

ჯაგრებიან სარეცელებთან ერთად გვხვდება მოუწიფებელი უჯაგრებო სარეცელები. კონიდიური ნაყოფიანობა ნაცრისფერ მიცელიუმზე მოწითალო პირისფერი მეჭეპების სახითაა შესამჩნევი. ამ შეფერვას კონიდიუმების მისა

იდლევა. კონიდიუმები გაღვივებისას, როგორც ლუდაგარზე, ასევე წვეთში მაგარ სხეულებთან, როგორც, მაგალითად, სინჯარის კედლებთან, შეხების ადგილებში ივითარებს მრგვალი ან მსხლისებრი ფორმის მუქ ყავისფერი აპრესორიუმებს (სურ. 1-Е). ვითარდება სკლეროციუმებიც, მუქი ყავისფერი მსხვილი სხეულების სახით, ზომით 35—45×30 მიკრონი.

ძიძოს სტერილურ ტოტებზე ჩვენ შევძელით მიგველო ჩანთიანი სტადია *Glomerella cingulata* (Stoneman) Shr. et Sp.



სურ. 1. *Colletotrichum nobis* (Sacc.) comb. nov. ნაყოფიანობის ფორმები: A — კონიდიური სარეცელი, A¹ — კულტურაში, საკვებ არეზე, B — ჩანთიანი სტადია — *Glomerella cingulata* (Stoneman) Shr. et Sp. პერიტეციუმი, Γ — ჩანთა სპორებით, Д — ასკოსპორები, E — აპრესორიუმები კონიდიუმების ლივებზე

პერიტეციუმები იქმნება სტრომაზე ჯგუფებად; მუქი ყავისფერი, მრგვალი ან მსხლისებრი ფორმისაა, მოკლე ხორთუმიტ, რომელიც ზოგჯერ ჯაგრებიანია; ზომით 275—315×165 მიკრონი (სურ. 1-В).

ჩანთები ცილინდრული ანდა ქინძისთავისებრია, მოკლე ფეხით, 8-სპორიანია, უპარაფიზოლ; ზომით 60,9—87,0×7,3—11 მიკრონი (სურ. 1-Г).

სპორები ერთუჯრედიანია, ჩანთაში ორ რიგადაა განლაგებული, მეტწილად ოდნავ მოხრილია, ცილინდრულია, მომრგვალებული ბოლოებით, ბაცი წინგოსფერი, შუაში ნათელი ადგილით; ზომით 22—27,5×4,8—6,5 მიკრონი (სურ. 1-Д).

ამრიგად, *Glomerella*-ს ტიპის ჩანთიანი სტადიის თანაპოვნეობის, აგრეთვე ჯაგრების, სკლეროციუმებისა და აპრესორიუმების განვითარების

საფუძველზე აღნიშნული სოკო გვარი *Gloeosporium*-იდან გვარ *Colletotrichum*-ში გადავიყვანეთ და *Colletotrichum nobile* (Sacc.) comb. nov. ვუწოდეთ¹.

მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი
თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 15.10.1962)

ФИТОПАТОЛОГИЯ

А. В. МЖАВАНАДЗЕ

МАТЕРИАЛЫ К ИЗУЧЕНИЮ ВОЗБУДИТЕЛЯ ПЯТНИСТОСТИ ЛИСТЬЕВ ЛАВРА БЛАГОРОДНОГО—COLLETOTRICHUM NOBILE (SACC.) COMB. NOV.

Резюме

При изучении болезни благородного лавра в Грузии нами отмечена коричневая пятнистость его листьев, возбудителем которой, по литературным данным [1, 2, 3, 4, 5, 6], является грибок *Gloeosporium nobile* Sacc.

Ввиду того что на пятнах были найдены одновременно плодонбесия двух видов грибов из меланкониевых—*Gloeosporium* и *Colletotrichum* (ложка без щетинок и со щетинками), мы решили для установления родового и видового значения гриба изучить его как в чистых культурах, так и по естественным образцам.

На пораженных грибом листьях развиваются сначала темно-коричневые пятна, округлые, слегка углубленные, а в дальнейшем более светлой окраски и с темной каймой.

Ложка на верхней стороне листа в виде черных точек прикрыты эпидермисом, но в дальнейшем эпидермис разрушается и они выступают на поверхность; диаметр лож—130,5—170,5 микрона (рис. 1-А). Ложки со щетинками, щетинки многоклеточные, темно-коричневые; размер щетинок—52—87×3,8—4,3 микрона. Конидиеносцы многоклеточные, бесцветные, размером 26,3—30×3,5—4,5 микрона. Конидии одноклеточные, бесцветные, в массе красноватые, удлинненно-эллипсоидальные, прямые или слегка

¹ მკერვალმა [12,13] კეთილშობილ დაფნაზე აღწერა სოკოს ახალი სახეობა *Colletotrichum lauri* Mker. კონიდიუმებისა და კონიდიოთმტარების ფორმისა და ზომების მიხედვით, აგრეთვე ჯაგრების შენიშვნის საფუძველზე. კონიდიუმებისა და კონიდიოთმტარების ფორმები და ზომები კი საესებით ვითარებდა Saccardo-ს მონაცემებს *Gloeosporium nobile*-სათვის, აგრეთვე ჩვენს დიაგნოზსაც. ასე რომ მკერვალის მიერ ამ სოკოს ახალ სახეობად აღწერა მარტო ჯაგრების შენიშვნის საფუძველზე, რომელიც არ ითვლება მყარ დიაგნოსტიკურ ნიშნად, ჩვენი აზრით, უსაფუძველოა.



изогнутые, размером $18,5-21,5 \times 4,2-6,3$ микрона, с зернистым содержанием и с каплями жира (рис. 1-Б).

Наш образец сравнивался с гербарными образцами *Gloeosporium nobile* Sacc. хранящимися в Институте ботаники Академии Наук Грузинской ССР, а также с диагнозами, которые имеются в литературе (таблица 1).

Сравнивая размеры конидиеносцев и спор, а также их форму и внешние симптомы болезни, мы находим полное сходство нашего вида с *Gloeosporium nobile* Sacc. Отличие заключается только в присутствии щетинок в ложе наших образцов.

Наличие в ложе щетинок считалось раньше одним из главных признаков для отличия рода *Colletotrichum* от рода *Gloeosporium*, поэтому многие представители рода *Colletotrichum*, у которых в ложе щетинки не были развиты или не были обнаружены, были отнесены к роду *Gloeosporium*. В дальнейшем при обнаружении щетинок эти виды были переведены в род *Colletotrichum*. Однако многие исследователи [3, 7, 8, 9, 10, 11] указывают, что наличие в ложе щетинок является неустойчивым диагностическим признаком и поэтому оно не может считаться основой для установления рода *Colletotrichum*.

Вышеупомянутые исследователи род *Colletotrichum* связывают генетически с сумчатым грибом *Glomerella*.

По данным этих авторов, характерными признаками рода *Colletotrichum* надо считать: ложка со щетинками или без щетинок, развитие апрессориев на ростках спор, наличие псевдопикнид или пикнид, склероции и сумчатую стадию типа *Glomerella*.

Для получения всех этих диагностических признаков мы выделили гриб в чистую культуру на пивном агаризованном сусле и на стерильных ветках донника (*Melilotus officinalis* (L.) Desr.). На пивном агаризованном сусле гриб развивает мицелий, ложка с конидиеносцами, конидиями и щетинками, а также недозревшие ложка без щетинок (рис. 1-А¹).

Конидиальные плодоносные образуются на сером мицелии в виде красноватых бородавок. Конидии, прорастающие при соприкосновении с твердыми телами, развивают круглые или грушевидные апрессории (рис. 1-Е) темно-коричневой окраски.

Нам удалось получить сумчатую стадию *Glomerella cingulata* (Stoneman) Shr. et Sp. на стерильных ветках донника.

Перитеции образуются на строге гриппами, темно-коричневые, округлые или грушевидные с коротким хоботком, на котором иногда заметны волоски; размер— $275-315 \times 165$ микронов (рис. 1-В).

Сумки цилиндрические или булавовидные с короткой ножкой, восьмиспоровые, без парафиз, размер сумок— $60,9-87 \times 7,3-11$ микронов (рис. 1-Г).

Аскоспоры одноклеточные, большей частью слегка изогнутые, цилиндрические, с закругленными концами, расположены в два ряда, оливкового цвета, в середине светлые, размер— $22-27,5 \times 4,8-6,5$ микрона (рис. 1-Д).

Итак, наличие сумчатой стадии типа *Glomerella*, а также шетинок, склероциев и апрессориев дало нам основание перевести указанный гриб из рода *Gloeosporium* в род *Colletotrichum* и назвать его *Colletotrichum nobile* (Sacc.) comb. nov.

დაამუშავებული ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. P. A. Saccardo. Sylloge Fungorum, vol. III. 1884.
2. A. Allescher. Die Pilze Deutschlands, Ostereichs und der Schweiz. VII, Fungi Imperfecti: in J. Rabenhorst's, Kryptogamen-Flora. tsoud: Leipzig, 1903.
3. Н. И. Васильевский и Б. П. Каракулин. Паразитные несовершенные грибы, ч. II. Меланконияльные. Изд. АН СССР, М.-Л., 1950.
4. Ю. Н. Воронов. Свод сведений о микрофлоре Кавказа. ч. I, Юрьев, 1915.
5. Н. И. Воронихин. Грибные и бактериальные болезни с.-х. растений. Тифлис, 1922.
6. ლ. ყანჭაველი. სასოფლო-სამეურნეო კულტურების ავადმყოფობანი და მათთან ბრძოლა. II, თბილისი, 1945.
7. А. А. Потеня. К истории развития некоторых аскомицетов. Харьков, 1908.
8. М. Родыгин. К вопросу о полиморфизме *Gloeosporium lagenarium* (Pers) Sacc. et Roum. ДАН СССР, т. LIX, № 4, 1948.
9. Г. Р. Ибрагимов. Критический обзор видов р. р. *Colletotrichum* и *Gloeosporium*, вызывающих антракноз у сельскохозяйственных растений. Автореферат. Л., 1949.
10. მ. თარგამაძე. გვარი *Colletotrichum*-ის წარმომადგენელთა შესწავლისათვის საქართველოში. მცენარეთა დაცვის ინსტ. შრომები, ტ. X, თბილისი, 1954.
11. მ. თარგამაძე. გვარი *Colletotrichum*-ის წარმომადგენლები საქართველოში. ავტორეფერატი. თბილისი, 1950.
12. ვ. მკერვალი. დაუნის სოკოვანი ავადმყოფობანი. ჟურნალი „სუბტროპიკული კულტურები“, № 2, 1962.
13. ვ. მკერვალი. კოლეტოტრიუმ ლაურის ბათოგენური და ფიხიოლოგიური თვისებების შესწავლისათვის. ჟურნალი „სუბტროპიკული კულტურები“, № 3, 1962.



ბ. ხარაზიშვილი

მომკნიანი ჯიშებისათვის მთის ჭიჭინობელს (*CICADETTA MONTANA* SCOP.) გავნეობის შესახებ საქართველოში

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლ. კალანდაძემ 9.12.1961)

ცნობილია, რომ ჭიჭინობელები ბალახეული მცენარეების მავნებლებს და ვირუსოვან დაავადებათა ვადამტანებს წარმოადგენენ. მერქნიანი ჭიჭინობისათვის მათი მავნეობა ამ უკანასკნელ წლებამდე არ იყო აღნიშნული. ზოგიერთი მკვლევარი კი მათ მავნეობას კიდევაც უარყოფდა. არსებობს მხოლოდ ცალკეული მონაცემები ზრდასრული ჭიჭინობელების მავნეობის შესახებ ხეხილის ხარგავებისათვის [1].

ლიტერატურულ წყაროებში ამ ჯგუფის მწერებს ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა ერთეული შრომები, რომელიც ეხება ჭიჭინობელს ზოგიერთი სახეობის მავნეობას მერქნიანი და ბუჩქოვანი მცენარეებისათვის.

საქართველოში ჭიჭინობელების შესახებ ცნობები მხოლოდ ფაუნისტურ ხასიათს ატარებდა [2] და მათი მავნეობა სოფლის მეურნეობის ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურებისათვის [3, 4, 5] აღინიშნებოდა. შედარებით იშვიათად ქვეყნდებოდა ცნობები მათ მავნეობაზე მერქნიანი ჭიჭინობისათვის [6, 7, 8].

ეს სტატია ეხება ერთერთ ყველაზე საინტერესო, მაგალობელი ჭიჭინობელების ევროპულ სახეობას—მთის ჭიჭინობელს (*Cicadetta montana* Scop.) და წარმოადგენს ჩვენ მიერ 1950—1958 წწ. ჩატარებული დაკვირვებებით მოპოვებულ მასალებს საქართველოს ტყის მასივების, ნაკრძალების, სანერგეების, პარკებისა და დაცვითი ხარგავების გამოკვლევების დროს.

მაგალობელი ჭიჭინობელების უმეტესი ნაწილი გვხვდება ტროპიკულ და სუბტროპიკულ ქვეყნებში, სადაც ისინი ფართოდ არიან გავრცელებული. ყველაზე დიდი ევროპული ჭიჭინობელების (*Lyristes plebejus* Scop., *Cicada orni* L.) სიდიდე 45—50 მმ. არ აღემატება. დანარჩენი სახეობანი (*Tibicen naematodes* Scop., *T. quad. risignatus* Hag., *Cicadatra querula* Pall.), მათ შორის მთის ჭიჭინობელებიც უფრო ნაკლები სიდიდისანი არიან.

ყველა შემთხვევაში აღნიშნული სახეობა ცნობილია საქართველოში [2, 7, 8, 9]. მათგან შედარებით ფართოდაა გავრცელებული მთის ჭიჭინობელა. იგი გვხვდება საქართველოს თითქმის ყველა რაიონში ფოთლოვანი, მერქნიანი ჭიჭინობის გავრცელების ადგილებში. მთიან ადგილებში მავნებელი გვხვდება 1700—1800 მეტრამდე ზღვის დონიდან. მთის ჭიჭინობელს განვითარებისათვის ხელსაყრელ გარემო პირობებში გვხვდება მისი მასობრივი გამრავლების კერები. ყველაზე დიდი კერა მთის ჭიჭინობელს გავრცელებისა (80 მ) ჩვენ მიერ აღნიშ-

წელი 1954 წელს, საგარეჯოს სატყეო მეურნეობის უჯარმის სატყეოში, ციკლოპრობის მთის სამხრეთ დაქანებაზე, როგორც ჩანს, მავნებლის ეს კერა დიდი ხანია არსებობს.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ადგილის კლიმატი კონტინენტური ტიპისაა. იგი ხასიათდება ცხელი და მშრალი ზაფხულით და ზომიერი ცივი ზამთრით. ნიადაგი ძლიერ გამკვრივებული, არაღრმა, ქვენატროვანი, დედა ჭიშკების აბოლ განლაგებით, ალაგალაგ ჩამონარეცხი, გოროხოვანი სტრუქტურით. სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ექსპოზიციასზე გვხვდება კარგად გაშოსახული მუხნარ-რცხილნარი ტყე, ველურად მეზარდი ხეხილოვნების (პანტა, მაყალო, ტყეშალი, შინდი და სხვა) შერევით და სხვადასხვა სახის ბუჩქნარებით (თრიპლი, კუნელი, ძეძვი).

ტყის ამონაყარით წარმოშობამ და ბუნებრივ ნარგავბათა ეკოლოგიური პირობების მკვეთრმა შეცვლამ (სიმეჩხრე, პირუტყვის ძოვება და სხვა) გამოიწვია მათი დასუსტება და მავნებლების, კერძოდ მთის ჭიჭინობელას, კერძის წარმოშობა.


უნდა აღინიშნოს, რომ თესლით წარმოქმნილ ძირითადი ტიპა ტყის კომპლექსში მთის ჭიჭინობელას გავრცელების კერები არ შეგვიინიშნავს. ზემოთ აღნიშნული მოვლენა მავნებლების კერების წარმოშობის შესახებ აღწერილი აქვს დ. რუდნევი [10].

მთის ჭიჭინობელას მავნეობა მერქნიანი ჭიშებისათვის და მისი განვითარების ციკლი საქართველოს პირობებში ჩვენი დაკვირვებების მიხედვით ასეთია: აპრილ-მაისში, ამინდისა და ადგილმდებარეობის ექსპოზიციის მიხედვით. ნიშნავს ამოდის ნიადაგიდან და ადის ხეებზე, ბუჩქნარებზე და ბალახეული მცენარეების ღეროებზე, ემაგრება მას და გარდაიქმნევა იმაგოდ.

ე. შუმანოვი [11] მონაცემებით, მთის ჭიჭინობელას ახასიათებს თავისებური ფრენის წლები. ნიშნის გამხმარი კანი ისე მაკრად არის მიმაკრებული ხის ღეროსა და ტოტებზე, რომ ძირს რამდენიმე თვის განმავლობაში არ ცვივა. ნიშნის კანის რაოდენობა (1954 წლის 10 ნოემბერს უჯარმაში ჩატარებული აღრიცხვებით) თითოეულ ბუჩქზე და ჩვეულებრივი სიდიდის ხეზე 57—93 ცალს აღწევდა. 1955 წელს ნიადაგიდან ნიშნის ამოსასვლელი სერულუბის რაოდენობა ერთ კვადრატულ მეტრზე 2—7-დან 46—112-მდე მერყობდა. ამოსასვლელ ხერვლთა რაოდენობის მერყეობა დამოკიდებულია დაქანების ექსპოზიციის, ნაკვეთის განათების, ნიადაგის მექანიკური შემადგენლობისა და მისი სისქისაგან. იმ ადგილებში, სადაც შემოდგომით და გაზაფხულზე აღნიშნული იყო წყლის დატბორების შემთხვევები, ჭიჭინობელების გამოსავალი ხერვლები არ შეგვიინიშნავს.

ზრდასრული ჭიჭინობელები ძლიერ მოძრავნი, სინათლისა და სითბოს მოყვარულნი არიან.

მცენარის წვენი მავნებლის კვების გამო ფოთლებზე, ტოტებსა და ყლორტებზე ჩხვლეტის ადგილებში წარმოიქმნება ნეკროზული ადგილები. შესაძლებელია ამ დროს ხდებოდეს ჭიჭინობელების მიერ ვირუსოვანი ავადმყიდობის გადატანაც. როგორც ჩანს, დედალი კვერცხებს დებს 2-დან 25-მდე მშფობის გადატანაც. როგორც ჩანს, დედალი კვერცხებს დებს 2-დან 25-მდე მშფობის გადატანაც. როგორც ჩანს, დედალი კვერცხებს დებს 2-დან 25-მდე მშფობის გადატანაც. როგორც ჩანს, დედალი კვერცხებს დებს 2-დან 25-მდე მშფობის გადატანაც.



ნახ. 1. შთის კიკინობელას შიერ დაზიანებული უსასო ტოტები:
ა—ვერცხედების ადგილები, ბ—გამზნარი ტოტი

ში“ კრილების რაოდენობა 12—15-ს უდრის, ე. ი. ერთი დედალი ჰქონიანობელას სქესობრივი პროდუქცია, როგორც ჩანს, 140—600 ცალს უდრის.

წვივო ტოტებზე (4—7 მმ) კვერცხდება ხდება ჩვეულებრივად ერთ მწკრივში, ხოლო უფრო მსხვილ ტოტებზე (10—25 მმ) ხშირად 2—3 მწკრივს ვხვდებით (სურ. 1). ზოგჯერ საკვერცხე ჰრილები ერთიმეორეს ემთხვევა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ კვერცხდება ჩატარებული სხვადასხვა დროს. სხვადასხვა დედალი ჰქონიანობელას მიერ. ჩვენი აღრიცხვებით (უჯარმა, 1954) 10 სმ სიგრძის ყლორტებზე საშუალოდ 8—10 კრილი მოდიოდა, რაც შეადგენდა 96—400 ცალ კვერცხს. ტოტზე ასეთი 2—3 „მწკვივს“ არსებობის დროს კვერცხთა რაოდენობა შესაბამისად 2—3-ჯერ იზრდება. იმდენად, რამდენადაც სამხრეთ ფერდობზე ხეებისა და ბუჩქების ტოტებზე დიდი რაოდენობით იყო აღნიშნული კვერცხდება, ჩვენი აღრიცხვები გვაძლევს იმის წარმოდგენას, თუ რამდენად დიდია ჰქონიანობელას სქესობრივი პროდუქციულობა. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ მთის ჰქონიანობელას მიერ დაზიანებული ტოტების უმეტესი ნაწილი ხმება (სურ. 1), მაშინ ნათელია, თუ რა დიდი ზიანის მოტანა შეუძლია მავნებელს მერქნიანი ჯიშებისა და ბუჩქნარებისათვის (მწერის გამრავლების ხელსაყრელი პირობების დროს).

ხის ტოტების დიდი რაოდენობით გახმობის გამო მცირდება ხის ვარჯის სასიმილაციო ფართობი, წლიური შემატება და ნაყოფიანობა, მცენარე სუსტდება და იგი მეორადი მავნებლების (ქერქიჭამიები, ხარაბუხები და პეწიანები) მსხვერპლი ხდება. ჩვენ მიერ შენიშნულია ჰქონიანობელას დაზიანებით კენწეროებგამხმარი ცალკეული ხეები.

უნდა აღინიშნოს, რომ მთის ჰქონიანობელათი დაზიანებული ყველა ტოტი არ ხმება, ზოგიერთ მათგანზე მავნებლის მიერ მიყენებული ჰრილობა ხორცდება. აღნიშნული დამოკიდებულია მცენარის ზრდის პირობებისა და დაზიანებისადმი მისი რეაქციის უნარისაგან. მით უმეტეს, რომ აღნიშნული პროცესი საკმაოდ გახანგრძლივებულია და იგი 3—5 წლამდე გრძელდება.

უჯარმის პირობებში მთის ჰქონიანობელას მიერ მერქნიანი ჯიშებიდან ყველაზე ძლიერ იყო დაზიანებული მუხა, ხოლო შედარებით ნაკლებად კი რცხილა, თელა, ჯაგრცხილა, ტირიფი, ნეკერჩხალი, პანტა, მაქალო, იფანი, თრიშლა, ღოღნოშო და სხვ.

ე. შუმანოვის [11] მონაცემებით, მთის ჰქონიანობელას მიერ ზიანდება 4-სახეობის მერქნიანი ჯიშები, მათ შორის უფრო ძლიერ — ცაცხვი. მისი აზრით, ჰქონიანობელა უპირატესად აზიანებს შედარებით რბილ მერქნიან ჯიშებს. ეს მოვლენა ჩვენ მიერ საქართველოში არ არის შენიშნული.

მთის ჰქონიანობელა აზიანებს, როგორც ხნიერ ხის ტოტებს, ისე მოზარდს განათებულ ადგილებში. ეს უკანასკნელი კი უარყოფითად მოქმედებს ტუის განახლებაზე. ხშირ ნარგავებში ჰქონიანობელა უპირატესად კვერცხს დებს კენწეროებზე და ვარჯის განათებულ ადგილებში. ჩრდილო დაქანების ექსპოზიციებზე კვერცხდება შედარებით იშვიათია.

ახალდადებული კვერცხი თეთრი ფერისაა, შემდეგში მოწითალო ფერს ღებულობს. კვერცხებიდან მატლებს გამოსვლა ძლიერ გაქიანურებულია. იგი იწყება ივლისის ბოლოდან და ოქტომბრის პირველ რიცხვებამდე გრძელდება. აღნიშნული დამოკიდებულია ამინდის პირობებისა და მოცემული სტაციის მიკროკლიმატისაგან. მატლი კვერცხიდან გამოსვლისთანავე ცვივა ძირს და ჩადის ნიადაგში. მატლები და შემდეგ ნიმფები თავისი მძლავრი წინა ფეხებით თხრიან სასკლელებს და იკვებებიან მერქნიანი ჯიშებისა და ბუჩქნარების ფესვების წვენიით. ხნიერი ხეები მავნებლის დაზიანებით შედარებით ნაკლებად

სუსტდებიან, ხოლო მათი რაოდენობით ნიადაგში დასახლების შემთხვევაში ახალგაზრდა ნარგავები საგრძნობლად ზიანდება.

მთის ჭიჭინობელას განვითარების ხანგრძლივობა ზუსტად არ არის დაღვენილი, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი 3—4 წელს უდრის; ამასვე აღნიშნავენ ა. ფაბრი [12] და ნ. ხოლოდკოვსკი [1] ჭიჭინობელების ევროპულ სახეობათათვის.

მთის ჭიჭინობელა კვერცხიდან იმავომდე განვითარების თავისებურ ციკლს გაივლის, რამდენადაც იგი არასრული გარდაქცევით ხასიათდება. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მავნებელი თითქმის განვითარების ყველა ფაზაში აზიანებს სხვადასხვა მერქნიან ჯიშებს და მის მიერ გამოწვეული ზიანი ხშირად საგრძნობლად დიდია.

მთის ჭიჭინობელას წინააღმდეგ ე. შუმანოვი [11] ურჩევს მავნებლის გავრცელების კერებში ძლიერ დასახლებული ხეებისა და ამონაყარების (ვანსაკუთრებით ცაცხვის) მოჭრას და დაწვას კვერცხიდან მატლის გამოსვლამდე, აგრეთვე ბიოლოგიური მეთოდის გამოყენებას.

ჩვენი აზრით, ისეთ ადგილებში, სადაც ჭიჭინობელას განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობებია, საჭიროა ლიკვიდაცია ეყოს სიმეჩხრეს, ხოლო საზღვრებში და ვანსაკუთრებით ძვირფასი ჯიშების კულტურებში კარგ შედეგს მოგვცემს ნიადაგის საფარის ჰექსაქლორანით ან დღტ-ით შეფრქვევა ნიმფის ნიადაგიდან ამოსვლის ან მატლის კვერცხიდან გამოსვლის წინ.

დასკვნები

1. საქართველოში მთის ჭიჭინობელა (*Cicadetta montana* Scop.) მეტნაკლებად თითქმის ყველგანაა გავრცელებული. მისი მასობრივი გავრცელების კერები (უჯარმა, 1954) უმთავრესად გამეჩხრებულ ამონაყარზე და სამხრეთ დაქანების ექსპოზიციან ადგილებზე აღნიშნული.

2. მთის ჭიჭინობელა აზიანებს მერქნიანი ფოთლოვანი ჯიშების 42-მდე სახეობას (მუხა, რცხილა, თელა, ჯაგრცხილა, იფანი და სხვა). ჭიჭინობელა იკვებება ფოთლების, ტოტების (იმაგო) და ფესვების (მატლი, ნიმფა) წვენით, აგრეთვე კვერცხის დების დროს აზიანებს ტოტებს, რის გამოც ტოტები ხშირად.

3. მთის ჭიჭინობელას რიცხვის შემცირების მიზნით საჭიროა სიმეჩხრის ლიკვიდაცია, აგრეთვე სატყეო-სამეურნეო, ბიოლოგიური და ქიმიური მეთოდების გამოყენება.

მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი

თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 15.12.1961)

ЭНТОМОЛОГИЯ

К. В. ХАРАЗИШВИЛИ

О ВРЕДНОСТИ ГОРНОЙ ЦИКАДЫ ДРЕВЕСНЫХ ПОРОД В ГРУЗИИ

Резюме

სხეულის შემადგენელი თხიერ და მკვრივ ნივთიერებათა წონითი შედგენილობის გამოანგარიშებული საშუალოები მიახლოებით ასე გამოიყურება: უჯრედგარეშე სითხის მასა—14,668 კგ, უჯრედების მასა—34,209 კგ, მინერალურ ნივთიერებათა — 3,209 კგ, ცხიმის მასა, გამოთვლილი A მეთოდით — 15,006 კგ, ხოლო B მეთოდით — 15,134 კგ. იმის გამო, რომ ამ აბსოლუტური მაჩვენებლების ვარიაცია დამოკიდებულია სხეულის ფაქტობრივი წონისაგან, ჩვენ დავადგინებთ ამ ნივთიერებათა პროცენტული თანაფარდობა არა მარტო ფაქტობრივ წონასთან, არამედ სხეულის მკვლე ნაწილის წონასთანაც. გამოანგარიშებამ გვიჩვენა, რომ სხეულის ფაქტობრივი წონის დაახლოებით 77% შეადგენს სხეულის მკვლე ნაწილის წონა, მაშინ როდესაც დანარჩენი ცხიმს მიეკუთვნება. ასეთ პირობებში უჯრედგარეშე სითხის მასა უნდა შეადგენდეს 21,7% ფაქტობრივი და 28,15% გამოანგარიშებული მკვლე წონისა, უჯრედების მასა, შესაბამისად, — 50,7% და 65,7%, მინერალურ ნივთიერებათა მასა — 4,8% და 6,15%. ამრიგად, მკვლე სხეულის უჯრედების მასისა და უჯრედგარეშე სითხის ურთიერთშეფარდება 2,33 გვაძლევს.

იმის გამო, რომ შარდოვანას საშუალებით ტოტალური სითხის სტეფენსენისეული გამოკვლევის ერთადერთ შემამოწმებელ შრომას წინამდებარე შრომა წარმოადგენს, შედარებისათვის მოვიყვანთ არა მარტო მის, არამედ სხვა მკვლევართა მონაცემებსაც, რომლებიც იმავე მიზნისათვის იყენებდნენ სხვა ნივთიერებებს. სტეფენსენი .16 ჯანმრთელ პირზე ტოტალური სითხის მოცულობის მერყეობას აღნიშნავდა 64,5%-დან 82,5%-მდე, ხოლო სიმსუქნის მქონეთა შორის — 40,3%-დან 58,9%-მდე. ასეთ დიდ ვარიაციას ტოტალური სითხის მოცულობაში იგი უკავშირებს გამოსაკვლევ პირების სხეულის ზედაპირისა და კვებოების ხარისხს. ჩვენი ციფრები სტეფენსენის მონაცემებზე დაბალია.

დეიტერიუმის უანგით განსაზღვრისას ტოტალური სითხის მოცულობა სხვადასხვა უნახავთ: სხეულის ფაქტობრივი წონის 63%, 72% და 53%; ანტიპირინის მეთოდი იძლეოდა საშუალოდ 52%, ხოლო ტრიტიუმის უანგით განსაზღვრა — 64,8%. როგორც მოყვანილიდან ჩანს, ჩვენი ციფრები ახლოს დგას სობერმანისა და თანამშრ. მონაცემებთან [4]. სხვადასხვა ავტორთა მიერ ნახული საშუალო მონაცემების განსხვავება შეიძლება დამოკიდებული იყოს არა მარტო სხეულის ზედაპირის და ცხიმის მასის ცვლილებისაგან, არამედ უანგადის მოხმარების ოდენობისაგანაც.



კიდევ უფრო მეტ სხვაობას ვხვდებით უჯრედგარეშე სითხის მოცულობის გამოკვლევის არა მარტო სხვადასხვა მეთოდის მოხმარებისას მიღებული შედეგების შედარებისას, არამედ როდნატის მეთოდის დროსაც. ასე, მაგ., ამ უკანასკნელი მეთოდით მიღებული საშუალო მონაცემები იყო: 22%, 23%, 24%, 25% და 27%. ქლორის იზოტოპის გამოყენებით ნახულობდნენ საშუალოს, რომელიც უდრიდა 18%, ბრომის მეთოდით — 27%, 23%, ნატრიუმის იზოტოპის მეთოდით — 26%, სახაროზით — 19%, მანიტოლით — 23%, 16%, 20,6%, ინულინით — 16%, სულფატით — 20%. როგორც ვხედავთ, ჩვენი მონაცემები ეთანხმება გაუდინოსა და თანამშრ. [5] და ლავიტცის და თანამშრ. [6] მონაცემებს, ავტორებისა, რომლებიც მუშაობდნენ ნატრიუმის როდნატის მეთოდით.

რაც შეეხება მოცირკულე პლაზმის მოცულობას, ჩვენ მიერ მიღებული მონაცემები იმ ნორმის ზემო ზღვართანაა, რომელიც ზაიდერჰელმისა და ლამპეს მიერ სხვადასხვა მკვლევართა მონაცემების შედარებით კონგოროტის მეთოდისათვის იყო მოწოდებული — სხეულის წონის 2,4—3,9%.

უჯრედების მასის ოდენობა, გამოანგარიშებული ჩვენ მიერ სხეულის მკვლე წონის მიმართ, ემთხვევა ზეიჩიკისა და ალპერის [7] მონაცემებს. იგივე შეიძლება ითქვას მინერალურ ნივთიერებათა მასისა და უჯრედების მასის და უჯრედგარეშე სითხის თანაფარდობის შესახებ. ეს უკანასკნელი, ისევე როგორც მკვლე სხეულის შედგენილობა, გვიჩვენებს მუდმივობას, რასაც სხვა მკვლევარებიც ამჩნევდნენ, მაშინ როდესაც ცხიმის მასისა და სხეულის მკვლე წონის ურთიერთობა ფართოდ მერყეობს.

მოყვანილიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შარდოვანას საშუალებით ტოტალური სითხის მოცულობის განსაზღვრის სტეფენსენისეული მეთოდი სხვა მეთოდების შესაბამის შედეგებს გვაძლევს. უჯრედგარეშე სითხის მოცულობის გამოსაკვლევად მოწოდებულ როდნატისა და მოცირკულე პლაზმის გამოსაკვლევად მიღებულ კონგოროტის მეთოდებთან მისი ერთდროული გამოყენება გამოსადეგია ადამიანის სხეულის სითხეებისა და მკვრივ ნივთიერებათა გამოანგარიშებული თანაფარდობის დასადგენად.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 16.9.1962)

ФИЗИОЛОГИЯ

Ш. И. ГУГЕШАШВИЛИ

**К ВОПРОСУ О ФИЗИОЛОГИЧЕСКОМ СООТНОШЕНИИ
ЖИДКОСТЕЙ И ПЛОТНЫХ ВЕЩЕСТВ ТЕЛА ЧЕЛОВЕКА**

Резюме

Для прижизненного расчета соотношений жидкостей и плотных веществ тела здорового человека (по Маккенсу и Уидовсону) использованы количественные данные одновременного определения объемов

тотальной жидкости (пространства распределения мочевины), внеклеточной жидкости (пространства роданистого натрия) и циркулирующей плазмы крови (пространства красителя конго-красного) у 46 мужчин со средним возрастом $22,67 \pm 0,57$ г. и фактическим весом тела $\sim 67,52 \pm 1,1$ кг.

Средний объем тотальной жидкости составил $53,46 \pm 1,38\%$ фактического веса, $56,56 \pm 1,16\%$ теоретического (по формуле Лоренца) веса и 20383 ± 416 мл на кв. м поверхности тела (расчет последней — по Брейтману); объем внеклеточной жидкости составил соответственно $21,98 \pm 0,39\%$, $22,03 \pm 0,44\%$ и 8038 ± 134 мл/кв. м, а циркулирующей плазмы — $3,82 \pm 0,12\%$; $3,83 \pm 0,12$ и 1403 ± 42 мл/кв. м. Приблизженные средние объема внутриклеточной жидкости показали соответственно $31,48\%$; $34,53\%$ и 12345 мл/кв м, а средние интерстициальной жидкости — $18,22 \pm 0,37\%$, $28,23 \pm 0,4\%$ и $6650 \pm$ мл/кв. м.

Масса внеклеточной жидкости оказалась приблизительно равной $14,668$ кг, масса клеток — $34,909$ кг, масса минеральных веществ — $3,209$ кг и масса жира — $15,0$ кг. Высчитанный вес тощего тела составил приблизительно 77% фактического веса, причем масса внеклеточной жидкости составляет $28,15\%$, масса клеток — $65,7\%$ и масса минеральных веществ — $6,15\%$ веса тощего тела. Соотношение масс клеток и внеклеточной жидкости равно $2,33$, а объем интерстициальной жидкости составляет $82,44 \pm 0,49\%$ объема внеклеточной жидкости.

Приведенные данные адекватны известным из литературы соответствующим данным, полученным при применении других методов определения объемов жидкостей тела.

საერთაშორისო ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. K. A. Steffensen. Some determinations of total body water in man by means of intravenous injections of urea. *Acta physiol. Scandinav.*, **13**, 1947.
2. R. A. McCance a. E. M. Widdowson. Measurement in medicine; composition of body. *Brit. Med. Bull.*, **7**, 1951.
3. R. A. McCance a. E. M. Widdowson. A method of breaking down the body weights of living persons into terms of extracellular fluid, cell mass and fat, and some applications of it to physiology and medicine. *Proc. Roy. Soc.*, **138**, 1951.
4. R. Soberman, B. B. Brodie, B. B. Levy, J. Axelrod, V. Hollander a. J. M. Steele. The use of antipyrine in the measurement of total body water in man. *J. Biol. Chem.*, **179**, 1949.
5. M. Gaudino, J. L. Schwartz a. M. F. Levitt. Inulin volume of distribution as a measure of extracellular fluid in dog and man. *Proc. Soc. Exp. Biol. Med.*, **68**, 1948.
6. P. H. Lavietes, J. Bourdillon a. K. A. Klinghoffer. The volume of the extracellular fluid of the body. *J. Clin. Invest.*, **15**, 1936.
7. J. Seitchik a. C. Alper. The body compartments normal pregnant, edematous pregnant and preeclamptic woman. *Am. J. Obst. a. Gynecol.*, **68**, 1954.



ფიზიოლოგია

თ. კობახიძე

ძოწი სათითურასა და ჟანგოვანა სათითურას
 არტერიულ წნევაზე შედარებითი მოჰმედების შესწავლისათვის

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა დ. გედევანიშვილმა 25.12.1962)

ცნობილია სათითურას დიდი მნიშვნელობა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა მკურნალობაში. მედიცინაში ძოწი სათითურას იყენებდნენ ჟანგოვანა სათითურაზე უფრო ადრე. ამიტომ ბუნებრივად წამოიჭრა საკითხი, ამ ორი სახეობის ჟანგოვანას ფარმაკოლოგიური მოქმედების ტოლფასიანობაზე.

თუ ლიტერატურაში მონაცემებით ვიმსჯელებთ, ჟანგოვანა სათითურასა და ძოწი სათითურას ფარმაკოლოგიური მოქმედება შესწავლილია, მაგრამ მათი ფარმაკოლოგიური და კლინიკური შესწავლა შედარებით ასპექტში არ ჩატარებულა. აღსანიშნავია, რომ ჟანგოვანა სათითურასაგან შექმნილია ახალი პრეპარატები, კერძოდ დიგალენ-ნეო ამპულებში და შიგნით მისაღებად [1], სათითურანი ტაბლეტებში და „სუკდიფერი“ — ჟანგოვანა სათითურას ნედლი ფოთლებიდან მიღებული კონსერვირებული წვენი [2, 3]. შემუშავებულია სათითურას პრეპარატების (მათ შორის ჟანგოვანა სათითურას) ვალორიზაციის ახალი მეთოდი [4].

ხსენებული პრეპარატები დადებითადაა შეფასებული კლინიკებში და დაწერგულია სამედიცინო პრაქტიკაში. დადგენილია, რომ დიგალენ-ნეო ამპულებში და შიგნით მისაღებად, აგრეთვე სათითურანი, გულის დეკომპენსაციის შემთხვევაში, მკაფიოდ გამოხატულ თერაპიულ ეფექტს იძლევიან. სათითურას ფოთლების ვალორი, რაც დადგენილია ბაყაყებზე დ. გედევანიშვილინ მეთოდით [3], აკმაყოფილებს სსრკ-ის ფარმაკოპეის მოთხოვნილებებს. ი. ქუთათელაძის აზრით [2], არა მარტო ჟანგოვანა სათითურას ზემოთ ხსენებული პრეპარატები, არამედ მისი ვალორიზებული ფოთლებიც შეიძლება ისევე გამოვიყენოთ, როგორც ძოწი სათითურას ფოთლები.

საკითხის შემდგომი დაზუსტების მიზნით, ჩვენ ჩავატარეთ ჟანგოვანა სათითურასა და ძოწი სათითურას ფოთლების შედარებითი ფარმაკოლოგიური შესწავლა. კერძოდ, გვინტერესებდა საკითხი, თუ სათითურას რომელი სახეობა უზრუნველყოფს არტერიული წნევის უფრო სწრაფ მომატებას, რა ხნის განმავლობაში იწყება წნევის სიკვდილისწინა მერყეობა, როგორია მათი ხანგრძლივობა და ამ ცვალებადობის ხასიათი.

ძოწი სათითურასა და ქანგოვანა სათითურას შედარებითი ფარმაკოლოგიური გამოკვლევების ჩატარების მიზანშეწონილობა ნაკარნახევი იყო აგრეთვე შემდეგი გარემოებით. როგორც ცნობილია, ძოწი სათითურა ჩვენში ველურად არ იზრდება; პრაქტიკამ კი გვიჩვენა, რომ კულტივირებული ძოწი სათითურასაგან დამზადებული ნედლეულის ბიოლოგიური აქტივობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ველურად მოზარდ ამავე მცენარის ნედლეულისა.

დასახული ამოცანის გადასაწყვეტად, ჩვენ ჩავატარეთ ქანგოვანა სათითურასა და ძოწი სათითურას ფოთლების, აგრეთვე ამ მცენარეთა ფოთლებიდან მომზადებული გამონაცემების (Infusa) ბიოლოგიური აქტივობის შედარებითი გამოკვლევა. უნდა აღინიშნოს, რომ ქანგოვანა სათითურას პრეპარატები შესწავლილია ავადმყოფებზე სტაციონარულ პირობებში შ. კვიციანიძის მიერ [4, 5, 6].

ქანგოვანა და ძოწი სათითურების გამონაცემების შედარება სათითურას სტანდარტთან (რაც დამზადებულია სსრ კავშირის სამეცნიერო-კვლევითი ქიმიურ-ფარმაცევტული ინსტიტუტის მიერ), ჩვენ ჩავატარეთ ცდები ორივე სქემის კატეხზე ნიკოლაევის მიერ მოდიფიცირებული [7] ვინგაარდენის მეთოდით (კატეხის წონა 2—2,6 კგ). ცდებმა გვიჩვენა, რომ ძოწი სათითურას ფოთლების 0,5% გამონაცემის სასიკვდილო დოზა კატის კილოგრამ წონაზე საშუალოდ 14,0—14,7 მლ-ს უდრის.

ძოწი სათითურა

ცხრილი 1

კატეხის წონა (კგ)	ძოწი სათითურას გამონაცემების დახარჯული რაოდენობა მლ-ით	
	გამონაცემების საერთო რაოდენობა	რაოდენობა 1 კგ წონაზე
2,0	30,0	15,0
2,6	46,0	17,7
2,0	32,0	16,0
2,7	36,0	13,3
2,2	27,0	12,3
2,0	24,0	12,0
2,7	47,5	17,5
2,4	50,5	20,6
2,7	32,5	12,0
2,3	25,5	11,0
საშ. 2,371	35,1	14,7

1 და 2 ცხრილებში მოყვანილი ცდები საკვებით აკმაყოფილებს ვინგაარდენის ფორმულას.

ამ სერიის ცდებიდან გამოირკვა, რომ პირველადი არტერიული წნევა (კატაში) შესამჩნევ მერყეობას იწყებს უმეტეს შემთხვევებში ძოწი სათითურას გამონაცემის 11—15 მლ (1 კგ წონაზე) შეყვანის შემდეგ, ხოლო ზოგ შემთხვევებში უფრო ადრეც. გამოირკვა, რომ სისხლის წნევის შესამჩნევი მერყეობა,



რაც ცხოველის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე იწყება (ამიტომ მას პირობითად უწოდებენ სიკვდილისწინა მერყეობას). ეს ხდება საშუალოდ 27—29 მლ ძოწი სათითურას გამონაცემის შეყვანისას; ხსენებული გამონაცემის 35—36 მლ შეყვანა კი იწვევს ცხოველის სიკვდილს (საშუალო დოზები მთელ ცხოველებზე). აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ცდაში არტერიული წნევის შესამჩნევი მერყეობის დაწყებამდე 4—16 წუთით ადრე, სისხლის წნევა რამდენადმე მატულობდა, შემდეგ კი ქვეითდებოდა. სისხლის წნევის სიკვდილისწინა მერყეობის ხანგრძლივობა საშუალოდ 7,7 წუთს უდრიდა.

ცხრილი 2

ძოწი სათითურას ფოთლები გამონაცემის გამოკვლევა კატებზე

კატის წონა (კგ)	ძოწი სათითურას ფოთლების ჭაზონაცემის დახარჯული რაოდენობა მლ-ში					წნევის სიკვდილისწინა მერყეობის ხანგრძლივობა (წუთებით)
	გამონაცემის რაოდენობა მლ-ით (მთელ ცხოველებზე) შეყვანის შემდეგ, როცა იწყება სისხლის წნევის სიკვდილის წინა მერყეობა	ძოწი სათითურას ფოთლების გამონაცემის რაოდენობა ცხოველის 1 კგ წონაზე, როცა იწყება სისხლის წნევის სიკვდილის წინა მერყეობა	ძოწი სათითურას ფოთლების გამონაცემის საერთო რაოდენობა (მთელ ცხოველებზე), რაც იწვევს სიკვდილს	ძოწი სათითურას გამონაცემის რაოდენობა ცხოველის 1 კგ წონაზე, რამაც გამოიწვია სიკვდილი		
3,0	40,0	13,0				
2,5	40,0	16,0	47,5	16,0	7,5	
2,7	38,0	14,0	50,5	20,0	10,5	
2,0	14,0	7,0	47,5	18,0	9,5	
2,2	16,0	7,0	24,0	12,0	10,0	
2,7	31,0	11,5	27,0	12,0	11,0	
2,0	26,0	13,0	36,0	13,0	5,0	
2,6	41,0	16,0	32,0	16,0	6,0	
2,6	24,0	9,0	47,0	18,0	6,0	
2,7	28,0	10,0	30,0	11,5	6,0	
2,3	19,0	8,0	32,5	12,0	4,5	
საშ. 2,5	29,0	11,0	25,0	14,0	6	
					7,5	

მოყვანილი ფაქტის კარგ ილუსტრაციას წარმოადგენს ის მდგომარეობა, რომ საწყისი წნევა პირველი 7 წუთის განმავლობაში მატულობს. 100 მმ-ის შემდეგ ის კვლავ იწყებს დაწევას პირვანდელ დონემდე და ამის შემდეგ იწყება წნევის სიკვდილისწინა მერყეობა.

ჩვენი ცდების მონაცემები ჟანგოვანა სათითურაზე შეჯამებულია მე-4 და მე-5 ცხრილებში.

აღსანიშნავია, რომ ძოწი სათითურას შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სისხლის წნევა 11—15 წუთის შემდეგ იწყებს მერყეობას. ჟანგოვანა სათითურას გამოყენებისას, წნევის მერყეობა, განსაკუთრებით ურეტანიტ ნარკოზის დროს, ვაცილებით უფრო გვიან იწყება. (16,2—16,4 მლ შეყვანის შემდეგ ცხოველის 1 კგ წონაზე).

ძოწი სათითურა

ცხრილი 3

სისხლის წნევა პრე- პარატის შეყვანამდე	ძოწი სათითურას გამონაცემის რაოდენობა მლ-ით (ცხოველებზე), რაც იწვევს სისხლის წნევის სიკვდილისწინა მერყეობას		სისხლის წნევის სიკვდილისწინა მერყეობის ხანგრძლივობა წუთებით	ძოწი სათითურას გამონაცემის რაოდენობა მლ-ით, რაც იწვევს სისხლის წნევის ცვლილებას	
	საწყისი	სიკვდილი		სისხლის წნევის მომატება	წნევის დაქვეითების დაწყება
120	41	46			
138	31	36	5	11	15
144	24	30	5	10	4
140	26	32	6	16	10
110	16	27	6	8	4
80	14	24	11	8	6
58	35	27.5	10	5	14
68	36	50	10	7	12
132	17	25	9	4	8
114	28	32.5	8	5	6
			7	6	5
საშ. 110	27,0	35,0	7,7	8,0	8,4

ნარკოზისათვის ეთილის ეთერის გამოყენებისას მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაიწყო სისხლის წნევის დაქვეითება გამონაცემის 9 მლ კვ წონაზე შეყვანის შემდეგ (23 მლ მთელ ცხოველებზე).

ჟანგოვანა სათითურა

ცხრილი 4

კატის წონა გ-ით	ჟანგოვანა სათითურას გამონაცემის რაოდ. მლ-ით	
	გამონაცემის რაოდ.	გამონაცემის რაოდ. 1 კვ წონაზე
2,4		
2,3	39	15,9
2,4	45	19,5
2,3	43	18,3
2,6	33	14,3
2,0	37	14,3
2,6	40	20,0
2,2	36	14,1
2,8	30	13,4
	44	15,7
საშ. 1,4	38,5	16,2

ამრიგად, როგორც ძოწი სათითურას, ისე ჟანგოვანა სათითურას გამოყენების უმეტეს შემთხვევებში აღინიშნება, რომ სისხლის წნევის მომატება და შემდგომი დაქვეითება პრაქტიკულად იწყება დროის ერთსა და იმავე შუალედებში ან მონაკვეთებში გამონაქლის წარმოადგენენ მხოლოდ ერთეული შემთხვევები.



ცხრილი 5

ქანგოვანა სათითურას ფოთლების გამონაცემის გამოკვლევა კატებზე

კატის წონა (კგ-ით)	ქანგოვანა სათითურას ფოთლების გამონაცემის რაოდ. მლ-ით				წნევის სიკვდილისწინა მერყეობის ხანგრძლივობა წუთობით
	გამონაცემის რაოდენობა (მოთლ ცხოველზე) რომლის შეყვანის შემდეგ იწყება წნევის სიკვდილისწინა მერყეობა	გამონაცემის რაოდენობა ცხოველის 1 კგ. წონაზე, რომლის შეყვანის შემდეგ იწყება წნევის სიკვდილისწინა მერყეობა	ქანგოვანა სათითურას გამონაცემის საერთო რაოდენობა ცხოველზე, რომელიც იწყებს სიკვდილს	ქანგოვანა სათითურას გამონაცემის რაოდენობა ცხოველის 1 კგ წონაზე, რომელმაც გამოიწვია სიკვდილი	
2,5	30	12,0	36	14,4	6
2,2	13	5,9	30	13,6	17
2,8	30	10,7	44	16,0	14
2,0	18	9,0	40	20,0	22
2,6	23	9,0	37	14,0	14
2,3	30	13,0	33	14,0	3
2,3	40	17,0	43	18,7	3
2,4	36	15,0	42	17,5	6
2,3	23	10,0	45	19,5	22
2,5	33	13,0	39	16,0	6
საშ. 2,33	27,6	11,1	40,0	16,4	11,3

მე-6 ცხრილში მოგვყავს მონაცემები სიკვდილისწინა წნევის მნიშვნელოვანი მერყეობის დაწყების დროის შესახებ და წნევის მაჩვენებლები გულის მუშაობის ამ პერიოდში.

ცხრილი 6

ქანგოვანა სათითურა

დასაწყისი წნევა მმ-ით	სათითურას გამონაცემის რაოდ. მლ-ით (მოთლ ცხოველზე), რომლის შეყვანის შემდეგ აღინიშნება წნევის სიკვდილისწინა მერყეობა		სიკვდილისწინა მერყეობის ხანგრძლივობა წუთობით	სათითურას გამონაცემის რაოდ. მლ-ით, რომლის შეყვანის შემდეგ აღინიშნება წნევის ცვლილება.	
	მერყეობის დასაწყისი	სიკვდილი		წნევის მზაბტ.	დაქვეითების დასაწყ.
140	30	36	5	4	8
130	25	30	6	4	7
100	68	—	—	4	8
155	30	44	14	5	6
140	30	40	10	5	12
130	30	37	4	5	6
140	31	33	2	8	9
130	40	43	2	3	—
86	36	42	3	—	8
56	41	45	6	7	10
96	36	39	4	8	23
საშ. 124	33,2	38,9	5,7	5,4	8,8



როგორც მე-6 ცხრილიდან ჩანს, სისხლის წნევის სიკვდილისწინა მერყეობა იწყება ქანგოვანა სათითურას გამონაცემის საშუალოდ 33,2 მლ შეყვანის შემდეგ (მთელ ცხოველზე). ცხოველი კვდება, საშუალოდ 38,9 მლ გამონაცემის შეყვანის შემდეგ დროის ერთისა და იმავე მონაკვეთის ფარგლებში. ასე მაგ., ძოწი სათითურას შემთხვევაში სისხლის წნევის მომატება იწყება 8,0 მლ შეყვანისას, დაქვეითება კი — დაახლოებით 8,4 მლ შეყვანისას. ასეთივე სურათი აღინიშნება ქანგოვანა სათითურას შემთხვევაშიც, რომლის დროს წნევა მატულობს 5,4 მლ შეყვანისას, დაქვეითება კი იწყება — 8,8 მლ შეყვანისას (იხ. ცხრილები 3 და 6).

სათითურას სტანდარტის გამოკვლევა კატებზე მლ-ით

ცხრილი 7

კატის წონა კგ-ით	სათითურას სტანდარტის დახარჯული რაოდ. მლ-ში						სტანდარტის რაოდენობა (მთელ ცხოველზე), რომლის შეყვანის შემდეგ იწყება წნევის ცვლილებები	
	სტანდარტის რაოდ. (ცხოველზე) რომლის შეყვანის შემდეგ იწყება წნევის სიკვდილისწინა მერყეობა	სტანდარტის რაოდენობა ცხოველის 1 კგ წონაზე, რომლის შეყვანის შემდეგ იწყება წნევის სიკვდილისწინა მერყეობა	სათითურას სტანდარტის საერთო რაოდენობა (ცხოველზე), რომელიც იწყებს სიკვდილს	სათითურას სტანდარტის რაოდენობა ცხოველის 1 კგ წონაზე, რომელიც იწყებს სიკვდილს	წნევის სიკვდილის წინა მერყეობის ხანგრძლივობა წუთებით	წნევის მომატება	წნევის დაქვეით. დასაწყ.	
2,2	30,0	13,6	42,9	19,5	13	11	16	
2,8	31,0	11,0	44,5	15,9	13,5	5,5	14	
2,5	33,0	13,2	51,0	20,4	10	6	15	
1,7	30,0	17,6	39,95	23,5	10	3,5	15	
1,9	26,0	13,6	41,5	21,8	15,5	6	12	
2,1	27,0	12,9	36,96	17,6	10	6	11,4	
საშ. 2,2	29,5	13,7	42,8	19,8	12,3	6,3	13,9	

ქანგოვანა სათითურას შემთხვევაში სისხლის წნევის სიკვდილისწინა მერყეობა იწყება საშუალოდ 16,2—16,4 მლ შეყვანისას ცხოველის 1 კგ წონაზე. ხოლო ძოწი სათითურას შემთხვევაში რამდენადმე უფრო ადრე (14,0—14,7 მლ შეყვანისას ცხოველის 1 კგ წონაზე), ე. ი. 1,7—2,2 მლ უფრო ნაკლები კგ წონაზე, რაც ჩვენს ცდებში უდრის 9 წუთს. სამაგიეროდ სიკვდილისწინა მერყეობათა ხანგრძლივობა ქანგოვანა სათითურას შემთხვევაში უფრო ნაკლებია. ჩვენს ცდებში იგი საშუალოდ უდრიდა 5,7 წუთს (იხ. ცხრილები 2 და 5). ეს განსხვავება იმდენად უმნიშვნელოა, რომ წნევის სიკვდილისწინა მერყეობა ორივე შემთხვევაში შეიძლება თანაბრად ჩაითვალოს.

ძოწი სათითურასა და ქანგოვანა სათითურას მოქმედების შედარების მიზნით ჩავატარეთ ცდები ქიმიურ-ფარმაცევტული ინსტიტუტის სათითურას სტანდარტზე.



ვიღებდით სათითურას სტანდარტული პრეპარატის 2,5 მლ-ს, რომელსაც ვუმატებდით 4,25 მლ 60% ღვინის სპირტს. ამგვარად მიღებულ ჟანგოვანას სტანდარტის სპირტიან ხსნარს ვათავსებდით კოლბაში და ვუმატებდით გამოხდილ წყალს 100 მლ-მდე. რის შემდეგ სტანდარტული პრეპარატის წყალსპირტიან ხსნარს ვუმატებდით 0,85 გ ქიმიურად სუფთა ქლორნატრიუმს. ზემოხსენებული წესით მიღებულ სათითურას სტანდარტული პრეპარატის ხსნარი ბიურეტი შეგვეყავდა კატის ბარძაყის ვენაში. ხსნარი ვენაში შეგვეყავდა იმ ვარაუდით, რომ ყოველ წუთში სისხლში შეგვეყვანა სათითურას სტანდარტის ხსნარის 1 მლ. ცდები ჩატარდა 6 კატაზე. საცდელ კატებზე ყველა შემთხვევაში ნარკოზისათვის ვიყენებდით *Cyclonae sodium*-ის ტუტიანი ხსნარის 0,02 კგ წონაზე პერიტორიუმის შიგნით. გამოირკვა, რომ ჩვენ მიერ შესწავლილ სათითურას სტანდარტის სასიკვდილო დოზა უდრის 19,8 მლ 1 კგ წონაზე.

საილუსტრაციოდ მოგვეყავს 6 ოქმის შედეგები, საიდანაც ჩანს აგრეთვე სისხლის წნევის სიკვდილისწინა მერყეობათა დაწყების დრო და მათი ხანგრძლივობა (იხ. ცხრილი 7).

დასკვნები

1. არტერიული წნევის სიკვდილისწინა მერყეობა კატებზე სათითურას სათანადოდ განზავებული სტანდარტის ვენაში შეყვანის შემდეგ იწყება ცოტა მოგვიანებით და უფრო დიდი დოზების გამოყენების შემთხვევაში, ვიდრე ძოწი სათითურასა და ჟანგოვანა სათითურას გამონაცემების შეყვანისას. პირველ შემთხვევაში საშუალო დოზა, რაც იწვევს წნევის სიკვდილისწინა მერყეობას, უდრის 13,7 მლ/კგ წონაზე, ხოლო ძოწი სათითურასა და ჟანგოვანა სათითურას შემთხვევებში, შესაბამისად, 11 მლ და 11,5 ცხოველის (კატის) 1 კგ წონაზე.

2. წნევის სიკვდილისწინა მერყეობის ხანგრძლივობის პერიოდი ძოწი სათითურასა და ჟანგოვანა სათითურას გამოყენების დროს თითქმის ერთი და იგივეა და აღემატება ასეთს სტანდარტის შემთხვევაში.

3. სისხლის წნევის მომატება სამივე შემთხვევაში იწყება დაახლოებით ერთსა და იმავე დროს პრეპარატის შეყვანის შემდეგ და კერძოდ ძოწი სათითურას შეყვანის 8 წუთის, ჟანგოვანა სათითურას — შეყვანის 7,9 წ. და სტანდარტის — 8 წუთის შემდეგ.

4. ძოწი სათითურასა და ჟანგოვანა სათითურას გამონაცემების მოქმედების შედარებითი შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ აქტიური ნივთიერებანი, რასაც შეიცავს თითოეული მათგანი, ფარმაცოლოგიური მოქმედების ხასიათით იდენტურ ეფექტს იძლევა. ეს მოქმედება პრაქტიკულად გამოიწვევა თანაბარი დოზებით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 25.12.1962).

Т. Д. КОБАХИДЗЕ

 К СРАВНИТЕЛЬНОЙ ОЦЕНКЕ ДЕЙСТВИЯ ПУРПУРОВОЙ И
 РЖАВОЙ НАПЕРСТЯНОК НА АРТЕРИАЛЬНОЕ ДАВЛЕНИЕ

Резюме

Период предсмертных колебаний артериального давления у кошек в случае внутривенного введения соответствующим образом разбавленного стандарта наперстянки начинается немного позже и при больших дозах, чем в случае введения настоев пурпуровой (красной) и ржавой наперстянок. В первом случае средняя доза, вызывающая предсмертные колебания давления, составляет 13,7 мл на кг, а в случаях красной и ржавой наперстянок соответственно — 11 мл и 11,5 мл на кг веса животного (кошки). Продолжительность периода предсмертных колебаний давления при применении пурпуровой и ржавой наперстянок почти одинакова и превышает таковую стандарта. Так, в первом случае она составляет 7,5, а во втором — 11,3 мл. Повышение кровяного давления во всех трех случаях начинается приблизительно в одно и то же время после введения препарата. В частности, при применении пурпуровой наперстянки — через 8 минут, ржавой наперстянки — через 7,9 и стандарта — через 8 минут.

В результате проведенного нами сравнительного изучения настоев, изготовленных из листьев ржавой и пурпуровой наперстянок, выяснилось, что по характеру фармакологического действия активные вещества, содержащиеся в каждой из них, дают идентичные эффекты и это действие вызывается практически одинаковыми дозами.

დაამუშავებელი ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Н. Масхулия, О получении Дигален-нео. Сб. трудов ТНИХФИ, 4, 1941.
2. И. Г. Кутателадзе. К вопросу об использовании ржавчинной наперстянки. Сб. трудов ТНИХФИ, 5, 1944.
3. Д. М. Гедеваншвили (Гедевани). К вопросу о методах биологической оценки сердечных средств группы наперстянки. Труды ТНИХФИ, 7, 1955.
4. შ. კვიციანიძე. ეანგოვანა სათითურას წვენის მოქმედება გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მე-4 სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, 1948, 53.
5. შ. კვიციანიძე. ეანგოვანა სათითურას ფხვნილის მოქმედება გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებზე. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მე-10 სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, 1954.
6. შ. კვიციანიძე. სათითურა როგორც საგულე საშუალება. თბილისის ქიმიურ-ფარმაკოლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, 5, 1942.



ფიზიოლოგია

ა სიხარულიძე და ნ. ბოსტოლანაშვილი

ზოგიერთი მონაცემი შიზოფრენიის დროს შეკავების პროცესისა და ჰიპოქსიის უტიმირთვადამოკიდებულების შესახებ

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ა. ზურაბაშვილმა 19.9.1962)

ცნობილია, რომ შიზოფრენიის დროს ადგილი აქვს თავისებურ ტოქსიკოზს, რომლის ბუნება ჯერჯერობით უცნობია. გავრცელებული შეხედულებების თანახმად, შიზოფრენიის შემთხვევაში ტვინის ქსოვილში ვითარდება ქრონიკული ჰიპოქსია. ა. ზურაბაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებულა გამოკვლევები ნათლად გვიჩვენებს, რომ ქანგბადით შიმშილსა და შიზოფრენიის პათოფიზიოლოგიას შორის პირდაპირი პათოზიოლოგიური კავშირია.

ცნობილია აგრეთვე, რომ შიზოფრენიის კლინიკური სურათის პათოფიზიოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ცენტრალური ნერვული სისტემის შეკავება.

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა ქერქული შეკავეებისა და ჰიპოქსიის ურთიერთკავშირის დინამიკური შესწავლა შიზოფრენიის დროს. ამ საკითხის შესწავლა ამჟამად შესაძლებელია მხოლოდ ნატიფი კლინიკურ-ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენებით.

შიზოფრენიით დაავადებულ ავადმყოფთა კლინიკურ-ექსპერიმენტული გამოკვლევა წარმოებდა პირობითი რეფლექსების გამომუშავების მეთოდით. სიტყვიერი განმტკიცებით. კომპლექსური კვლევის მიზნით ერთდროულად ვიკვლევდით კრემის ოქსიპემომეტრის ან ოქსიპემოგრაფის საშუალებით ავადმყოფის არტერიულ სისხლში ქანგბადის შემცველობის დინამიკას. ამავე დროს პარალელურად ვაწარმოებდით ცდებს, ვიკვლევდით შიზოფრენიით დაავადებულთა სისხლის პლაზმის მოქმედებას ცხოველებზე.

კლინიკურ-ექსპერიმენტულად გამოკვლეულია შიზოფრენიის სხვადასხვა ფორმით დაავადებული 12 ავადმყოფი; აქედან 4 — პარანოიდული, 3 — მარტივი და 3 — კატატონიური ფორმით, 2 — ქრონიკული ავადმყოფი 5 წელზე მეტი ხანდაზმულობით.

გამოკვლეული ავადმყოფები ყველა მამაკაცია (20-დან 35 წლის ასაკამდე). დაავადების ხანგრძლივობის მხრივ 6 თვიდან ერთ წლამდე — 6 შემთხვევა. ერთი წლიდან ორ წლამდე — 4 შემთხვევა, 5 წლის ზევით — 2 შემთხვევა.

საკონტროლოდ გამოკვლეულია 3 ჯანმრთელი ადამიანი. ავადმყოფთა გამოკვლევა წარმოებდა იზოლირებულ ოთახში. პირობით გამოლიზიანებლებს წარმოადგენდა ძლიერი და სუსტი, მაღალი და დაბალი სისწირის ბევრები.

კლინიკურ-ექსპერიმენტული კვლევის დროს ყურადღება ექცეოდა პირობითი რეფლექსების გამომუშავებას უმთავრესად პირველი სასიგნალო სისტემის დონეზე. შინაგანი, ანუ აქტიური შეკავების შესწავლის მიზნით გამომუშავებულ იქნა სტერეოტიპი, ბგერითი გამალიზიანებელი: I წყვილი — ძლიერა ტონის ბგერა — დადებითი გამალიზიანებელი, სუსტი ტონის ბგერა — უარყოფითი გამალიზიანებელი; II წყვილი — მაღალი სისწირის ბგერა — დადებითი გამალიზიანებელი, დაბალი სისწირის ბგერა — უარყოფითი გამალიზიანებელი. წარმოებდა პირობითი რეფლექსების ჩაქრობა შემდგომი აღდგენით. ოქსიპიმომეტრისა და ოქსიპიმოგრაფის საშუალებით ხდებოდა გამოკვლევა არტერიულ სისხლში ჟანგბადის შემცველობის დინამიკისა მთელი ექსპერიმენტის მსვლელობის დროს.

საექსპერიმენტო ცხოველებზე (ძაღვებზე) დადგენილ იქნა ნერწყვის პირობითი და უპირობო რეფლექსური სეკრეციის ფონი (კლასიკური მეთოდით), რაც საშუალებას იძლეოდა შეგვესწავლა თავის ტვინის ქერქისა და ქერქსქვეშა აპარატის ფუნქციური მდგომარეობა. ერთდროულად წარმოებდა თავის ტვინში შესულ არტერიულ სისხლში და ტვინის ქსოვილიდან გამოსულ ვენურ სისხლში ჟანგბადის შემცველობის განსაზღვრა, რაც წარმოადგენს გვაძლევდა ტვინის ქსოვილის მიერ ჟანგბადის მოხმარების უნარზე.

ცდები ჩატარებულია ყბაყურა სანერწყვე სადინარის ქრონიკულ-ფისტულიან ძაღვებზე. ჯერ ვადგენდით ნერწყვის უპირობო რეფლექსური სეკრეციის ფონს პირის ღრუში 0,25% მარილმჟავას შესხმით (10 მლ 6-ჯერ 5—5 წუთის ინტერვალით ცდის განმავლობაში), შემდეგ წარმოებდა პირობითი სანერწყვე რეფლექსის გამომუშავება ელექტროზარის ხმაზე, პირობითი გამალიზიანებელი წინ უსწრებდა უპირობოს 20 წამით და წყდებოდა მასთან ერთად.

ძაღვები, რომლებზედაც ხდებოდა პირობითი და უპირობო რეფლექსების ფონის დადგენა, ოპერირებულნი იყვნენ დამატებით ვან-ლეერზუმის წესით, ე. ი. კანქვეშ კისრის მიდამოში გამოტანილი ჰქონდათ საერთო საძილე არტერია. გარეთა საუღლე ვენა ინასკვებოდა და საერთო ვენა გამოტანილი იყო კანქვეშ. აღნიშნულ არტერიაზე და ვენაზე თავსდებოდა სპეციალური „მანეჟტით“ ფოტოელემენტი, რომელიც დაკავშირებული იყო ოქსიპიმომეტრთან ან ოქსიპიმოგრაფთან.

ზემოთ აღნიშნულ სისხლის ძარღვებში ჟანგბადის შემცველობის განსაზღვრა საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიჭონიოთ ტვინში შესულ და იქიდან გამოსულ სისხლში ჟანგბადის შემცველობაზე, ე. ი. ტვინის ქსოვილში ჟანგბადის უტილიზაციაზე.

გამოკვლევის დროისათვის ყველა შემთხვევაში ჩანდა შიზოფრენიული პროცესისათვის დამახასიათებელი სიმპტომები: პიროვნების დისტონია, აუტიზმი. გახლეჩილობის სინდრომი აღინიშნებოდა როგორც მოქმედებებში, ასევე

აზროვნებისა და ემოციების მხრივ; ერთ შემთხვევაში ავადმყოფთა ქცევები განისაზღვრებოდა საღ მსჯელობას მოკლებული მცდარი აზრებით და უსიამოვნო შინაარსის სმენითი პალუცინაციებით, მეორე შემთხვევაში თვალსაჩინო იყო პათოლოგიური უტენაურობა, აბულია-აპათიის მოვლენებით, მოქმედებები და ქცევები გატლანქებული, უმიზეზო სიცილი, ეპიზოდური სმენითი პალუცინაციები და ბოდვითი გამოთქმები. სხვა შემთხვევებში უფრო მკვეთრად ჩანდა მოტორიკაში დისკინეზური და პიპერკინეზური მოვლენები, ზოგიერთი ავადმყოფი იყო ძლიერ შეკავებული, მისი სახე იყო ამიმიური ქონიანი გამომეტყველებით. ავადმყოფებს საწოლში უკავიათ სხეულის უხერხული მდებარეობა ან აქვეთ ერთფეროვანი მოძრაობები, მათთან კონტაქტის დამყარება გაძნელებულია მუტიზმის ან ნეგატივიზმის გამო.

ნეიროდინამიკურმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ჯანმრთელ პირებში დიფერენციაციის გამომუშავება ხდება საშუალოდ მეზუთე შეუღლებაზე და ექსპერიმენტის დასასრულამდე დიფერენცირება მყარია. ამ დროს არტერიულ სისხლში ჟანგბადის შემცველობა არ განიცდის მკვეთრ რყევადობას. ჯანმრთელ დონორთა სისხლის პლაზმის ცხოველებში შეყვანა არ იწვევს რაიმე მკვეთრ ძვრებს ცხოველის პირობით და უპირობო რეფლექსებში.

საძილე არტერიაში და საუღლე ვენაში ჟანგბადის შემცველობის განსაზღვრამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა, რომ ამ დროს ადგილი აქვს ტვინის ქსოვილის მიერ ჟანგბადის ხარჯვის გაძლიერებას, ეს ჩანს იქიდან, რომ საუღლე ვენაში პლაზმის შეყვანის შემდეგ ჟანგბადის შემცველობა მცირდება, ე. ი. ტვინის ქსოვილიდან გამოსულ სისხლში ჟანგბადის შემცველობა კლებულობს.

შიზოფრენიის პარანოიდული ფორმით დაავადებულთა ნეიროდინამიკის გამოკვლევისას სრული დიფერენციაციის მიღწევა არ ხერხდება. მე-9—მე-10 შეუღლებაზე ავადმყოფები უხეშად ადიფერენცირებენ უარყოფით გამაღიზიანებლებს, მაგრამ არამყარად, ადვილად ირღვევა. ამრიგად, შინაგანი შეკავების პროცესი შედარებით სუსტად არის გამოხატული. არტერიულ სისხლში ჟანგბადის შემცველობა შინაგანი შეკავების გამომუშავების დროს კლებულობს და შემდეგ კი შედარებით მყარ ფონს იძლევა.

ავადმყოფთა სისხლის პლაზმის ცხოველებში შეყვანისას ადგილი აქვს ნერწყვის პირობითი რეფლექსური სეკრეციის დაკნინებას, უპირობო რეფლექსური რეაქცია მკვეთრ ცვლილებებს არ განიცდის. საძილე არტერიისა და საუღლე ვენაში ჟანგბადის შემცველობის განსაზღვრა გვიჩვენებს, რომ საკონტროლო ცდებთან შედარებით ტვინიდან გამოსულ სისხლში ჟანგბადის შემცველობა მეტია, ე. ი. ტვინის ქსოვილის მიერ არ ხდება ჟანგბადის სრული მოხმარება.

შიზოფრენიის მარტივი ფორმით დაავადებულთა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ დიფერენციაციის გამომუშავება აქ უფრო ძნელად მიმდინარეობს, ვიდრე შიზოფრენიის პარანოიდული ფორმით დაავადებულ ავადმყოფებში, ე. ი. შინაგანი შეკავების პროცესი აქ შედარებით უფრო სუსტად არის წარმოდგე-

ნილი და ძნელად გამომუშავდება, პირობითი კავშირები მყიდვეა და ძნელად წარმოიშობა.

არტერიულ სისხლში ქანგბადის შემცველობა შინაგანი შეკაეების გამო-
მუშაეების დროს სუსტად კლებულობს.

ავადმყოფთა სისხლის პლაზმის შეყვანა ცხოველებში იწვევს ისეთსავე ძვრებს პირობით და უპირობო რეფლექსურ რეაქციებში, როგორც ამას ადგი-
ლი ჰქონდა შიზოფრენიის პარანოიდულ ფორმით დაავადებულთა შორის. პლაზმის შეყვანისას ტვინის ქსოვილის მიერ ქანგბადის მოხმარების უნარი ისეთივე ხარისხით ეცემა, როგორც შიზოფრენიის პარანოიდული ფორმით დაავადებულთა პლაზმის ცხოველებში შეყვანისას.

შიზოფრენიის კატატონური ფორმის დროს დიფერენციაციის გამომუშა-
ვება საერთოდ ვერ შეეძლოთ, შინაგანი შეკაეების გამომუშაეებას ასეთ დროს ხელს უშლის ძლიერ გამოხატული განფენილი დაცივითი შეკაეება.

არტერიულ სისხლში ქანგბადის შემცველობა ექსპერიმენტის დროს თით-
ქმის არ იცვლება.

ცხოველებში ავადმყოფთა სისხლის პლაზმის შეყვანა იწვევს როგორც პი-
რობითი, ასევე უპირობო რეაქციების მკვეთრ შეკაეებას, განსაკუთრებით პი-
რობითი რეაქციებისას.

ტვინის ქსოვილის მიერ ქანგბადის მოხმარების უნარი გაცილებით უფრო
მკვეთრად ეცემა, ვიდრე შიზოფრენიის პარანოიდული ან მარტივი ფორმით და-
ავადებულთა პლაზმის შეყვანისას ცხოველებში.

ქრონიკული შემთხვეეების გამოკვლევისას, სადაც ფსიქოპათოლოგიურ სუ-
რათში წაშლილია კლინიკური ფორმა, გამოირკევა, რომ დიფერენციაციის გამო-
მუშაეება სხვადასხვა გამაღიზიანებლებზე ვერ მოხერხდა; აქაც, როგორც ჩანს, შინაგანი შეკაეების პროცესი სუსტად ან სულ არ გამომუშავდება. არტერიულ სისხლში დიფერენციაციის გამომუშაეების ცდის დროს ქანგბადი მცირედ კლებულობს ან თითქმის არ იცვლება.

საილუსტრაციოდ მოგვეყვას კლინიკურ და ნეიროდინამიკურ-ლაბორატო-
რიული გამოკვლევის ერთი ტიპობრივი შემთხვეეა.

ავადმყ. ლ. ა., 34 წლისა, საშუალო განათლებით, პროფესიით სამთო ტექ-
ნიკოსი. რესპუბლიკის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში შემოვიდა 1962 წლის 15 თებერვალს დი ა გ ნ ი თ — შიზოფრენია — პარანოიდული ფორმა.

ანამნეზი. ავადმყოფი დაიბადა დროულად, იზრდებოდა და ვითარდე-
ბოდა კარგად. 1954 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, 1956 წელს კი — სამ-
თო ტექნიკუმი, მუშაობდა სამთო ტექნიკოსად ტყვარჩელში, ტყაბულში. ხა-
სიათი — აფექტიურ ავზნებადი პიროვნებისა. 1961 წლის მეორე ნახევარში ახლობლებმა შეამჩნიეს მოწყენილობა, უხალისობა. დაკარგა ინტერესი საუბ-
რისადმი. ამბობდა, რომ მას ვილაყები სდევნიან, ადანაშაულებენ ჯაშუშობაში. ესმის ხმები უსიამოვნო შინაარსისა. თანდათანობით შეიძულა ოჯახის წევრე-
ბი, განსაკუთრებით დედა; ამბობდა, რომ იგი კავშირში იმყოფებოდა მისდამა
მტრულად დამოკიდებულ პირებთან. ხშირად აგრესიას ავლენდა დედის მი-



მართ. აღნიშნული მდგომარეობის გამო მოათავსეს ფსიქიატრიულ სტაციონარში.

ფიზიკური მდგომარეობა — დამაკმაყოფილებელი, RW — უარყოფითი.

ფსიქიკური მდგომარეობა — სტაციონარში მოთავსებულ იქნა მშვიდ მდგომარეობაში. ორიენტაცია ადგილში, დროში, გარემოში — დამაკმაყოფილებელი, მაგრამ შინაგანად ბოღვითი აზრებით დაყურსული. ყველას ეჭვის თვალით ათვალეირებდა, არავის ენდობოდა. თავისი ავადმყოფური მდგომარეობის მიმართ — სრულიად უკრიტიკო. საუბარში გამოთქვამდა დევნის, ზემოქმედების, მოწამვლის ბოღვით იღვებს. აღნიშნავდა, რომ იგი იმყოფებოდა გარკვეული ორგანოების ყურადღების ქვეშ, აღნიშნული ორგანოები სდევნიან მას. ახლობლების საშუალებით სწამლავენ (საკვებში საწამლავს უყრიან) და ა. შ. მეღპერსონალს სთხოვდა სახლში გაწერას. ობიექტური დაკვირვებით აღენიშნებოდა უსიამოვნო შინაარსის სმენითი პალუცინაციები, რასაც თან ერთვოდა უმიზეზო აფექტური განტვირთვები; საერთოდ კი განყოფილებაში ავადმყოფს ერთგვარი ფორმალური თავდაპირა ჰქონდა მოსაუბრესთან და ირგვლივ მყოფთა მიმართ.

მოცემული შემთხვევის ანალიზი. დაავადება იწყება შემპარავად, შრომის პროცესების დაქვეითებით, საერთო მოღუწებით, უხალისობით, ამას თან ერთვის ეჭვიანობა, რომელიც თანდათან გადაიზარდა ბოღვით აზრებში: დევნის, მოწამვლის და ზემოქმედებისა. მცდარი აზრები შემდგომ განშლადი ხდება. ბოღვით იღვებში ჩაითრია როგორც თვით ახლობლები, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მასში მომუშავე პირები, რის გამოც ავადმყოფი ავლენდა აგრესიას ახლობლების მიმართ, ყველას ეჭვის თვალთ უყურებდა, არავის ენდობოდა. მისი ქცევები განისაზღვრებოდა ბოღვითი აზრების და უსიამოვნო შინაარსის სმენითი პალუცინაციებით. დაავადების დინამიკა და ფსიქოპათოლოგიური სურათი მიუთითებს შიზოფრენიულ პროცესზე — პარანოიდული ფორმა.

ნეიროდინამიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევების მხრივ — პირობითი კავშირი წარმოიშვა გამაღიზიანებლის მეორე შეუღლებიდან და ადგილიდანვე განმტკიცდა, მამოძრავებელი რეაქციის ლატენტური პერიოდი საშუალოდ უდრის 1,8 წამს. მამოძრავებელი რეაქციის ძალა კი საშუალოდ უდრის 46, აღინიშნება ოდნავი მერყეობა მინიმალურ და მაქსიმალურ მაჩვენებლებს შორის.

შინაგანი შეკავების გამოკვლევისას სტერეოტიპის გამომუშავება მოხერხდა I და II წყვილის უარყოფითი გამაღიზიანებლის ხმარებისას (სუსტი ტონი, დაბალი სიხშირის ტონი) დიფერენცირება გამომუშავდა მეოთხე შეუღლებიდან, მაგრამ არ განმტკიცდა, მიუხედავად უარყოფითი გამაღიზიანებლის 20-ჯერ ხმარებისა. პირობითი კავშირის ჩაქრობა მოხდა უარყოფითი განმტკიცების მე-3 ხმარებიდან, მაგრამ განმტკიცდა მე-5 ხმარებაზე, 3 წუთის შუალედის შემდეგ პირობითი კავშირი აღდგა დაღებითი განმტკიცების მე-4 ხმარებიდან და ადგილიდანვე განმტკიცდა.

სიტყვიერი ანგარიში. სტერეოტიპის გამომუშავებისას შედარებით ადგილ-ვატურია, ავადმყოფი ახდენს უარყოფითი და დადებითი ტონების დიფერენცირებას.

ოქსიპემომეტრიული გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ არტერიულ სისხლში ჟანგბადის შემცველობა შინაგანი შეკავენის დროს შემდეგ ცვლილებებს განიცდის: სტერეოტიპის გამომუშავებისას ჟანგბადის შემცველობა დასაწყისში ტენდენციას არ იჩენს დაკლებასაკენ, შემდეგ თანდათანობით მკვეთრად ეცემა და ნორმას აღწევს 30 წუთის შემდეგ, დიფერენცირების გამომუშავების დროს ჟანგბადი მკვეთრ დაკლებას განიცდის არტერიულ სისხლში.

გამოკვლევული ავადმყოფის სისხლის პლაზმა დამაკნინებელ მოქმედებას იჩენს საექსპერიმენტო ცხოველის პირობით და უპირობო რეფლექსურ მოქმედებაზე, ამავ დროს აღნიშნული პლაზმის შეყვანის შემდეგ საექსპერიმენტო ცხოველის თავის ტვინი ნაკლებ ჟანგბადს მოიხმარს, ვიდრე საკონტროლო ცდის დროს.

ავადმყოფის კომპლექსური გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ერთგვარად განვლულბულია ნერვული პროცესების ძვრადობა — რთული დიფერენცირება ვერ განმტყცდა, რაც მიგვითითებს შინაგანი შეკავენის სისუსტეზე.

არტერიულ სისხლში ჟანგბადის შემცველობა შინაგანი შეკავენის გამომუშავებისას შესამჩნევ დაქვეითებას განიცდის, რაც ჩვენი აზრით, ავადმყოფის ორგანიზმში მიმდინარე ჟანგვითი პროცესების ლაბილობის მაჩვენებელი უნდა იყოს.

ავადმყოფის სისხლის პლაზმა იჩენს ტოქსიკურ დამაკნინებელ მოქმედებას ნერვულ ქსოვილზე, პირველ რიგში კი ვრცელდება დიდი ტვინის ჰემისფეროების ქერქზე. აღნიშნული ტოქსიკური მოქმედება განპირობებული უნდა იყოს პლაზმის ჰისტოტოქსიკური მოქმედებით — ქსოვილოვანი ჰიპოქსიით.

ამრიგად ჩატარებული კლინიკურ-ექსპერიმენტული კვლევა გვიჩვენებს, რომ შიზოფრენიის სხვადასხვა კლინიკური ფორმების დროს შინაგანი (ე. ი. აქტიური, ქერქული შეკავენის) პროცესი სხვადასხვაგვარ ცვლილებებს განიცდის.

შიზოფრენიის პარანოიდული და მარტივი ფორმის დროს ადგილი აქვს შინაგანი შეკავენის პროცესის სისუსტეს, რაც ჩანს იქიდან, რომ აღნიშნულ შემთხვევებში ძნელად ხდება სხვადასხვა გამაღიზიანებლებზე დიფერენციაციის გამომუშავება.

არტერიულ სისხლში ჟანგბადის შემცველობა აღნიშნული ფორმების დროს თითქმის არ განსხვავდება ნორმისაგან; დიფერენციაციის გამომუშავების პერიოდში კი ჟანგბადის შემცველობა მკვეთრად ეცემა, ე. ი. შინაგანი შეკავენის გამომუშავებისას ადგილი აქვს ჰიპოქსემიის განვითარებას.

აღნიშნული მდგომარეობა არ ვითარდება შიზოფრენიის კატატონური ფორმის დროს. აქ, როგორც ჩანს, დაცვითი შეკავენის შედარებით მკვეთრად გამოხატვის გამო არ ხდება დიფერენცირების გამომუშავება, ჰიპოქსემიის მდგომარეობაც შედარებით უმნიშვნელოდ არის გამოხატული. ქრონიკულ შემ-



თხვევებში შინაგანი შეკავების სისუსტესთან ერთად ადგილი აქვს სუსტი ჰიპოქსემიური მდგომარეობის განვითარებას.

რაც შეეხება აღნიშნულ ავადმყოფთა სისხლის პლაზმის მოქმედებას საექსპერიმენტო ცხოველის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე და ტვინის ქსოვილის მიერ ჟანგბადის მოხმარების უნარზე, უნდა აღენიშნოთ, რომ ამ მხრივ ყველაზე ტოქსიკურ მოქმედებას შიზოფრენიის კატატონიური ფორმით დაავადებულთა პლაზმა იჩენს. ასეთ შემთხვევებში ტვინის ქსოვილის მიერ ჟანგბადის მოხმარების უნარი კნინდება, ალბათ სათანადო სასუნთქ ფერმენტულ სისტემაზე ტოქსიკური მახლოკირებელი გავლენის გამო, და ამის შედეგად ადგილი აქვს საექსპერიმენტო ცხოველის ცენტრალურ ნერვულ სისტემის შეკავებას.

ზემოთ მოყვანილი ფაქტების ანალიზი საშუალებას გვაძლევს შიზოფრენიის პათოფიზიოლოგიური მექანიზმი შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: შიზოფრენიის დროს ადგილი აქვს თავისებურ ინტოქსიკაციას, რომელიც აკინებს ტვინის მიერ ჟანგბადის ნორმალურად მოხმარების საშუალებას და განაპირობებს დაცვით შეკავებას.

აღნიშნული დაცვითი შეკავება ყველაზე მკვეთრად გამოხატული შიზოფრენიის კატატონიური ფორმის დროს. მარტივ და პარანოიდულ შემთხვევებში იგი ნაკლებად გამოხატული, რის გამოც აქტიური, ე. ი. შინაგანი შეკავების გამომჟღავნება მინიმუმ ხერხდება. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტვინის ქსოვილის ჰიპოქსიას და დაცვითი შეკავების განვითარებას შორის პირდაპირი დინამიკური ურთიერთკავშირია.

დასკვნები

1. შიზოფრენიის პარანოიდული და მარტივი ფორმების დროს აღინიშნება შინაგანი შეკავების პროცესის სისუსტე, დაცვითი შეკავება ამ დროს სუსტადაა გამოხატული.
2. შიზოფრენიის კატატონიური ფორმის შემთხვევებში ადგილი აქვს კარგად გამოხატულ დაცვით შეკავებას.
3. შიზოფრენიით დაავადებულთა არტერიულ სისხლში ჟანგბადის შემცველობა დიდად არ განსხვავდება ჯანმრთელ პირთა ასეთივე მაჩვენებლისაგან.
4. შინაგანი შეკავების გამომჟღავნების პერიოდში შიზოფრენიის პარანოიდულ და მარტივი ფორმით დაავადებულთა არტერიულ სისხლში ადგილი აქვს ჟანგბადის შემცველობის დაქვეითებას.
5. შიზოფრენიით დაავადებულთა სისხლის პლაზმა იჩენს ცხოველის ტვინის ქსოვილზე დამაკნინებელი მოქმედების უნარს, რაც განპირობებული უნდა იყოს ქსოვილოვანი ჰიპოქსიით.

მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის

სამეცნიერო-კვლევითი

ინსტიტუტი

თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 19.9.1962)

А. И. СИХАРУЛИДЗЕ и Н. И. БОСТОГАНАШВИЛИ

 К ВОПРОСУ О ВЗАИМООТНОШЕНИИ МЕЖДУ ТОРМОЗНЫМ
 ПРОЦЕССОМ И ГИПОКСИЕЙ ПРИ ШИЗОФРЕНИИ

Резюме

Изучена динамическая взаимосвязь между процессом коркового торможения и гипоксией при шизофрении.

Клинико-экспериментальное исследование больных шизофренией производилось методом выработки условных рефлексов с речевым подкреплением. Одновременно оксигемометрически исследовалась динамика содержания кислорода в артериальной крови у больных. Параллельно проводилось экспериментальное изучение действия плазмы крови этих же больных на функциональное состояние центральной нервной системы и степень употребления кислорода мозговой тканью животных.

Исследованы 12 больных шизофренией; из них: 4 — параноидной формой, 3 — простой и 3 — кататонической, а также 2 хронических больных с продолжительностью заболевания свыше 5 лет. Контрольные исследования проведены на 3 здоровых лицах.

Наши клинико-экспериментальные исследования показывают, что при различных клинических формах шизофрении процесс внутреннего торможения претерпевает различные изменения.

При параноидной и простой формах шизофрении процесс внутреннего торможения выражен слабо. Отмеченное состояние не наблюдается при кататонической форме шизофрении. Можно допустить, что сравнительно хорошо выраженное защитно-охранительное торможение препятствует выработке дифференцировки, равно как и развитию гипоксемии.

При введении животным плазмы крови больных шизофренией способность употребления мозговой тканью кислорода угнетается, видимо, благодаря токсико-блокирующему действию плазмы на соответствующие дыхательно-ферментативные системы мозга. Вслед за этим наступает угнетение функционального состояния центральной нервной системы животных.

Таким образом, при шизофрении развивается своеобразная интоксикация, которая, способствуя развитию тканевой гипоксии мозга, в известной мере должна обуславливать торможение центральной нервной системы, в первую очередь коры больших полушарий головного мозга.



ბ. აბაშიძე

კანის სინერგაციო მემანიჰემების მდგომარეობის საკითხისათვის
 მესპერიმენტული ელექტროტრავმის დროს

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ვლ. ქლენტმა 30.12.1962)

ცნობილია, რომ ფუნქციური თვისებების მიხედვით კანს თავისი ეპითელიური საფარით სხეულის გარეშე მანე ზეგავლენისაგან დაცვის მეტად მნიშვნელოვანი მოვალეობა აკისრია. ეს ფუნქცია უზრუნველყოფს ადამიანის სხეულის დაცვას მრავალგვარი — ქიმიური, ტემპერატურული, მექანიკური და სხვაგვარი ზემოქმედებისაგან. სხეულზე მოქმედ გარეშე ფაქტორთაგან მეტად მნიშვნელოვანი და თავისებურად დამახასიათებელი გავლენა აქვს ელექტრონაკადის მოქმედებას.

კანის საფარი პირველი და ძირითადი დაბრკოლების უბანია ადამიანის სხეულში ელექტროდენის შეღწევის გზაზე. ბუნებრივია, რომ მკვლევართა დიდი უმრავლესობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მას და სწავლობდა მის სტრუქტურულ ცვლილებებს. ეს შეიძლებოდა გამომდგარიყო სხეულის იმ თავისებური პათოლოგიის ასახსნელად, რომელსაც ელექტროდენის მოქმედება იწვევს.

იმაზე, თუ როგორი ხასიათისა და რა სიმძიმის ცვლილებებს განიცდის კანის სინერგაციო მოწყობილობანი, ბევრადაა დამოკიდებული დენის სხეულში გატარების საკითხი. მაგალითად, მშრალი, გამუხებული და სქელი რქოვანა შრე დენს სრულიად არ ატარებს ძლიერ მაღალი ომური წინააღმდეგობის გამო.

მრავალმხრივი კლინიკური და მორფოლოგიური გამოკვლევანი ადასტურებენ კანის რეცეპტორების ღრმა სტრუქტურულ ცვლილებებს ელექტროდენის მოქმედების ან დენტან კონტაქტის აღვილებში. სხეულზე ელექტროდენის ზემოქმედებით განვითარებული ცვლილებები შეისწავლეს ა. კაპლა 5-მა [1], ნ. შლიაპნიკოვა [2], ს. ელინეკმა [3] და კავამურამ [4]. ეს მკვლევრები ძირითადად რქოვანა შრის და ეპიდერმისისა და კანის სხვა უბნების ცვლილებებს სწავლობდნენ.

უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში ელექტროპათოლოგიის დარგში გამოქვეყნდა გამოკვლევები, რომლებიც ეხება ნერვული სისტემის სტრუქტურულ ცვლილებებს სხეულზე ელექტროდენის მოქმედებისას.

ვ. შჩედრაკოვი [5], ა. ტროიკაია [6] და ო. კორნეევა [7] აქვეყნებენ შრომებს კანის ნერვების სტრუქტურულ ცვლილებათა შესახებ ჩვეუ-

ლებრივი და ექსპერიმენტული ელექტროტრავემების დროს. კანი, როგორც ფართო რეცეპტორული ველი, წარმოადგენს სხეულის პირველ ძირითად უბანს, რომელიც რეაგირებს ელექტროდენის, ამ ძლიერი, ნ. ს. არაადეკვატური გამაღიზიანებლის მოქმედებაზე. აღმოჩნდა, რომ შრომების უმრავლესობა მიძღვნილია დენის უშუალოდ მიყრდნობის ადგილებში ნახული ცვლილებების შესწავლაზე და ეს მაშინ, როდესაც სხეულის სხვადასხვა მიდამოს, განსაკუთრებით კი დენის წყაროდან ძლიერ დაშორებულ მოწინააღმდეგე მხარეს მდებარე ნაწილების მფარავი კანის საინერვაციო მექანიზმები შესწავლილი არ არის. ასეთი დაკვირვება ჩვენთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში მხოლოდ ბ რ უ მ შ ტ ე ი ნ ს [8] აღმოაჩნდა.


იმის გამო, რომ კანის რეცეპტორები დენის მოქმედების შემთხვევაში მთელი თავისი მოწყობილობებით უნდა აღმოჩნდნენ მისი გავლენის ქვეშ, ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა პერიფერიული რეცეპტორული ველის სტრუქტურული ცვლილებები არა მარტო დენის მიყენების ადგილებში, არამედ მეტ-ნაკლებად მისგან დაშორებულ ადგილებში და უბნებში და აგრეთვე ელექტროდენის მიყენების მოწინააღმდეგე ე. წ. კონტრალატერულ მიდამოებში.

ჩვენი აზრით, ცენტრალური ნერვული სისტემის ასეთი დიდი და მნიშვნელოვანი მიდამოს, კანის რეცეპტორების შესწავლა სასიკვდილო ელექტროტრავემების დროს ხელს შეუწყობს ნერვული სისტემის როლის გამორკვევას კანის ელექტროდენით დაზიანების პათოგენეზის საკითხებშიც, გარდა იმისა, რომ შესაძლებელი გახდება მისი გამოყენება სადიაგნოზოდაც. საამისოდ საჭირო გახდა ჩაგვეტარებინა ექსპერიმენტული გამოკვლევები.

ექსპერიმენტული გამოკვლევებისათვის ავიყვანეთ მოზრდილი კატები. საცდელი ცხოველი თავსდებოდა ისეთ პირობებში, რაც შეძლებისდა გვარად უახლოვდებოდა ჩვეულებრივ საწარმოო ან ყოფაცხოვრებით ელექტროტრავემას. სხვა მკვლევართაგან განსხვავებით, ჩვენ ვაწარმოებდით მხოლოდ დენის ერთჯერად დაკვრას („ელექტრული დაკვრა“), ე. ი. ისე, როგორსაც ადამიანთა ელექტროტრავემისას ჰქონდა ადგილი, რადგან ჩვენს გვამურ მასალაზე, რომელიც 180-მდე შემთხვევას მოიცავს, განმეორებით ელექტროტრავემას ადგილი არ ჰქონია და თითქმის ყველა წარმოადგენდა ელექტროწრედში ერთხელ იმბრივი ჩართვის გამო ე. წ. მწვავე სიკვდილის შემთხვევას. ჩვენც ექსპერიმენტში ეს გზა ავირჩიეთ მისი შედეგების გვამურ მასალასთან უფრო მეტი დაპირისპირების თუ დაახლოების მიზნით.

მოზრდილი კატები საცდელ ობიექტად იმიტომ ავიყვანეთ, რომ ეს ცხოველი უკვე დიდი ხანია გამოყენებულია ავტორთა უმრავლესობის მიერ და ელექტროდენისადმი თავისი გამძლეობის მიხედვით უახლოვდება ადამიანს. ცხოველის სხეულში ექსპერიმენტის შედეგად გავლილი ელექტროდენის თვისებების რეგულირების მიზნით წინასწარ „საქენერგოს“ ტრესტის ცენტრალური

ლურ ელექტროტექნიკურ ლაბორატორიაში (გამგე — ინჟინერი ენეტედიანე
სი კ. გძელიშვილი), მოეწყო სათანადო სქემა.



სქემა

ცხოველი თავსდებოდა სპეციალურად საამისოდ დამზადებულ ხის გალიაში, ზომით 70×40×50 სმ. გალია წარმოადგენს ოთხკუთხედს, მოსასხნელი ხუფიანი ზედა ნაწილით. ექსპერიმენტის ოპტიმალური შედეგის მისაღებად გალის ფსკერს გადაეკრა თუნუქის ფურცელი. ამით მივალდით ელექტროდენის კარგ, ხელსაყრელ „დამიწებას“. სხვა მკვლევართაგან განსხვავებით, ჩვენს ცდებში ცხოველი მოთავსებულ იქნა თავისუფალ — შეუზღუდავ პირობებში, მაშინ როდესაც სხვები საცდელ ცხოველებს ფიქსაციას უკეთებდნენ თანამებობით (ჰკრავენ მათ), ჩვენ დენის კონტაქტების დადების შემდეგ ვახურავდით კატებს გალის ხუფს და ცხოველები უკვე იზოლირებულნი, მაგრამ მოძრაობაში შეუზღუდველნი რჩებოდნენ. ჩვენ მიერ ნახმარი კონტაქტები ატარებდა არა ჩხვლეტის ხასიათს, არამედ მჭიდრო და ფართო მარყუჟის სახით ეკვროდნენ საცდელი ცხოველების კიდურებს. ამ მხრივაც ჩვენი ცდებს პირობები უახლოვდებოდა ადამიანთა შემთხვევებს.

კონტაქტების დიდი სიმჭიდროვე და სიფართოვე გამოყენებული იყო კანის წინააღმდეგობის დაქვეითების მიზნით. გარდა ამისა, ჩვენ მიერ მალევე იქნა მხედველობაში, რომ კატების ჩვეულებრივი ოფლის რეაქცია დიდ როლს თამაშობს საგნების შეგრძნებაში. იგი აძლიერებს კანის რეცეპტორთა მგრძობიარობას და ხელს უშლის ამ საგნების (კონტაქტების) დაცურება-დასხლეტას.

კატებს კონტაქტები უმაგრდებოდათ ვიწრო ყულფის სახით წინა მარცხენა და უკანა მარჯვენა თათებზე. ამ ორ მიდამოს შორის ელექტროდენის ჩართვა მიზნად ისახავდა პერიფერიიდან უწყვეტ ნაკადად წამოსული გალიზიანების იმპულსების გატარებას მთელ რეფლექსურ რკალში და ნ. ს. შესაფერისი რეაქციით გამოწვეულ სტრუქტურულ ცვლილებათა ფიქსირებას კანის საფარში.

საცდელი ცხოველები ზოგადად თუმცა ერთნაირად რეაგირებდნენ დენის მოქმედებაზე, მაგრამ მაინც ადგილი ჰქონდა ზოგიერთ განსხვავებას. დენის წყაროს ჩართვისთანავე იწყებოდა დაკვირვება საცდელი ცხოველების ქცევა-

ზე და იზომებოდა დრო, თუ რამდენ ხანში და რა ძალის დენის მოქმედებით კვდებოდა ცხოველი. ცდის დაწყებისთანავე კატები იკრუნჩხებოდნენ, წამოვარდებოდნენ ზეზე. ზოგიერთი მათგანი შეშდებოდა წამიერად, ბალანი ებურძენებოდა, შემდეგ იწყებოდა ისევ კრუნჩხვები. რიგ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა „სირენისმაგვარ“ ღმუილს. კატებს პირზე ადგებოდათ ვარდისფერი, ძლიერ ლორწოვანი, წვრილბუშტუკოვანი ქაფი ჰიარბი რაოდენობით. თვალის გუგები უფართოვდებოდათ, თვალის კაკლები იღებდა ერთ წერტილში მიყრდნობის სურათს და მინიგებრ გამჟვირვლობას. ადგილი ჰქონდა ძლიერ ჩასუნთქვით-ამოსუნთქვით ქოშინს და უწყესრიგო, ზერელე სუნთქვით მოძრაობებს კბილების ძლიერი კრაქუნით, ნიადავ პირის გაღებას და დუნედ მოკუმვას (შთაბეჭდილება, თითქოს და ჰაერი არ ყოფნისო). ერთ-ერთი დიდი კატა ძლიერ ეწინააღმდეგებოდა კონტაქტებს, დენის წყაროს ჩართვისთანავე ცდილობდა კბილებით მოეცილებინა გალიზიანების ეს წყარო, ძლიერ ენერგიული იყო, პირზე მოადგა სისხლიანი ქაფი, ბეწვები ყალყზე დაუდგა. უნებლიეთ მოშარდა. შარდზე გასვლას ადგილი ჰქონდა სხვა ექსპერიმენტულ ცხოველებშიც (ექსპერიმენტი ჩატარდა 6 ცხოველზე).

საცდელი ცხოველები იკვებოდა ქალაქის ქსელის ჩვეულებრივი ცვალებადი დენით (120 ვ) 50 კ. სიხშირისა. ელექტროდების დადების ადგილები წინასწარ თავისუფლდებოდა ბეწვისაგან. ცდების ხანგრძლივობა (ცხოველის სიკვდილამდე) მერყეობდა 25 წამიდან 5—20 წუთამდე. უკანასკნელ შემთხვევაში კატა მეტად დიდი იყო და იმდენად ძლიერი, რომ დენის ჩართვის შემდეგ საკმაო ხანს გალიას ძლიერ არყევდა.

დენის ძალა 25 mA-დან 162 mA-მდე, ძაბვა იწყებოდა 60 ვოლტიდან 140 და 240 ვოლტამდე (რეგულაცია ხდებოდა ავტოტრანსფორმატორით).

მოკლული ექსპერიმენტული ცხოველებიდან აღებული იქნა კანის, კანქვეშა ქსოვილის და შესაბამისი მიდამოს კუნთოვანი ქსოვილის ნაჭრები ექვსი ადგილიდან, კერძოდ, ა) წინა მარცხენა თათიდან—დენის კონტაქტის ადგილიდან, ბ) უკანა მარჯვენა თათიდან — დენის კონტაქტის ადგილიდან, გ) წინა მარცხენა თათიდან—კონტაქტიდან დაშორებული ადგილიდან, დ) უკანა მარჯვენა თათიდან—დენის კონტაქტიდან დაშორებული ადგილიდან, ე) წინა მარჯვენა თათიდან — შესაბამისი კონტრალატერული მიდამოდან, ვ) უკანა მარცხენა თათიდან — შესაბამისი კონტრალატერული მიდამოდან.

მიკრომორფოლოგიური გამოკვლევისათვის განკუთვნილ მასალას ვაფიქსირებდით 20%-იან ნეიტრალურ ფორმალინში. ანათალებს ვღებავდით ჰემატოქსილინ-ეოზინით, პიკროფუქსინით და ბოლშოვსკი-გროს-ლავერენტიევის მეთოდით. დასახელებული მასალის შესწავლამ შემდეგი გვიჩვენა.

მიკრომორფოლოგიურად: კიდურში დენის შესწავლის არეში და მის მონახლერედ რქოვანა ფენა მკვეთრად დეფორმირებულია, მასში ალავ აღინიშნება პატარა ოდენობის ფიჭისებრი ფორმის სიცარიელები და უსტრუქტურო ჰომოგენური გამჟვირვალე უბნები. ეპიდერმისის უფრო ღრმად მდებარე ბაზალური შრის უჯრედები ზედმიწევნით გაგრძელებულია, მათი ბირთვები პიკრო-

ზურია, ბაზალური შრის ეპიდერმისის ზერელე შრეებთან დამაკავშირებელ უჯრედთა პროტოპლაზმური მორჩების მთლიანობა დარღვეულია, რის გამოც აღნიშნული შრე გათიშულია ზემდებარე შრეებისაგან.

თვალსაჩინოდ გამოხატული დეფორმაცია, უსტრუქტურო მინისებრი უბნების და სიცარიელების არსებობა აღინიშნება ღვრილოვან და ბადისებრ შრეებში. უკანასკნელში შემაერთქსოვილოვანი ხარისხები დაწყვეტილია და ბადისებრი სტრუქტურა წაშლილია. კანქვეშა არეებში შემაერთქსოვილოვანი ბოჭკოები ჰომოგენური, ჰარბად შეღებილი, ალაგ კი დაწყვეტილია ცალკეულ ფრაგმენტებად. აქვე სისხლის ძარღვები გაგანიერებული და სისხლსავსე, ალაგ ცარიელი. კაპილართა ენდოთელური უჯრედები გაგრძელებულია სანათურის მიმართულებით. გაგანიერებული სისხლის ძარღვების ირგვლივ და მათ მოშორებით აღინიშნება პატარა ოდენობის სისხლჩაქცევები.

დენის შესვლის ქვეშ და მის მახლობლად მდებარე კუნთოვანი ბოჭკოების პროტოპლაზმა ჰომოგენურია, ბირთვები მუქადაა შეღებილი. საკმაოდ ხშირად კუნთოვან ბოჭკოთა ნაწილი დაწყვეტილია, რომელთა შორის აღინიშნება სისხლჩაქცევები.

დენის შესვლის უშუალო არეში და მის მოსაზღვრედ ადგილი აქვს რბილგარსიან და ურბილგარსო ნერვულ ბოჭკოთა ლერძცილინდრების ზედმიწევნით გამსხვილებას, გატლანქებას, სიგრძეზე დიდი ოდენობის ნეიროპლაზმის ნაგუბრების გაჩენას, დაწყვეტას ცალკეულ ფრაგმენტებად და ალაგ დაშლას წვრილმარცვლოვან მასად. ცალკეულ ფრაგმენტებად დაშლილია რეცეპტორები. დენის კონტაქტის შესვლის მცირედ მოშორებით აღინიშნება ნერვულ ბოჭკოთა ლერძცილინდრების არათანაბარი იმპრეგნაცია, ვარიკოზობა, მათ სიგრძეზე ნეიროპლაზმის ნაგუბრების გაჩენა და დაწყვეტა ცალკეულ ფრაგმენტებად.

დენის შესვლის დაშორებით, იმავე კიდურზე ეპიდერმისის ბაზალური შრის უჯრედები შევიწროებული და გაგრძელებულია. ბირთვები — პიკნოზური და მუქად შეღებილი, კანქვეშა სისხლის ძარღვები გაგანიერებული, სისხლსავსე, ალაგ-ალაგ მათი მთლიანობა დარღვეულია. ასეთნაირად შეცვლილი სისხლის ძარღვების ირგვლივ აღინიშნება მცირე ზომის სისხლჩაქცევები. სისხლჩაქცევები არის კანის უფრო ღრმად მდებარე შრეებში და კუნთოვან ბოჭკოებს შორის.

აქ როგორც უმიეღინო, ისე განსაკუთრებით მიეღინიანი ნერვული ბოჭკოს ლერძცილინდრები ზედმიწევნით ჰიპერემპრეგნირებული, დაკლაკნილი, არათანაბრად გასქელებულია. ზოგიერთი ლერძცილინდრის სიგრძეზე აღინიშნება მოდიდო ზომის ნეიროპლაზმის ნაგუბრები, ზოგიერთი მათგანი დაწყვეტილია ცალკეულ ფრაგმენტებად.

საკმაოდ ხშირად არათანაბრად არის გამსხვილებული, ჰიპერემპრეგნირებული და იშვიათად დაწყვეტილი წვრილი ნერვული დაბოლოებები, ზოგიერთი მათგანი კი თითქოს შეწყებებულია ერთიმეორესთან და ქმნის ერთ კომპაქტურ მასას. ფატერ-პაჩინის სხეულაკების წვრილი ნერვული დაბოლოებები გამსხვილებული, არათანაბრად იმპრეგნირებული და საკმაოდ ხშირად დაწყვეტილია.

ხშირად აღინიშნება ფატერ-პაჩინის სხეულაკების კავშირის გაწყვეტა ნერვული ბოჭკოს ღერძცილინდრებთან.

საოფლე ჭირკვლების და თმის ბოლქვების მიდამოში არსებული ნერვული წარმონაქმნები არათანაბრად არის გამსხვილებული და იმპრეგნირებული.

დენის შესვლის მოპირდაპირე კიდურის კანქვეშა და კუნთოვან ბოჭკოებს შორის ადგილი აქვს სისხლის ძარღვების გავანიერებას, სისხლსავსეობას სისხლჩაქცევების არსებობით, იშვიათად აღინიშნება კუნთოვანი ბოჭკოების დაწყვეტა. როგორც კანში, ისე კუნთოვან ბოჭკოებს შორის და სისხლის ძარღვების კედელში მყოფი ნერვული ბოჭკოს ღერძცილინდრები საკმაოდ ხშირად არათანაბრად გამსხვილებულია, დაკლანჩილია, ჰიპერემპრეგნირებულია. სიგრძეზე შედარებით პატარა ოდენობის ნეიროპლაზმის ნაგუბრები აქვთ. იშვიათად ადგილი აქვს ღერძცილინდრთა დაწყვეტას ცალკეულ ფრაგმენტებად. ასევე გატლანქებული არათანაბრად შეღებილია ვერცხლით კანში არსებული რთული ნერვული დაბოლოებანი.


ზემომოყვანილი მონაცემებიდან ცხადი ხდება, რომ ელექტროდენის მოქმედების გამო საცდელი ცხოველების კანის საფარში ადგილი აქვს ძლიერი გაღიზიანებისა და დისტროფიის მოვლენებს. ჩვენ მიერ ნახული ცვლილებები კანში, მის ღერვივებებში და საინერვაციო მოწყობილობებში ლაპარაკობს ფიზიოლოგიური რეგულაციის ძლიერი მოშლის სასარგებლოდ. ნერვული სისტემის ამ ნაწილშიც — კანის რეცეპტორებში და პერიფერიულ ნერვულ ღეროებში წარმოიქმნება ცვლილებები, რომლებიც ადასტურებენ გაღიზიანებისა და დესტრუქციის მოვლენებს ამ წარმონაქმნებში.

განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ ის გარემოება, რომ კანის საფარზე დენის მიყენების კონტრალატერულად მდებარე ნაწილებში აგრეთვე ნახულია მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები. ჩვენი აზრით, ასეთ მონაცემებს ე. წ. უნიშო ელექტროტრაკემების შემთხვევებში (როდესაც გარეგანი დათვალიერებით კანზე რაიმე ცვლილებებს ვერ ვპოულობთ) გარკვეული მნიშვნელობა ექნება ელექტროტრაკემის ფაქტის დასადგენად.

დასკვნები

1. კატების კანის ნერვულ მოწყობილობათა სტრუქტურული ცვლილებების მდგომარეობის შესწავლით აღმოჩნდა, რომ კანის ნერვულ მოწყობილობათა სტრუქტურული ცვლილებები წარმოიქმნება როგორც ელექტროდენის უშუალო კონტაქტის მიდამოებში, ისე მოწინააღმდეგე მხარეზე სიმეტრიულად მდებარე კონტრალატერალურ უბნებშიც.

2. კანისა და მისი საინერვაციო მოწყობილობების ცვლილებები ძლიერ ინტენსიურია ელექტროდენის უშუალოდ მოქმედების ადგილებში და გამოხატულია ნეიროპლაზმის ნაგუბრების გაჩენით ღერძცილინდრების სიგრძეზე და ნერვულ დაბოლოებებში, მათი ვაკუოლიზაციით და ფრაგმენტაციით. დენის უშუალო მოქმედების ადგილიდან მცირედ დაშორებით და მისი მოქმედების



მიკროფოტო 1. კანი კატის მარჯვენა უკანა თათში დენის შესვლის მიდამოდან. კანისა და კანქვეშა ქსოვილის ნერვულ წარმონაქმნთა ფრაგმენტაცია და წერილმარცვლოვანი დაშლა. იმპრეგნაცია ბილშოვსკ-გროს-ლაერენტიევის მეთოდით. გად. 300



მიკროფოტო 2. კანი კატის უკანა მარჯვენა თათში დენის შესვლის მიდამოდან დაშორებული უბნიდან. კანქვეშა ქსოვილის ნერვული ბოჭკოს ვარიკოზობა, ნეიროპლასმის ნაგუბარების არსებობით. იმპრეგნაცია ბილშოვსკ-გროს-ლაერენტიევის მეთოდით. გად. 300



მიკროფოტო 3. კანი კატის წინა მარჯვენა თათიდან — დენის შესვლის კონტ-
 რალატერალური მიდამო. კანისა და ქანჭვეშა მიდამოს ნერვული ბოჭკოს
 ღერძცილინდრების ზედმეტი დაკლავება და ვარიკოზობა. იმპრეგნაცია ბილ-
 შოესკ — გროს — ლაერენტის მეთოდით. გად. 300

ადგილის მოწინააღმდეგე ე. წ. კონტრალატერალურ მიდამოში აგრეთვე ადგილი აქვს სტრუქტურულ ცვლილებებს, რაც გამოიხატება არათანაბარი გასქელებით, ჰიპერემპრეგნაციით, ლერძილინდრების დაკლაკენით, მათ სიგრძეზე ნეიროპლაზმის მცირე ნაგებობების გაჩენით და ზოგჯერ ფრაგმენტაციით. სტრუქტურულ ცვლილებათა არსებობა დენის მოქმედების ადგილის მოწინააღმდეგე სიმეტრიულ მხარეზე პრინციპულად მნიშვნელოვანია ელექტროტრავმის სასამართლო-სამედიცინო დიაგნოსტიკისათვის.

3. გვამის სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევის დროს (მაკროსკოპული ცვლილებების არ არსებობის მიუხედავად) კანის ნაჭრები აღებულ უნდა იქნეს გამოსაკვლევად ყველა იმ მიდამოდან, რომელიც „საინერვო-სამედიცინო“ ექსპერტიზის მიერ ექვემდებარება იქნება როგორც ადამიანის დენის წყაროსთან შესაძლო შეხების ადგილები.

4. ჩვენს ცდებში ცხოველებს კლინიკურად გამოუმუქავნდა ძლიერი ვეგეტატიური სიმპტომოკომპლექსი (გაძლიერებული აქტივობა ძლიერი მოძრაობითი აგზნებულობის სახით, ღმუილი, გუგების გაგანიერება, ძლიერი სეკრეცია და სხვა), რაც წარმოადგენს თავდაცვით რეაქციას ძლიერ გამაღიზიანებელზე (ელექტროდენი).

5) კანის ნერვულ წარმონაქმნებში ჩვენ მიერ ნახული ყველა სტრუქტურული ცვლილება ლაპარაკობს ნერვული სისტემის და მთლიანად ორგანიზმის ზოგადი რეაქციის სასარგებლოდ ძლიერ და არაადეკვატურ გამაღიზიანებელზე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 30.12.1962)

АНАТОМИЯ

К. АБАШИДЗЕ

К ВОПРОСУ СОСТОЯНИЯ ИННЕРВАЦИОННЫХ МЕХАНИЗМОВ КОЖИ ПРИ ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНОЙ ЭЛЕКТРОТРАВМЕ

Резюме

Изучение состояния структуры нервных приборов кожи кошек, показало, что структурные изменения нервных приборов кожи возникают как в области контактов — в местах приложения электродов, так и на контралатеральной-противоположной симметричной стороне.

Изменения кожи и её иннервационных приборов весьма интенсивны в местах непосредственного действия тока и выражаются в наличии натеков нейроплазмы по ходу осевых цилиндров и нервных окончаний, вакуолизации и фрагментации их. В некотором отдалении от места приложения электродов и в противоположных по отношению к действию тока, т. е. контралатеральных, местах также обнаруживаются

структурные изменения нервных приборов кожи, выражающиеся в ее равномерном утолщении, гиперимпрегнации, извилистости осевых цилиндров, в наличии по их ходу мелких натеков нейроплазмы, а иногда и в фрагментации их. Наличие структурных изменений на стороне, противоположной симметричной, месту воздействия электротока, является принципиально важным для судебно-медицинской диагностики электротравмы.

При судебно-медицинском исследовании трупа (несмотря на отсутствие макроскопических изменений) кусочки кожи нужно брать для исследования со всех участков, которые по результатам «инженерно-медицинской» экспертизы могли быть местами соприкосновения с источником тока.

Клинически у подопытных животных в наших опытах наблюдался резкий вегетативный симптомокомплекс (усиленная активность в виде резкого двигательного возбуждения, вой, расширение зрачков, сильная секреция и т. д.), который представляет собой оборонительную реакцию на сильный раздражитель (электроток).

Все обнаруженные нами структурные изменения в нервных образованиях кожи свидетельствуют об общей реакции нервной системы и организма в целом на сильный и неадекватный раздражитель.

შემაჯობებელი ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. А. Д. Каплан, К вопросу о морфогенезе знаков тока. Хирургия, № 2—3, 1959.
2. Н. Ф. Шляпников, Морфология и патогенез электрических травм (кожные изменения). Саратов, 1956.
3. St. Jellinek. Elektrische Verletzungen. Leipzig, 1932.
4. Kawahara. Elektropathologische Histologie. Virch. Arch, B. 231, 1921.
5. В. Ш. Щедраков, Микроскопические изменения в организме при поражении электричеством. Сб. научн. работ каф. суд. медицины, Ростовского гос. мед. института Ростов и/Д, 1959.
6. А. Д. Тройцкая, Электротравма кожи. Ленинград, 1947.
7. О. Д. Коренева, Изменения кожи при поражениях электрическим током. Сб. научн. работ каф. суд. медицины Ростовского гос. мед. института. Ростов и/Д, 1959.
8. М. С. Бруштейн, Нервная система и повышение проницаемости капилляров при электротравме. Сб. «Очерки по сосудистой проницаемости». Медгиз, Москва, 1956.

6 კალანდაძე

კუჭის ტუბერკულოზის უმჯავლის საკითხისათვის

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ი. ტატიშვილმა 26.9.1961)

კუჭის ტუბერკულოზი იშვიათი დაავადებაა. ამასთან უფრო იშვიათია კუჭის იზოლირებული—ორგანოტუბერკულოზი, ვიდრე კუჭის ტუბერკულოზი სხვა ორგანოთა ტუბერკულოზურ დაზიანებასთან ერთად. საგულისხმოა აგრეთვე, რომ კუჭის ტუბერკულოზი გაცილებით უფრო იშვიათია, ვიდრე სხვა ორგანოს ტუბერკულოზი [1, 2, 3].

საინტერესოა ჩვენ მიერ აღწერილი კუჭის იზოლირებული ტუბერკულოზის შემთხვევა. 30 წლის ვაჟი შემოვიდა რესპ. ცენტრალური კლინიკული საავადმყოფოს IV ქირურგიულ განყოფილებაში ჩივილებით ტკივილზე ეპიგასტრიუმის მიდამოში. ავად არის 3 წელია. ავადმყოფობა დაეწყო გულისრევით, პირისღებინებთა და შეტევითი ხასიათის ტკივილებით ეპიგასტრიუმის მიდამოში. ტკივილი განსაკუთრებით უძლიერდებოდა საცვების მიღებიდან ნახევარი საათის გავლის შემდეგ და ირადიაციას იძლეოდა ბეჭის არეში, შემდგომ ტკივილებს მიუღია მუდმივი და ყრუ ხასიათი. კუჭის წვენი ანალიზი: თავისუფალი მარილწყავა — 0,08%, შეკავშირებული—0,2%, საერთო მჟავობა—32. დასმულ იქნა თირმეტკვას წყლულის კლინიკური დიაგნოზი.

ავადმყოფს გაუკეთდა ოპერაცია—კუჭის რეზექცია. ოპერაციის დროს პილორუსის მიდამოში აღმოჩნდა ცირკულური, წებოვან-ტუბერკული, 5x1 სმ-ის სიფართოვის, 2 სმ სიღრმის, უსწოროკედებიანი წყლული. წყლულის ფსკერი დაფარული იყო მორუხო-ყვითელი ფერის ხაჭოსებური მასით. ამას გარდა, კუჭის წინა კედელზე და დიდ მრუდზე აღინიშნებოდა მუხუნოს მარცვლის ოდენა, განაკვეთზე მორუხო-ყვითელი ფერის ხუთი კვანძი.

მიკრომორფოლოგიური გამოკვლევისას აღმოჩნდა, რომ დეფექტის კედლები და ფსკერი წარმოდგენილია გრანულაციური ქსოვილით, რომელშიც მოჩანს პიროგოვ-ლანგჰანის ტიპის გიგანტური უჯრედები. მათ ირგვლივ მოთავსებულია ეპითელიოიდური უჯრედების გროვები, ხოლო სულ პერიფერიულად მოჩანს პატარა უჯრედები მუქი ბირთვებით—ლიმფოციტური უჯრედები. აქაიქ აღინიშნება კაზეოზური ნეკროზის ვრცელი უბნები. მიკრომორფოლოგიური დიაგნოზი: კუჭის ტუბერკულოზი.

მაკროსკოპულად, მ. ალაბერინის მიხედვით, კუჭის ტუბერკულოზის ოთხ ფორმას არჩევენ: 1. წყლულოვანს, 2. ჰაპერტროფიულს, ანუ სიმსივნისმაგვარს, 3. ფიბრულ-სკლეროზულს, 4. შერეულს—ჰიპერპლასტიურ-წყლულოვანს.

ი. სინიუშინის [4] მონაცემებით, კუჭის ტუბერკულოზით უფრო ხშირად ავადდებიან მამაკაცები, ვიდრე ქალები; დაავადების მაქსიმუმი მოდის 16—45 (უპირატესად — 26—35) წლის ასაკზე.

მისათითებელია, რომ კუჭის ტუბერკულოზი ღარიბია კლინიკური სიმპტომატოლოგიით და ხშირად იძლევა სხვა დაავადებათა (კუჭის წყლულის, კუჭის კიბოს, პილორუსის სტენოზის, დიჰეპსიის და სხვ.) მსგავს ვამოვლი-



ნებებს—ტკივილები ეპიგასტრიუმის მიდამოში, ხშირი ფაღარათი, გულსრეკეა, პირღებინება, კუჭის წვეწმინდაში—მარილმჟავას დაქვეითება ან გაჭრობა და ტუბერკულოზური ჩხირების არსებობა [5].

კუჭის ტუბერკულოზი შეიძლება გართულდეს არასრული და სრული პერიფორაციით, სისხლდენით და სხვ.

კუჭის ტუბერკულოზის იშვიათობაზე მიუთითებს რიგ ავტორთა მრავალრიცხოვანი სტატისტიკური მონაცემები. მაგალითად, ი. სინიუშინმა 1910 წლამდე გამოქვეყნებულ ლიტერატურაში ნახა კუჭის ტუბერკულოზის 210, ხოლო ა. არლაუნმა 1932 წლამდე გამოქვეყნებულ ლიტერატურაში — 140 შემთხვევა.

ტუბერკულოზით გარდაცვლილთა შორის კუჭის ტუბერკულოზი სხვადასხვა მკვლევართა მიხედვით პათანატომიური გაკვეთების 0,1—0,5%-ს შეადგენს. კუჭის იზოლირებული ტუბერკულოზი ქ. თბილისის 30 წლის სექციურ მასალაში ნახანია ერთ შემთხვევაში, რაც შეადგენს აღნიშნული მასალის 0,003%-ს, ხოლო ბიოფსიურ მასალაში—ორ შემთხვევაში, რაც შეადგენს ამ მასალის 0,01%-ს.

ორგანიზმის სხვა ორგანოებთან შედარებით კუჭის ტუბერკულოზის იშვიათობაზე მიუთითებს მ. ალბერტის მონაცემები, რომელთა მიხედვით მილიარული ტუბერკულოზის დროს ორგანოთა ტუბერკულოზური დაზიანების სიხშირე ასეთია: ღვიძლი ზიანდება 82%-ში, ფილტვები—72%-ში, თირკმელები—62%-ში, ნაწლავები—57%-ში, ელენთა—56%-ში, პერიტონეუმი—26%-ში, პლევრა—25%-ში, პერიკარდიუმი—4%-ში, კუჭი—1%-ში.

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, კუჭში ტუბერკულოზური მიკობაქტერიების მოხვედრის ოთხი გზა არსებობს: 1. per os, 2. ლიმფოგენური, 3. პემეტოგენური და 4. სეროზული გარსებით.

კუჭის ტუბერკულოზის პათოგენეზის ასახსნელად მოწოდებულ შეხედულებათა შორის უკანასკნელ ხანამდე ძალაში რჩება აზრი, რომლის თანახმადაც კუჭში ჩხირები ხვდება დაავადებული ფილტვებიდან ამოხველებული ნახველის გადაყლაპვის გზით. ტუბერკულოზური მიკობაქტერიები ნახანია ფილტვების ტუბერკულოზით დაავადებულთა კუჭის გამონარეცხ წყალში. არსებობს შეხედულება, რომლის მიხედვით კუჭის შიგთავსში ტუბერკულოზური ჩხირების არსებობა ფილტვების ტუბერკულოზის მაჩვენებელია.

გ. რუბინშტეინის [6] დაკვირვებანი არ ეთანხმება ზემოაღნიშნულ მოსაზრებას. ავტორის მონაცემებით, კუჭის გამონარეცხ წყალში ტუბერკულოზური მიკობაქტერიები შეიძლება არსებობდეს საეცებით ჯანსაღი ფილტვების მქონე ადამიანთა გარკვეულ რაოდენობაში.

თუ დავუშვებთ, რომ კუჭში ნახანია ჩხირების წყაროს ყოველთვის წარმოადგენს ფილტვებში ფარული ტუბერკულოზური კერები, მაშინ ეს უკანასკნელი ადრე თუ გვიან ზოგიერთ ავადმყოფში მაინც უნდა იძლეოდეს ფილტვის ტუბერკულოზისათვის დამახასიათებელ კლინიკურ გამოვლენებებს. ძნელი წარმოსადგენია და საკვებით გაუგებარი, იმ ავადმყოფთა შორის, რომელთაც არა აქვთ ხველება, როგორ უხდა მოხდეს ნახველი ხახაში, შემდეგ საყლაპავსა და კუჭში.

მ. როზანოვას მონაცემებით, 74 გამოსაკვლევი ადამიანიდან, რომელთაც კუჭის გამონარეცხში აღმოაჩნდა ტუბერკულოზის ჩხირები, 5 წლის განმავლობაში არც ერთ მათგანს ფილტვის ტუბერკულოზის კლინიკური ნიშნები არ ჰქონია. მსგავსი შედეგები მოპყავთ ს. ბერგმანსა და ვ. იოსელიანს.

მ. როზანოვა აყენებდა ასეთ ცდებს: ბაჭის ორგანიზმში შეჰყავდა ტუბერკულოზური მიკობაქტერიების კულტურა სხვადასხვა გზით (ინტრავენუ-



რად. კანქვეშ, სათესლეში). ერთი ან რამდენიმე საათის, იშვიათად დღე-ღამის შემდეგ კუჭის შიგთავსში მკვლევარი ნახულობდა ტუბერკულოზურ ჩხირებს. ამით დამტკიცდა, რომ მიკობაქტერიები კუჭში შეიძლება მოხვდეს არა მარტო ნახველის გადაყლაპვის (ინტრაქანალიკური), არამედ სისხლის (ჰემატოგენური) გზითაც ბაქტერიემიის დროს.

აღნიშნულ გამოკვლევებამდე უცნობი იყო ტუბერკულოზური მიკობაქტერიების ეს შეღწევადობა სისხლის მილიდან კუჭის კედელში და შემდეგ კუჭის ღრუში.

საინტერესო დაკვირვებანი ჩატარდა იმ საკითხის გასარკვევად, თუ ტუბერკულოზური ჩხირები, მოხვედრილი სისხლის ნაკადში, რომელი ორგანოების მიერ გამოიყოფა.

კლინიკური და ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ ტუბერკულოზური ჩხირების ორგანიზმიდან გამოყოფა ხდება (გარდა კუჭის კედლისა) ღვიძლის, თირკმელების, სანერწყვე და სარძევე ჯირკვლების მიერ.

ჩამოთვლილი ორგანოები, ნევითერებათა ცვლის სხვადასხვა პროდუქტებთან ერთად, გამოყოფენ კოპუსკულურ ელემენტებს. მათ შორის ბაქტერიებს, კერძოდ ტუბერკულოზურს. ამასთანავე ვარაუდობენ, რომ ტუბერკულოზის დროს დაუზიანებელ ორგანოთა მიერ ტუბერკულოზური ჩხირების გამოყოფა წარმოადგენს იმუნიტეტის ერთ-ერთ გამოვლინებას.

ზემოაღნიშნული მოსაზრება მით უფრო სარწმუნოა, რომ, როგორც ა. ადო და ლ. ზილბერი მიუთითებენ, ვირუსების, მიკრობების, ტოქსინებისა და ანტიგენების ორგანიზმიდან გამოყოფის პროცესს გარკვეული მნიშვნელობა აქვს ინფექციიდან გაწმენდის საქმეში—გაჯანსაღებაში, სანოგენეზში.

რასაკვირველია, ეს მოსაზრება ინფიცირებული საკვებით კუჭის ტუბერკულოზური დაზიანების შესაძლებლობას არ უარყოფს, მაგრამ კუჭის ტუბერკულოზის იმ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული შესაძლებლობა გამორიცხულია და ფილტვები სპეციფიკური პროცესით არ არის დაზიანებული, შეიძლება ვივარაუდოთ შემდეგი: ტუბერკულოზური ჩხირები, მოხვედრილი ორგანიზმში, მრავლდებიან მეზენქიმურ სისტემაში და დიდხანს რჩებიან იქ, მიუხედავად იმისა, რომ ის პირველადი კერა, საიდანაც ბაქტერიემია განვითარდა, კარგა ხანია, რაც გაისრუტა. შემდეგ ორგანიზმის იმუნურ-ბიოლოგიური რეაქციის წყალობით ხდება დაუზიანებელი ორგანოების, მათ შორის კუჭის, მიერ ტუბერკულოზური ჩხირების გამოყოფა.

კუჭის შიგთავსში ტუბერკულოზური ჩხირების არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს კუჭის ტუბერკულოზურ დაზიანებას. კუჭის ტუბერკულოზის, როგორც დაავადების აღმოცენებისათვის, გარდა ტუბერკულოზური მიკობაქტერიებისა, საჭიროა კიდევ სხვა სათანადო პირობები.

ტუბერკულოზის სამეცნიერო-კვლევითი რესპუბლიკური ინსტიტუტი თბილისი

(რედაქციის მოქვეა 26.9.1961)

КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА

Н. И. КАЛАНДАДЗЕ

К ВОПРОСУ ИЗУЧЕНИЯ ТУБЕРКУЛЕЗА ЖЕЛУДКА

Резюме

Туберкулез желудка — редкое заболевание. Но изолированный туберкулез желудка — органотуберкулез встречается гораздо реже.

чем туберкулез желудка со специфическим поражением других органов [1, 2, 3]. В этом отношении интересен описанный нами случай туберкулеза желудка, обнаруженный во время операции (с клиническим диагнозом язвы 12-перстной кишки) в области пилоруса желудка у мужчины 30 лет.

В тех случаях, когда исключена возможность туберкулезного повреждения желудка инфицированной пищей и легкие специфическим процессом не поражены, тогда можно предположить следующее: туберкулезные палочки, попадая в организм, размножаются в мезенхимальной системе и остаются там, несмотря на то, что первичный очаг, из которого развилась бактериемия, давно уже рассосался. В дальнейшем в силу иммунобиологической реакции организма происходит выделение туберкулезных палочек неповрежденными органами, в том числе желудком. Однако для возникновения специфического поражения желудка как заболевания, кроме наличия туберкулезных микобактерий, нужны и другие соответствующие условия.

დაბოლოებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. М. М. Альперин. Туберкулез пищеварительного тракта. Киев, 1950.
2. Я. Л. Левин. Туберкулез желудка и двенадцатиперстной кишки. Советская хирургия, т. VI, вып. 5, 1934.
3. В. П. Луканин. К вопросу о туберкулезе желудка. Научная сессия Свердловского медицинского института. Свердловск, 1945.
4. И. В. Синюшин. Материалы к изучению туберкулеза желудка. М., 1910.
5. Б. А. Стекольников. О туберкулезе желудка. Медицинская мысль Узбекистана и Туркменистана, 8, 1929.
6. Г. Р. Рубинштейн. Пути выделения туберкулезных палочек из организма. Клиническая медицина, т. 31, вып. 12, 1953.



კლინიკური მაღივინა

ა. მინლაძე

ლუმბალური პუნჯციის გავლენა სხეულის ტემპერატურაზე

(წარმოადგინა აკადემიკოსმა პ. ქეთარაძემ 10.4.1962)

სითბოს რეგულაციაზე წარმოდგენას იძლევა სხეულის ტემპერატურის მდგომარეობა. სხეულის ტემპერატურის გაზომვა წარმოებს ილღის ფოსოში ან სწორ ნაწლავში. ამასთანავე, სწორი ნაწლავის ტემპერატურა 0,3—0,5-ით მეტია ილღის ტემპერატურაზე.

ადამიანის შინაგანი ტემპერატურა გარკვეულ ფარგლებში მერყეობს და ერთგვარ მუდმივობას ინარჩუნებს ორი ერთმანეთთან დაკავშირებული პროცესის არსებობის გამო. ეს პროცესებია: ორგანიზმში სითბოს გამოქმუშავება და ორგანიზმიდან სითბოს გამოყოფა [1].

ორგანიზმის სითბოს რეგულაცია რთული კომპლექსური ფიზიოლოგიური პროცესითაა გაპირობებული. ამ პროცესებში მთავარია სითბოს ქიმიური რეგულაცია და სითბოს ფიზიკური რეგულაცია, რომელთა მოქმედება ცენტრალური ნერვული მექანიზმებით ხორციელდება.

სადღისოდ დადგენილია, რომ სითბოს რეგულაციის ქვემდებარე ცენტრომთაგანებულა შუამდებარე ტვინში, ჰიპოთალამურ არეში, სახელდობრ—მესამე პარაკუტის ფუძეზე, მის გვერდებზე და რუხ ბორცვში. ექსპერიმენტში რუხი ბორცვის დარღვევა ან მისი გათიშვა ქვემდებარე წარმონაქმნებისაგან იწვევს ტემპერატურის მყარ დაკვიმას, ხოლო რუხი ბორცვის გალიზიანება ან დუქციური ნაკადით იწვევს ტემპერატურის მომატებას.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში ცხოველებზე ჩატარებულა ცდებით დადგენილია ზოლიანი სხეულის როლი სითბოს რეგულაციაში. ზოლიანი სხეულის ჩხველტა იწვევს სხეულის ტემპერატურის მომატებას რამდენიმე დღით. ეს ეფექტი ქრება შუამდებარე ტვინის რუხი ბორცვის ექსტირპაციის შემდეგ [1].

სხეულის ტემპერატურის ცვლილება, კერძოდ მომატება, ინფექციურ დაავადებათა გარდა, შეიძლება განვითარდეს ჰიპოთალამური მიდამოს გალიზიანებით. ეს არის ცენტრალური წარმოშობის თერმული რეაქცია. სითბოს რეგულაციის ამ ქვემდებარე ცენტრზე გავლენას უნდა ახდენდეს ლუმბალური პუნჯცია. ამ საკითხით ჩვენ დავინტერესდით მცირე ქორეის მძიმე მიმდინარე ფორმების ზურგის ტვინის სითხის ბუქსაციით მკურნალობის დროს (1938—40 წლები).

მცირე ქორეის მძიმე ფორმების დროს ზურგის ტვინის სითხის გამოღება და ისევ უკან დაბრუნებამ რამდენიმეჯერ (ბუქსაცია) კარგი თერაპიული შედეგი გამოიღო. ამასთანავე ბუქსაციის შემდეგ ტემპერატურის ყოველსაათობრივი გასინჯვით აღმოჩნდა, რომ ბუქსაციის მომდევნო პერიოდში სხეულის ტემპერატურა თანდათან მატულობს, 8—9 საათის შემდეგ აღწევს ყველაზე მაღალ დონეს (38—39°), ხოლო 12—14 საათის შემდეგ თავის პირიანდელ დონეს უბრუნდება. ტემპერატურული მრუდის ასეთი ცვლილება თერაპიულაციური ცენტრის, ჰიპოთალამური არის გალიზიანებას მივაწერეთ [2].

1945—1949 წლებში ჩვენ ყოველმხრივ ვსწავლობდით ტრავმულ ეპილეფსიას და, სხვა გამოკვლევებს გარდა, ვაწარმოებდით პნევმოენცეფალოგრაფიას. აღმოჩნდა, რომ პნევმოენცეფალოგრაფიის ყოველთვის თან ახლავს მეტად დამახასიათებელი ტემპერატურული რეაქცია: პნევმოენცეფალოგრაფიის გაკეთებისთანავე სხეულის ტემპერატურა ქვეითდება 0,5—1°-ით და შემდეგ თანდათან მატულობს 38,5—39°-მდე და 12—14 საათის შემდეგ უბრუნდება ნორმას [3].

ზურგის ტვინის სითხის ბუქსაცია და პნევმოენცეფალია, ცხადია, უფრო მძლავრი ჩარევია და ამ ზემოქმედებას მკვეთრი რეაქცია მოჰყვება, ვიდრე მხოლოდ ლუმბალურ პუნქციას.

მიუხედავად იმისა, რომ ნერვულ სნეულებათა კლინიკებში ლუმბალური პუნქცია ფართოდაა გამოყენებული, ლუმბალური პუნქციისაგან გამოწვეული ძვრები და კერძოდ სხეულის ტემპერატურის ცვლილება ნაკლებ არის შესწავლილი.

ლიტერატურაში ვხვდებით ცნობებს ლუმბალური პუნქციის შემდეგ სხეულის ტემპერატურის მომატების შესახებ [4, 5]. ა. პოლენოვისა და ა. ბონდარჩუკის [6] მიერ შემჩნეული იყო, რომ ზურგის ტვინზე ოპერაციული ჩარევისას სითხის დიდი რაოდენობით დაკარგვის შემთხვევებში ადგილი აქვს სხეულის ტემპერატურის მომატებას. ამ ავტორთა აზრით, ტვინის გარსების მექანიკური გაღიზიანებას ახლავს ფიზიოურქიმიური ხასიათის ცვლილებები, რაც იწვევს ტემპერატურის აწევას.

კ. ტრეტიაკოვმა [4] შეისწავლა ზურგის ტვინის სითხის ტემპერატურა და ამასთან ერთად ყურადღება მიაქცია აქსილარულ ტემპერატურას პუნქციამდე და პუნქციის შემდეგ. სულ შესწავლილია 19 ავადმყოფი, რომელთაც ჰქონდათ ნერვული სისტემის სხვადასხვა ხასიათის დაავადება.

ავტორის გამოკვლევით, ცერებროსპინალური სითხის გამოღების შემდეგ სითხის ტემპერატურა, როგორც წესი, ეცემა, მაშინ როდესაც აქსილარული ტემპერატურა შემთხვევათა უმრავლესობაში მატულობს, რაც ადასტურებს სხეულის ზედაპირულ და ცენტრალურ ტემპერატურათა შორის ანტაგონიზმის ძირითად წესს.

რამდენადაც აქსილარული და ლიქვორული ტემპერატურა ლუმბალური პუნქციის გაკეთებისთანავე იცვლება და ლაპარაკი რაიმე ინფექციაზე შეუძლებელია, ამდენად ტემპერატურის ეს ცვლილება უნდა აიხსნას მხოლოდ რეფლექსური ნეიროფიგეტიური მექანიზმებით [4].

ა. რუხაძემ და კ. ევაძემ 46 ავადმყოფზე შეისწავლეს ცერებროსპინალური სითხის გამოღების გავლენა ორგანიზმის საერთო ტემპერატურაზე და მივიღეთ დასკვნამდე, რომ „ნორმალური სითხის გამოღება უფრო მეტ გავლენას ახდენს ორგანიზმის საერთო ტემპერატურაზე იმ შემთხვევაში, როდესაც ტემპერატურა სითხის გამოღებამდე ნორმალურია; შეცვლილი, ე. ი. პათოლოგიური სითხის გამოღებისას ორგანიზმის საერთო ტემპერატურა მატულობს მაშინ, თუ მანამდე იგი ნორმალური იყო და, პირიქით, ეცემა, თუ მანამდე მომატებული იყო“ ([5], 62).

ზურგის ტვინის კომპრესიის დროს სუბარაქნოიდული სივრცის სრული გაუფლავებისა და ე. წ. მშრალი პუნქციის შემთხვევებში სხეულის ტემპერატურა არ იცვლება.

შემჩნეულია, რომ ლუმბალური პუნქცია სხეულის მაღალი ტემპერატურის დაქვეითებას იწვევს.

ჩვენ შევისწავლეთ ლუმბალური პუნქციის გავლენა 70 ავადმყოფზე ტუბერკულოზური მენინგიტისა და ნერვული სისტემის სხვადასხვა დაავადების შემთხვევებში.

თბილისის ქალაქის ტუბერკულოზური საავადმყოფოს მენინგიტის განყოფილებაში ლუმბალური პუნქციის გავლენა სხეულის ტემპერატურაზე შესწავლილია 30 ავადმყოფზე. აქედან ლუმბალური პუნქციის შემდეგ სტრეპტომიცინი შეყვანილ იქნა 12 შემთხვევაში, ხოლო 18 შემთხვევაში ჩატარდა საკონტროლო-საღიაგნოზო პუნქცია. 29 შემთხვევაში ნაწარმოებია ლუმბალური პუნქცია და მხოლოდ ერთჯერ ცისტერნული.

აქ განხილულია როგორც პირველად ნაწარმოებ, ისე მრავალჯერ (31-მდე) ნაწარმოებ პუნქციაზე ჩატარებული დაკვირვების შედეგები.

სხეულის ტემპერატურა იზომებოდა იდლიის ფოსოში, უშუალოდ პუნქციის წარმოების წინ, პუნქციის დამთავრებისთანავე, მაშინვე და შემდეგ საათში ერთჯერ 12—14 საათის განმავლობაში.

ერთობლივად შემდეგი: პუნქციის შემდეგ სხეულის ტემპერატურამ მოიმატა 23 შემთხვევაში 0,2°-დან 2°-მდე (ამათში დიაგნოსტიკის მიზნით ნაწარმოებია 15 პუნქცია და სამკურნალო მიზნით სტრეპტომიცინის შეყვანით—8 პუნქცია); სხეულის ტემპერატურამ დაიკლო 3 შემთხვევაში 0,4°-დან 1,1°-მდე; სამივე შემთხვევაში სხეულის ტემპერატურა მომატებული იყო. ლუმბალური პუნქცია გაკეთდა სამკურნალო მიზნით—ენდოლუმბალურად შეყვანილ იქნა სტრეპტომიცინი; სხეულის ტემპერატურა არ შეცვლილა 4 შემთხვევაში (დიაგნოსტიკური მიზნით ნაწარმოები შემთხვევები).

უშუალოდ პუნქციის შემდეგ სხეულის ტემპერატურამ მოიმატა 18 შემთხვევაში; სამკურნალოდ ნაწარმოებია 7 პუნქცია; დიაგნოსტიკური მიზნით ნაწარმოებია 11 პუნქცია; ტემპერატურის მერყეობა 0,1°-დან 0,8°-მდე.

უშუალოდ პუნქციის შემდეგ სხეულის ტემპერატურამ დაიკლო 9 შემთხვევაში; სამკურნალო მიზნით პუნქცია ნაწარმოებია 3 შემთხვევაში, დიაგნოსტიკური მიზნით— 6 შემთხვევაში; ტემპერატურის მერყეობა 0,1°-დან—1,1°-მდე.

უშუალოდ პუნქციის შემდეგ სხეულის ტემპერატურა არ შეცვლილა 3 შემთხვევაში, აქედან დიაგნოსტიკური პუნქცია არის 1 და სამკურნალო მიზნით ნაწარმოებია 2 შემთხვევაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული და სანპიკიენური ფაკულტეტების ნერვულ სნეულებათა კლინიკაში ლუმბალური პუნქცია ზურგის ტვინის სითხის გამოკვლევის—დიაგნოსტიკის მიზნით ნაწარმოებია ნერვული სისტემის ორგანული დაზიანების სხვადასხვა შემთხვევებში. სულ შესწავლილია 40 ლუმბალური პუნქცია.

ლუმბალური პუნქციის წინ, პუნქციის შემდეგ, მაშინვე და მომდევნო 12—14 საათის განმავლობაში ყოველ საათში სხეულის ტემპერატურის გაზომვამ მოკვდა შემდეგი: პუნქციის შემდეგ სხეულის ტემპერატურამ მოიმატა ყველა შემთხვევაში 0,1°-დან 2,5°-მდე.

უშუალოდ პუნქციის შემდეგ სხეულის ტემპერატურამ მოიმატა 29 შემთხვევაში (0,1—0,6°-მდე); დაიკლო 8 შემთხვევაში (0,1—0,4°-მდე) და უცვლელად დარჩა სამ შემთხვევაში. ლუმბალური პუნქციის შემდეგ სხეულის ტემპერატურა პუნქციამდე არსებულ დონეს დაუბრუნდა არა უადრეს 5 საათისა და არა უგვიანეს 12—14 საათისა.

როგორც ჩანს, ლუმბალური პუნქცია იწვევს სხეულის ტემპერატურის შეცვლას, უმთავრესად მომატებას; თუ სხეულის ტემპერატურა მომატებულია, მაშინ ლუმბალურ პუნქციას მაღალი ტემპერატურის დაქვეითება მოჰყვება; უფრო იშვიათად ლუმბალურ პუნქციას არ ახლავს ტემპერატურული რეაქცია.

ამგვარად, ლუმბალური პუნქცია მნიშვნელოვანი ჩარევია. ის გავლენას ახდენს თერმორეგულაციის ცენტრზე, იწვევს მის გაღიზიანებას და სითბოს ცვლის დროებით აშლას.

სითბოს ცვლა და თერმორეგულაცია მეტად საინტერესოა თეორიული და კლინიკური მედიცინისათვის. ამ მხრივ ბევრი საკითხი ჯერ კიდევ მოღიანად არ არის შესწავლილი. ამ პრობლემას 1959 წელს მიეძღვნა სპეციალური სიმპოზიუმი, სადაც აღნიშნეს, რომ ამჟამად კლინიკაში დაწესებული სხეულის ორჯერადი გაზომვა საესებით არაა საკმარისი ტემპერატურული მრუდის დინამიკის ანალიზისათვის. სიმპოზიუმმა საჭიროდ მიიჩნია აღმანიის სხეულის ტემპერატურის ავტომატური დღე-ღამის რეგისტრაციისათვის მოწოდებული ხელსაწყოების გაუმჯობესება და ფართოდ დანერგვა პრაქტიკაში [7].

ყურადღების ღირსია კ. ტრეტიაკოვის [4] მიერ ჩატარებული დაკვირვება ზურგის ტვინის სითბის ტემპერატურის ცვლილებაზე.

აქადმყოფებზე ჩატარებული დაკვირვებებით დადგენილია, რომ ზურგის ტვინის სითბის ტემპერატურა აჭარბებს აქსილარულ ტემპერატურას და უახლოვდება რექტალურ ტემპერატურას (37°), ანუ ის მიეკუთვნება სხეულის ცენტრალური ტემპერატურის ჯგუფს. დიდ ცისტერნაში ლიქვორის ტემპერატურა უფრო მაღალია (38°).

ზურგის ტვინის სითხეში ტემპერატურა მატულობს ლიქვორული წნევის აწევას. ლიქვორის გამოღება კერებროსპინალურ სითხეში ტემპერატურის დაცემას იწვევს საშუალოდ 3—4 მეათედი გრადუსით. კვეკენშედტის ცდისას ტემპერატურა სითხეში მატულობს 2—3 მეათედი და ზოგჯერ 8 მეათედი გრადუსით, რასაც „ტემპერატურულ კვეკენშედტს“ უწოდებენ.

ზურგის ტვინის სითხეში ტემპერატურის მომატება აღინიშნა ტვინისა და მისი გარსების შეშუპების დროს, ნერვული სისტემის ინფექციური დაავადებისას, თავის ტვინის სიმსივნისა და ეპილეფსიის შემთხვევებში.

ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ ცერებროსპინალური სითბის ტემპერატურა, როგორც წესი, ეკვამ მაშინ, როდესაც აქსილარული ტემპერატურა შემთხვევათა უმრავლესობაში მატულობს, რაც ადასტურებს სხეულის ზედაპირულ და ცენტრალურ ტემპერატურათა შორის არსებული ანტაგონიზმის ძირითად კანონზომიერებას.

ზოგჯერ ნერვული სისტემის დაავადებისას ეს ანტაგონიზმი ირღვევა, რაც უნდა აიხსნას ნორმალური თერმორეგულაციის მოშლით თერმორეგულაციის ცენტრების დაზიანების ან მათი ფუნქციის აშლის შედეგად.

მეტად საინტერესო დაკვირვებაა ჩატარებული მარტელისა და გიბროის [4] მიერ; როდესაც ოპერაციული ტრავმა ნება უშუალოდ ტვინის ტუბერო-ინფუნდიბულურ მიდამოს, სადაც მოთავსებულია თერმორეგულაციის ცენტრები, მაშინ ადგილი აქვს ცენტრალური (რექტალური) ტემპერატურის იზოლირებულ მომატებას. ტვინის სხვა უბნებზე ოპერაციის დროს კი, თერმორეგულაციის ცენტრების უშუალო ტრავმის გარეშე, ადგილი აქვს ცენტრალური ტემპერატურის მომატებას, სხეულის პერიფერიული ტემპერატურის აწევას ან დაქვეითებას 35°-მდე კიდურების წაცივებით და გაზომოთორული მოშლილობებით.

ეს დაკვირვებები ნათლად მიუთითებს, რომ ტუბერო-მამილარული მიდამო, სადაც მოთავსებულია თერმორეგულაციის ცენტრები, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სხეულის ზედაპირული და ცენტრალური ტემპერატურის ცვლილებაზე და მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე.

ი. სოკოლოვის [8] აღწერილი აქვს თერმორეგულაციის თავისებური მოშლა თავის ტვინის ღეროს ტრავმული დაზიანების შემდეგ: ავადმყოფს ჰქონდა სიცხის შეგრძნება მთელ სხეულში, მხოლოდ ფეხებში გრძობდა სიცოცხლე. იწვა ტიტველი, დაუხურავი. ზეწრის დახურავაც კი მასში იწვევდა სითბოს არასასიამოვნო შეგრძნებას—გახურებული ლითონის დაღებას ან მზის სხივებით



დაწვას. ავტორი თერმორეგულაციის ასეთ მოშლილობას ხსნის ტრავმული წარმოშობის წერტილოვანი სისხლჩაქცევებით თერმორეგულაციის ცენტრში — ჰიპოთალამუსში.

ეს ავტორი აღწერს აგრეთვე თერმორეგულაციის თავისებურ მოშლას ლეთარგიული ენცეფალიტის შემდეგ. ავადმყოფს ცივი უფრო სიამოვნებდა, ვიდრე თბილი. ოდნავ თბილი წყალი ძლიერ ცხლად ეჩვენებოდა. ზამთარში მეტად მსუბუქად ეცვა, ზაფხულში თავს ძლიერ ცუდად გრძობდა, ფეხშიშველი დადიოდა და სისტემატურად მდინარეში ბანაობდა. დაკვირვების ხანგრძლივობა 10 წელს მოიცავს. ამ ხნის განმავლობაში ავადმყოფს სიცივე არ უგრძენია და გაცივებისაგან ავად არ გამხდარა.

თუ გავითვალისწინებთ ლეთარგიული ენცეფალიტის დროს პათოლოგიური პროცესის უპირატეს ლოკალიზაციას ქერქქვეშა ღეროს მიდამოში, კერძოდ ჰიპოთალამუსში, მესამე პარაკუქის ფსკერზე, მაშინ თერმორეგულაციის ეს თავისებური მოშლაც მიუთითებს თერმორეგულაციის ცენტრის ჰიპოთალამუსში, ძირითადად რუხ ბორცვში, არსებობაზე. უნდა, თერმორეგულაცია, ისე როგორც ორგანიზმში მიმდინარე ყველა სასიცოცხლო პროცესი, თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების ქერქის კონტროლითა და რეგულაციით მიმდინარეობს.

ჩატარებული დაკვირვებები მიუთითებს, რომ ზურგის ტვინის სითხის გამოღება გავლენას ახდენს სხეულის ტემპერატურაზე, პარაკუქოვან სისტემაზე, განსაკუთრებით მესამე პარაკუქის მიდამოზე ჰიდროდინამიკური მოქმედების შედეგად. ლუმბალური პუნქცია თერმორეგულაციის ცენტრზე მოქმედებას მექანიზმით იწვევს სხეულის ტემპერატურულ ცვლილებებს. ამასთანავე, როდესაც ეს მოქმედება უფრო ძლიერია, ზურგის ტვინის სითხის ბუქსაციისა და პნევმოენცეფალიის დროს, მაშინ ტემპერატურული რეაქციაც უფრო მკვეთრია და ხანგრძლივი.

მიღებულია, რომ თერმორეგულაციის ცენტრი იმყოფება დიდი ტვინის ქერქის მარგულორებელი გავლენის ქვეშ და ის ფუნქციურ კავშირს ამყარებს (იმპულსებს გადასცემს) სითხის წარმოშობ და სითხის გამოყოფ ორგანიზმთან ვეგეტატიური ნერვული სისტემის საშუალებით.

ნევროლოგიური კლინიკისათვის ცნობილია, რომ პარაკუქებში და პარაკუქების ირგვლივ სისხლის ჩაქცევა მინიმე კლინიკური სურათის განვითარებას იწვევს. ასეთი ავადმყოფური მდგომარეობის საფუძველს ჰქმნის სამი ძირითადი კლინიკური ფენომენი—ღრმა კომა, პორმეტონია და დიენცეფალურ-ჰიპოთალამური წარმოშობის ვეგეტატიური ფუნქციების აშლა. ამ შემთხვევაში დიენცეფალურ-ჰიპოთალამური ვეგეტატიური ცვლილებების რთულ კლინიკურ სურათში პირველი ადგილი ჰიპერთერმიას უჭირავს. საყურადღებოა, რომ ამ ბოლო დროს ასეთი სინდრომის პათოგენეზში ზოგი ავტორი [9] დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თავს ტვინის ღეროს რეტოკულარულ ფორმაციას. რაკი ლუმბალური პუნქცია იწვევს პარაკუქოვან სისტემაში არსებული ფიზიოლოგიური წონასწორობის დარღვევას, ამიტომ არაა გამორიცხული რეტოკულარული ფორმაციის როლი პოსტპუნქციური ჰიპერთერმიის განვითარებაში.

დასკვნები

1. ლუმბალური პუნქცია გავლენას ახდენს სხეულის ტემპერატურაზე; როდესაც პუნქციამდე სხეულის ტემპერატურა ნორმალურია, მაშინ პუნქციის შემდეგ ტემპერატურა რამდენიმე საათით მატულობს, ხოლო როდესაც პუნქციამდე სხეულის ტემპერატურა მაღალია, მაშინ ტემპერატურა ეცემა.

2. ზურგის ტვინის სითხის ბუქსაცია და პნევმოენცეფალია უფრო მკვეთრ და ხანგრძლივ ტემპერატურულ რეაქციას იწვევს, ვიდრე მხოლოდ ლუმბალური პუნქცია.

3. ლუმბალური პუნქციის შემდეგ სხეულის ტემპერატურის ცვლილებათერმორეგულაციის ცენტრის, ჰიპოთალამური უბნის გაღიზიანებას უნდა მიეწეროს მესამე პარკუჭის მიდამოზე პიდროდინამიკური გავლენის შედეგად.

4. ლუმბალური პუნქციისაგან გამოწვეული მენინგეალური მოვლენების განვითარებაში ჰიპოთალამური არეს, თერმორეგულაციის ცენტრის გაღიზიანებას და სხეულის ტემპერატურის ცვლილებას მნიშვნელოვანი როლი უნდა მიენიჭოს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
ინსტიტუტი

(რედაქციაში მოუვიდა 10.4.1962)

КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА

А. А. МИНДАДЗЕ

ВЛИЯНИЕ ЛЮМБАЛЬНОЙ ПУНКЦИИ НА ТЕМПЕРАТУРУ ТЕЛА

Резюме

Изменение температуры тела может зависеть от целого ряда внешних и внутренних факторов. Определенное влияние на температуру тела оказывает люмбальная пункция.

Мы заинтересовались этим вопросом при лечении тяжелых форм малой хорей буксацией спинномозговой жидкости (1938—40 гг.).

При тяжелых формах хорей извлечение и обратное введение спинномозговой жидкости (буксация) дали хороший терапевтический эффект. При этом почасовое измерение температуры показало, что после буксации температура тела постепенно повышается, наивысшего уровня достигает через 8—9 часов (38—39°), а через 12—14 часов возвращается к исходному уровню. Такое колебание температурной кривой мы приписали раздражению терморегулирующего центра в гипоталамической области [2].

В 1945—1949 гг. мы всесторонне изучали травматическую эпилепсию и, кроме других исследований, производили пневмоэнцефалографию. Выяснилось, что пневмоэнцефалия всегда сопровождается весьма характерной температурной реакцией: во время производства пневмоэнцефалии температура тела падает на 0,5—1°, затем постепенно повышается до 38,5—39°, а через 12—14 часов возвращается к норме [3].

Буксация спинномозговой жидкости и пневмоэнцефалия, несомненно, являются более сильным вмешательством, сопровождающимся более резкой реакцией, чем только люмбальная пункция.

Несмотря на то, что люмбальная пункция широко используется в нервных клиниках, сдвиги, вызванные люмбальной пункцией, а в частности изменения температуры тела, остаются малоизученными.

В литературе имеются указания о повышении температуры тела после люмбальной пункции [4, 5].

Мы изучали влияние люмбальной пункции на 70 больных туберкулезным менингитом и различными нервными заболеваниями.

В менингитном отделении Тбилисской городской туберкулезной больницы влияние люмбальной пункции на температуру тела изучено на 30 больных. В 12 случаях введен был стрептомицин, а в 18 случаях произведена контрольная пункция с диагностической целью. В 29 случаях произведена люмбальная пункция, а только в одном случае — цистернальная. Здесь рассмотрены результаты как первичной, так и многократных (до 31) пункций.

Температура тела измерялась в подмышечной впадине непосредственно перед пункцией, непосредственно по окончании пункции, а затем через каждый час в течение 12—14 часов.

Выяснилось следующее: после пункции температура тела повысилась в 23 случаях на $0,2-2^{\circ}$ (в 15 случаях пункция произведена с диагностической целью и в 8 — с лечебной целью с введением стрептомицина); температура тела понизилась в 3 случаях на $0,4-1,1^{\circ}$, во всех 3 случаях температура предварительно была повышена (люмбальная пункция произведена с лечебной целью — эндолюмбально был введен стрептомицин); в 4 случаях температура тела осталась без изменения (пункция произведена с диагностической целью).

Непосредственно после пункции температура повысилась в 18 случаях: с лечебной целью произведено 7 пункций, а с диагностической — 11; температура колебалась от $0,1^{\circ}$ до $0,8^{\circ}$.

Непосредственно после пункции температура тела понизилась в 9 случаях: с лечебной целью пункция произведена в 3 случаях, а с диагностической — в 6; температура колебалась в пределах $0,1^{\circ}-1,1^{\circ}$.

Непосредственно после пункции температура осталась без изменения в 3 случаях, из коих в одном случае пункция произведена с диагностической целью, а в 2 — с лечебной.

В клинике нервных болезней педиатрического и сан.-гигиенического факультетов Тбилисского государственного медицинского института (заведующий — засл. деятель науки, профессор Н. А. Попхадзе) люмбальная пункция производилась для исследования спинномозговой жидкости с целью диагностики различных органических заболеваний нервной системы. Всего произведено 40 люмбальных пункций.

Измерение температуры перед пункцией, непосредственно после нее и через каждый час в течение 12—14 часов выявило следующее.

Во всех случаях после пункции температура тела повысилась на $0,1^{\circ}-2,5^{\circ}$. Непосредственно после пункции температура тела повыси-

ლას ვ 29 სლუჩაყ (ნა $0,1^{\circ}$ — $0,6^{\circ}$); პონიზილას ვ 8 სლუჩაყ (ნა $0,1^{\circ}$ — $0,4^{\circ}$) ი ოსტალას ბეზ იზმენენი ვ 3 სლუჩაყ.

პოსლე ლუმბალნიი პუნქციი ტემპერატურა ვოზვრათილას კ ნორმე ნე რანჟე, ჟემ ჟერეზ 5 ჟას ო ნე პოჯე, ჟემ ჟერეზ 12—14 ჟას.

ჟაკ ვიძნო, ლუმბალნიი პუნქცია ვიჯვალავს იზმენენი ტემპერატურე ტელა, გლავნიმ ობრავო, ეე პოვიშენი; ესლი ტემპერატურა ტელა პოვიშენა, თო ლუმბალნიი პუნქცია ვიჯვალავს ეე პონიჟენი; რეჟე ლუმბალნიი პუნქცია ნე სოპროვოჯდას ტემპერატურნიი რეაქციე.

ნა ოსნოვანი ლიტერატურნიი დანიი ო სობსტვენნიი ნაბლუდენიი მოჟნო ვიჯვალავს სლედოიჯე ოსნოვნიი პოლოჟენი.

ლუმბალნიი პუნქცია ოკავიჯვალავს ვლიანიე ნა ტემპერატურე ტელა. ესლი დო პუნქციი ტემპერატურა ნორმალნიი, თო პოსლე პუნქციი ონა პოვიშასეა ნა ნესკოლქო ჟასო; ესლი ჟე დო პუნქციი ტემპერატურა პოვიშენა, თო თოგდა ონა პადავს. ბუქსაცია სპინნომოჯვოვი ჟიჯკოსი ი პნევმოენცეფალია ოკავიჯვალავს ბოლეს რეჟკოი ი დლიტელნიო ტემპერატურნიო რეაქციო, ჟემ თოლქო ლუმბალნიი პუნქცია.

იზმენენი ტემპერატურე ტელა პოსლე ლუმბალნიი პუნქციი დოლჟნო ბეჟე პრიპისანო რადრჟენიე ცენტრა ტერმორეგულიაციი გიპოტალამიჯსკოი ობლასტი ვსლედსტვიე გიდროდინამიჯსკიი ვოჯდესტვიი ნა ობლასტე ტრეტუე ჟელუდოჯკა.

ვ რავიჯვნი მენინგეალნიი ჟავლენიი, ვიჯვალავნი ლუმბალნიი პუნქციე, ჟნიჯიტელნიი როლ დოლჟნა პრიადლეჟატე რადრჟენიე გიპოტალამიჯსკოი ობლასტი, ცენტრა ტერმორეგულიაციი ი იზმენენი ტემპერატურე ტელა.

დამოწმებულნი ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. А. Д. Слоним. Теплообмен и регуляция температуры тела. „Учебник физиологии“ под редакцией К. М. Быкова. Медгиз, 1955, 428—445.
2. ა. შინბდაძე. მეორე ქორთის კლინიკის დო მკურნალობის საკითხისათვის, თბილისი, 1942.
3. ა. შინბდაძე. ტრავმული ეპილეფსია, თბილისი, 1930.
4. К. Н. Третьяков. Изучение температуры цереброспинальной жидкости (рахи-термометрия). Труды кафедры нервных болезней Саратовского госмединститута том 7, 1948, 23—31.
5. ა. რუხაძე დო ქ. ეგაძე. ცერებროსპინალური სითხის ჟამოღების ჟავლენა ორგანიზმის სავროთო ტემპერატურაზე. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის შრომები, ტომი XX, 1951, 61—72.
6. А. Л. Поленов и А. В. Бондарчук. Хирургия вегетативной нервной системы Ленинград, 1947.
7. П. Н. Веселкин. Симпозиум по физиологии и патологии теплообмена и тепло, регуляции. Вестник Академии медицинских наук СССР, 9, 1959, 57—61.
8. И. П. Соколов. Своеобразное изменение терморегуляции при поражении мозгового ствола. Клиническая медицина, 10—11, XXI, 1943, 57—60.
9. П. М. Сараджишвили. Некоторые клинические вопросы функционального значения ретикулярной формации ствола мозга. Тбилиси, 1958.

ბ. ბეჟანიშვილი

მრგვალი წამლის მშრალი ექსტრაქტის (EXTR. LEONTICE
SICCA-ს) თერაპიული ეფექტი ანაციდური და სუბაციდური
გასტრიტიზის დროს

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პ. გულბახიანმა 12.5.1962)

კუჭის ქრონიკულ დაავადებათა საკითხი ერთ-ერთი რთულია შინაგან სნეუ-
ლებათა კლინიკაში. მიუხედავად იმისა, რომ კუჭის ქრონიკული გასტრიტიზი
გავრცელებულია მოსახლეობაში და დიდ არასასიამოვნო მდგომარეობაში აყე-
ნებს ავადმყოფს თავისი მიმდინარეობითა და გართულებებით, მისი მკურნა-
ლობა დღემდე ვერ დგას მოწოდების სიმალეზე. მკურნალობის ეფექტურო-
ბის გასაძლიერებლად მოწოდებულია მრავალი სამკურნალო საშუალება,
რომელთა მოქმედების მექანიზმი საბოლოოდ არაა დადგენილი და მოითხოვს
შემდგომ შესწავლას.

სუბაციდური და ანაციდური გასტრიტიზის სამკურნალოდ მოწოდებულ
მედიკამენტთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მცენარეული წარმო-
შობის პრეპარატებს, რომლებიც გაერთიანებულია ერთი სახელწოდებით —
მწარეები (amara).

ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა მრგვალი წამლის მშრალი ექსტრაქ-
ტის მოქმედება ქრონიკულ გასტრიტიზზე. კვლევის პირველ ეტაპზე შევიცა-
დეთ დაგვედგინა აღნიშნული პრეპარატის თერაპიული ეფექტი ქრონიკული
სუბაციდური და ანაციდური გასტრიტიზის შემთხვევაში.

მწარეები ძველი დროიდანვე ფართოდ იხმარებოდა სამედიცინო პრაქტი-
კაში როგორც მადის მომგვრელი და კუჭის სეკრეციის გამაძლიერებელი სა-
შუალებები. სხვა მწარე ნივთიერებებისაგან (ქინაქინი, სტრიქინი) განსხვავე-
ბით ისინი სრულიად ინდიფერენტული ნივთიერებებია და არ რეგორბირ-
დებიან ორგანიზმში. უმეტესად ისინი მცენარეული წარმოშობისანი არიან და
იხმარებიან გამონაწვლილის ან ნაყენის სახით [1]. ზოგიერთი მკვლევარი სრუ-
ლიად უარყოფს მწარეების გავლენას კუჭის წვენის სეკრეციაზე; მკვლევართა
უმრავლესობა კი ეწინააღმდეგება ამ აზრს და ცხოველებზე ექსპერიმენტებით
ასაბუთებენ ემპირიულად მიღებულ დებულებას ამ ნივთიერებების დადებითი
თერაპიული ღირებულების შესახებ.

დადგენილია, რომ დადებით სეკრეციულ ეფექტს იძლევა მწარეების პატა-
რა დოზები; დიდი დოზები კი, პირიქით, თრგუნავს მას. შეკავება ორ დღეს
გრძელდება [2].

ბუნებრივად ისმება კითხვა — როგორია მწარეების მოქმედების შედეგები?

ტრაუბე ამტკიცებს, რომ მწარე ნივთიერებები ადიდებენ სისხლის წნევას, რასაც კუჭის სეკრეციის გაძლიერება მოსდევს. ლუდვიგის აზრით, მწარე ნივთიერებები მოქმედებენ ღუჭის ჯირკვლების მგრძობიარე ნერვულ დაბოლოებებზე და იწვევენ სეკრეციის გაძლიერებას. ბორისოვი ამტკიცებს, რომ მწარეები მოქმედებენ გემოვნების ნერვების დაბოლოებებზე, იწვევენ მათს აგზნებას, რის შემდეგ მიღებულ კვებით გამოიზიანებლებზე ვლედულობთ ზედმეტ სეკრეციას. არსებობს პიპოთეზა, რომელიც მწარეების მოქმედებას ხსნის საჭმლის მომნელებელ ორგანოებში დუღილის პროცესის შენელებით, რასაც საჭმლის შეთვისების გაუმჯობესება მოსდევს. ი. პავლოვი თვლის, რომ მწარეები ალიზიანებენ ანალიზატორებსა და საჭმლის მომნელებელ ცენტრს. იგი სეკრეციის გაძლიერებას რთულ ფსიქიკურ აქტად თვლის. მისი აზრით, უსიამოვნო და შემდეგ სასიამოვნო გემოს შეგრძნება აღვიძებს მადას, რასაც წვენი უხვი გამოყოფა მოსდევს [1].

როგორც ჩანს, მწარეების მოქმედების მექანიზმი საბოლოოდ არაა დასაბუთებული. დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ მათი გავლენა კუჭის სეკრეციაზე და დადებითი თერაპიული ღირებულება.

მწარეები დეფიციტურია. ეს ხელს უშლის მათს ფართო ხმარებას. თბილისის ფარმაცო-ქიმიური ინსტიტუტის მიერ ადგილობრივი მცენარეული წარმოშობის ნედლეულისაგან დამზადებულია ჩამდენიმე პრეპარატი. მათ რიცხვს მიეკუთვნება აკად. ი. ქუთათელაძის მიერ 1941 წელს დამზადებული — მრგვალი წამლის სველი ექსტრაქტი [2].

მრავალ ქართულ ხელნაწერს შემოუწნაზვს ჩვენს დრომდე ექვთიმე ათონელის მიერ ბერძნული ენიდან თარგმნილი ბასილ დიდის (ბასილი კაპადოკიელის) ი თ ი კ ს. ქართული ლიტერატურის ისტორიაში მიღებულია აზრი, რომ აღნიშნული კრებული წარმოადგენს ბასილის ასკეტიკური ნაწერების, ანუ ბასილის „ასკეტიკონის“ ერთ ნაწილს. აკადემიკოსი კ. კეკელიძე წერს, რომ ეფრემ მცირემ ქართულად თარგმნა „ასკეტიკონი ბასილი დიდისა, ი თ ი კ ს გამოკლებით, რომელიც ექვთიმე ათონელს უთარგმნია“ [1]. საკუთარი შეხედულების თანახმად, კ. კეკელიძე ეფრემის თარგმნილი „ასკეტიკონის“ შესატყვის ბერძნულ ტექსტს უთითებს მინის გამოცემაში: PG, ტ. 31, გვ. 619—653. 870—1428; ხოლო ექვთიმეს თარგმნილი „ითიკის“ შესატყვის ბერძნულ ტექსტს — იმავე ტომის გვ. 653—870 [2]. მითითებული ტომის 619—1428 გვერდებზე, მართლაც, ბასილი კაპადოკიელის ასკეტიკური ნაწერებია წარმოდგენილი. 653—870 გვერდებზე მოთავსებულია სამი ასკეტიკური სტატია, რომელთა შორის ძირითადია თხზულება, რომელსაც ამ გამოცემაში ბერძნულ ენაზე ეწოდება სწორედ ი თ ი კ ა — Ἠθικά (Moralia) [3]. ამგვარად, გამოთქმული შეხედულების თანახმად, ეს უკანასკნელი სამი თხზულება უთარგმნია ექვთიმე ათონელს და ისინი წარმოდგენილი არიან კრებულში „ითიკა“, ხოლო დანარჩენი ნაწილი ამ ასკეტიკური თხზულებებისა ეფრემ მცირეს შეუტანია „ასკეტიკონის“ საკუთარ თარგმანში.

აღნიშნული მოსაზრება არ არის სწორი. ჯერ ერთი: ექვთიმე ათონელის თარგმნილ „ითიკაში“, რომელიც 50-ზე მეტი სტატიისაგან შედგება, წმინდა ასკეტიკური შინაარსის თხზულება არის მხოლოდ და მხოლოდ ერთი (სწავლა: „კაცთმოყუარე ღმერთი ჩუენი, რომელი-იგი ასწავებს კაცთა...“). ამ კრებულში შემავალი თხზულებებიდან მხოლოდ ეს სტატია არის ზოგჯერ შეტანილი „ასკეტიკონის“ ბერძნულ ხელნაწერებში. მეორე: ექვთიმეს თარგმნილ კრებულ „ითიკაში“ არ არის არც ერთი სტატია, რომლის ბერძნული ტექსტი წარმოდ-
 16. „მოამბე“, ტ. XXXI, № 1, 1963

გენილი იყო დასახელებული ტომის 653—870 გვერდებზე. ე. ი. ამ კრებულში არ არის არც ერთი სტატია, რომელიც ბასილის იმ თხზულებაში შედიოდა. რომელსაც ბერძნულად ითიკა ეწოდება. შესამეც: ექვთიმეს თარგმნილ „ითიკაში“ ძირითადად წარმოდგენილია ბასილი კაპადოკიელის ჰომილიები, უმეტესი მათგანის ბერძნული ტექსტი, როგორც სამართლიანად მიუთითებს ცალკეული სტატიების რაობის გარკვევისას კ. კეკელიძე [2], მოთავსებულია აღნიშნული ტომის 163—619 და 1429—1514 გვერდებზე. და მეოთხეც: ეფრემ მცირემ თარგმნა ბასილის „ასკეტიკონი“ იმ თხზულებიანად, რომელსაც ბერძნულად ეწოდება ითიკა. ეფრემის თარგმნილ „ასკეტიკონში“ შევიდა ის სამივე თხზულება, რომლებიც დასახელებულ გამოცემაში 653—870 გვერდებზეა წარმოდგენილი, და რომლებშიაც კ. კეკელიძე ექვთიმეს თარგმნილი „ითიკის“ ბერძნულ ტექსტს ხედავდა.

ამრიგად: 1. ექვთიმეს თარგმნილ „ითიკას“ არავითარი საერთო არა აქვს ბასილი კაპადოკიელის თხზულებასთან, რომელსაც ბერძნულ ენაზე (მინის გამოცემაში) ითიკა ეწოდება, სამეცნიერო ლიტერატურაში — „მორალური წესები“, ხოლო ძველ ქართულ მწერლობაში, ეფრემის თარგმანის თანახმად, „თავად-თავადი განსაზღვრება წამებითა წმიდათა წერილთაათა“, 2. „მოწალური წესები“, ანუ ბერძნულად ითიკა არის ბასილის ერთ-ერთი მთავარი ასკეტური ნაწარმოები და იგი შესულია ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ ბასილ დიდის „ასკეტიკონში“.

ერთად-ერთი მსგავსება ექვთიმეს თარგმნილ ბასილის კრებულ „ითიკასა“ და ბასილი კაპადოკიელის აღნიშნულ თხზულებას შორის არის მხოლოდ და მხოლოდ სახელწოდება (ერთის ქართული სახელწოდება ემთხვევა მეორეს ბერძნულ სახელწოდებას). მათი ერთმანეთში აღრევაც ამ ნიადაგზე უნდა მომხდარიყო.

XI საუკუნის ქართველ მოღვაწეებს შეუნიშნავთ ის გარემოება, რომ შესაძლებელი იყო ამ ორი თხზულების ერთმანეთში აღრევა. რომ მკითხველი ამ შეცდომისაგან დაეზღვია, ეფრემ მცირეს სპეციალური განმარტება დაუწერია, რომელზედაც დღემდე ყურადღება არ ყოფილა გამახვილებული.

გრიგოლ ნაზიანზელი „ბასილ დიდის ცხოვრებაში“ მიუთითებს, რომ, როდესაც ბასილის ეთიკურ და პრაქტიკულ (ἠθικαὶς καὶ πρακτικαὶς) სიტყვებს ვკითხულობ, ვიწმინდები სულით და ხორციით [4]. ეფრემ მცირე ასე თარგმნის ამ ადგილს: „რაჲამს სწავლითა და საქმითა სიტყუათა მისთა ვიკითხვიდე. განვიწმინდები სულით და ჳორციით“ [5]. სიტყვას „სწავლითა“, რომლის ბერძნული შესატყვისია „ეთიკურია“, ეფრემ მცირე ურთავს ასეთი შინაარსის სქოლიოს: „ორივე ესე ერთ არს — სწავლითი და საქმითი, რამეთუ სწავლაჲ იგი საქმეთა კეთილთა მოქმედებასა ასწავებს კაცთა; ვინაჲცა ამათ არა ზოლო „ითიკად“ სახელდებულსა მას წიგნსა წმიდისასა მოასწავებს, არამედ საქმითსა მას „ასკეტიკონსა“ მისსა, ესე იგი არს — მოღვაწეთა-



სა; რომელნი-ესე ზოგად წესთა და მოქალაქობათა შეამკობენ და სჯულიერად მოლუაწებად განსწავლიან მოლუაწეთა“ [5]. ეფრემ მცირე ამ სქოლიოში მოკლედ მიუთითებს ბასილ დიდის „ასკეტიკონის“ მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე და იძლევა ამ სახელწოდების (ასკეტიკონი) ქართულ თარგმანს („მოლუაწეთა“); მაგრამ ამჯერად ჩვენ ამ მინაწერში სხვა გარემოება გვაინტერესებს. ეფრემ მცირის აზრით, გრიგოლ ნაზიანზელის დასახელებული „სწავლითი და საქმითი“ (ეთიკური და პრაქტიკული) სიტყვები არის ბასილი კაპადოკიელის ორი თხზულება: „მორალური წესები“ (ი თ ი კ ა) და „ასკეტიკური წესები“. ეს ორი თხზულება ბერძნულ ხელნაწერებში გაერთიანებულია ერთ კრებულში — „ასკეტიკონში“. ამიტომაც ეფრემი კარკვევით მიუთითებს: „ორივე ესე ერთ არს — სწავლითი და საქმითი“. ეფრემის აზრით საქიროა, რომ ბასილის ი თ ი კ ა (სწავლითი სიტყვები), რომელიც ბასილის „ასკეტიკონში“ შედის, ქართველმა მკითხველმა განასხვავოს იმ წიგნისაგან, რომელსაც „ითიკა“ ეწოდება (იგულისხმება ექვთიმე ათონელის თარგმნილი „ითიკისაგან“). ამიტომაც, ეფრემი კარკვევით მიუთითებს: რომ ეს „სწავლითი და საქმითი სიტყვები“ (ე თ ი კ უ რ ი და პრაქტიკული) „არა ზოლო „ითიკად“ სახელდებულსა მას წიგნსა წმიდისასა მოასწავებს, არამედ საქმითისა მას „ასკეტიკონსა“ მისსა“. ამ კომენტარით ეფრემი აღრევე აფრთხილებდა ქართველ საზოგადოებას, რომ ერთმანეთში არ არეოდათ ბასილი კაპადოკიელის „მორალური წესები“, რომელსაც ბერძნულად ი თ ი კ ა ეწოდება და ქართულ მწერლობაში ბასილის „ითიკად“ სახელდებული წიგნი.

დასკვნები

1. ექვთიმე ათონელმა თარგმნა ბასილი კაპადოკიელის პომილეტიკურ-ეგზეგეტიკური შინაარსის კრებული, რომელიც ქართულ მწერლობაში „ითიკის“ სახელით არის ცნობილი. ამ „ითიკას“ არავითარი საერთო არა აქვს ბასილი კაპადოკიელის „მორალურ წესებთან“, რომელსაც ბერძნულად ი თ ი კ ა ეწოდება;

2. ეფრემ მცირემ ქართულად თარგმნა ბასილი კაპადოკიელის „ასკეტიკონი“. რომელშიაც ისევე, როგორც შესაბამის ბერძნულ კრებულებში შეტანილია ბასილის „მორალური წესები“;

3. ეფრემ მცირე, როგორც მწერლობის ისტორიკოსი, მოყვანილ კომენტარში არკვევს ამ ბუნდოვან საკითხს. აღნიშნულ სქოლიოს, რომელიც დღემდე გამოქვეყნებული არ ყოფილა, ეფრემ მცირის მეცნიერულ შეხედულებებში სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს.

თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი



Э. Г. ХИНТИБИДЗЕ

КОММЕНТАРИИ О ЛИТЕРАТУРНОМ НАСЛЕДСТВЕ
ЕВФИМИЯ АФОНСКОГО

Резюме

Во многих грузинских рукописях сохранилась «Итика» (ითიკა) Василия Великого (Каппадокийского), переведенная с греческого языка Евфимием Афонским. В византийской литературе этическими, или нравственными, правилами (Ἠθικά — *Moralia*) именуется часть аскетических произведений, т. е. часть «Аскетикона» Василия Великого. На грузинский язык «Аскетикон» Василия Великого перевел Ефрем Младший.

В истории грузинской литературы существует мнение, что переведенный Евфимием Афонским сборник Итика представляет собой именно ту часть «Аскетикона» Василия, которая на греческом языке называется этическими правилами (Ἠθικά), а Ефрем Младший перевел на грузинский язык «Аскетикон», за исключением этой «Итики».

Указанные соображения неправильны. В «Итике», переведенной Евфимием Афонским, нет ни одной статьи, которая вошла бы в состав того произведения Василия, которое по-гречески называется Итикой (Ἠθικά). Ефрем Младший перевел на грузинский язык «Аскетикон» Василия Великого вместе с этическими правилами (Ἠθικά).

Единственным сходством между сборником «Итика» Василия, который перевел Евфимий, и указанным творением Василия Великого является их одинаковое название (грузинское название одного из них совпадает с греческим названием другого). Смешение этих двух произведений, должно быть, произошло по этой причине.

Ефрем Младший, видимо, предвидел возможность этого смешения и, чтобы предостеречь читателя от этой ошибки, написал специальное объяснение, на которое до сих пор не обращено внимание.

Григорий Назианзский в «Эпитафии Василия Великого» говорит об этических словах Василия. Переводя это место, Ефрем Младший указывает, что это произведение представляет собой только одну часть «Аскетикона», а не тот сборник, который мы называем «Итикой».

Указанный комментарий, который до сих пор не был опубликован, должен занять должное место в научных взглядах Ефрема Младшего.



დასმონებულ ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, 259.
2. კ. კეკელიძე. უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში. ვტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, 1957, 17 — 20.
3. J. - P. Migne. Patrologia Graeca, t. 31, 1857, 700 — 869.
4. J. - P. Migne. Patrologia Graeca, t. 36, 1858, 585.
5. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ზენაწერთა ინსტიტუტი, A-16,304v.



მ. ჯაფარიძე

ზურტაკეტის შორღანები


(წარმოადგინა აკადემიკოსმა შ. შიონაშვილმა 15.11.1962)

1958 წელს საქართველოს ხელოვნების მუზეუმისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ თრიალეთში დაზვერვების დროს გომარეთის პლატოზე, დმანისის რაიონში, მიაკვლია ყორღნების ერთ ჯგუფს. გომარეთის პლატო, ანუ, როგორც მას ვახუშტი ბაგრატიონი უწოდებს, ზურტაკეტი ([1], გვ. 40), მდებარეობს ზღვის დონიდან 1300—1400 მ სიმაღლეზე მდინარე ხრამისა და მისი მარჯვენა შენაკადის მდ. ყარაბულაღის აუზში. იგი წალკის პლატოს ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს. ყორღნები ამ პლატოზე ძირითადად გვევდება ადგილ „ორთაშუაზე“, რომელიც სოფ. ახას, ყარაბულაღსა და უსეანქს შორისაა მოქცეული. რამდენიმე ყორღანი ცნობილია აგრეთვე ყარაბულაღის ზემოთ ადგილ „კურუტუსზე“ (სწორი ადგილი). ეს ყორღნები გარეგნულად თითქმის არ განსხვავდება წალკის ქვაბულში ცნობილი ყორღნებისაგან. აქაც გვევდება ნაირი ზომის ქვაყრილიანი და ქვაშიწყრილიანი ყორღნები. ქვაშიწყრილიანი უპირატესად მომცრო ზომისაა. მხოლოდ რამდენიმე საშუალო ზომის ქვაშიწყრილიანი, ანუ „მწვანე“, ყორღანი გვევდება აქ. ქვაყრილიანი ყორღნები ჩვეულებრივ უფრო მოზრდილებია. ამათგან ზომებით განსაკუთრებით გამოირჩევა სამი ყორღანი, რომელთა სიმაღლე 6—8 მ უდრას, დიამეტრი კი 80—100 მ. ერთი მოზრდილი ყორღანი მდებარეობს სოფ. სოგუთლეს მახლობლად ადგილ „ახვერდში“.

შესწავლილ იქნა სამი ყორღანი: ერთი მოზრდილი ქვაშიწყრილიანი და ორი ქვაყრილიანი. ერთი ამ ქვაყრილიან ყორღანათგან (№ 1) მდებარეობდა სოფ. ყარაბულაღის დასავლეთით, მისგან 3,0 კმ დაშორებით ადგილ „კურუტუსში“ (სურ. 1). ქვაყრილის ნაწილი ყორღანს აცლილი ჰქონდა. მისი სიმაღლე 2,50 მ უდრდა. დიამეტრი — 40,0 მ. ყორღნის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა „დასაკრძალავი დარბაზი“. დარბაზის კედლები ნაგები იყო მშრალად, უხსნაროდ, ბრტყელი ფილაქვებით. დარბაზის მიმართულებაა ჩრდ. აღმ.-სამხრ.-დასავ. „დასაკრძალავი დარბაზის“ ზომები: ს.მხ.-აღმ. კედლის სიგრძე — 6,50 მ. სიმაღლე — 1,90 მ; ჩრდ.-დასავლ. კედლის სიგრძე — 6,0 მ. სიმაღლე — 1,90 მ, ჩრდ.-აღმ. კედლის სიგრძე — 5,90 მ, სიმაღლე — 1,35 მ; სამხრ.-დასავლ. კედლის სიგრძე — 6,0 მ, სიმაღლე — 1,80 მ.

დარბაზის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელში აღმოსავლეთ კუთხეში დატანებული იყო შესასვლელი. შესასვლელში ვერტიკალურად იდგა დიდი ბრტყელი ქვა, სიგანე უდრიდა — 1,20 მ².

როგორც ჩანს, პირვანდელი ზომები „დასაკრძალავი დარბაზისა“ უფრო დიდი იყო. შემდგომ, რაღაც მიზეზის გამო, ეგებ გადახურვასთან დაკავშირებით, საჭირო გამხდარა დარბაზის ზომების შემცირება. ამ მიზნისათვის დარბაზში ჩაუშენებიათ სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის კედლები. შიდა კედლებს გარეთა პირი ამოყვანილი იყო მოზრდილი რიყის ქვი-



სურ. 1


ბით, შიდა პირი კი, როგორც აღვნიშნავდით, ბრტყელი ფილაქვების წყობას წარმოადგენდა. ასეთივე წყობა ჰქონდა აგრეთვე დარბაზის სამხრეთ-აღმოსავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის გარეთა კედლებს. შიდა და გარეთა კედლებს შორის მოთავსებული სივრცე ამოვსებული იყო რიყის ქვითა და მიწით. ამომენდის შემდეგ აქ არაფერი არ აღმოჩენილა. ამრიგად, პირვანდელი ზომები „დასაკრძალავი დარბაზისა“ უნდა ყოფილიყო: სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლის სიგრძე — 8,30 მ, სამხრეთ-დასავლეთის კედლის სიგრძე — 6,70 მ, ჩრდილო-აღმოსავლეთის კედლის სიგრძე — 6,70 მ⁽¹⁾.

დარბაზს სამხრეთ-აღმოსავლეთის გარეთა კედლის და ჩრდილო-დასავლეთის კედლის დაახლოებით შუა ნაწილში პატარა სათავსები ჰქონდა. სათავსები ნაგები იყო ისეთივე ბრტყელი ფილაქვებით, როგორც დარბაზის კედლები. სათავსები გადახურული იყო მოზრდილი ბრტყელი ფილაქვებით. სივანე და სიმალლე ორვე სათავსს ერთნაირი ჰქონდა (სივანე — 1,10 მ, სიმალლე — 1,30 მ).

(¹ ყოვლანი გაპარტეფი იყო.

სიგრძით სამხრეთ-აღმოსავლეთის სათაესი რამდენადმე უფრო გრძელი იყო (სამხრეთ-აღმოსავლეთის სათაესის სიგრძე — 2,40 მ; ჩრდილო-დასავლეთისა — 2,10 მ). სათაესებში არაფერი არ აღმოჩნდა.

„დასაქრძალავი დარბაზის“ კედლების ძირზე ელაგა ძლიერ დაზიანებული თიხის ჭურჭელი. ჭურჭელი ძირითადად გვხვდებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კედლებთან. რამდენიმე ჭურჭელი იდგა აგრეთვე ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელთან აღმოსავლეთ კუთხეში.




სფო. 2.

ნივთები უპირატესად ჩნდებოდა დარბაზის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. სამხრეთის კუთხეში ნაპოვნია მინისებური პასტის ცისფერი მძივსაკიდი, მინისებური პასტის ნაირი ზოვისა და მოყვანილობის მძივები, პასტის ბრტყელი ბუსუსებიანი დილაკები, ბრინჯაოს რგოლი, ბრინჯაოს ფირფიტის ნატეხები, სერდოლიკის მძივები და სხვ. (სურ. 2). აქვე ჩნდებოდა შეპრიალა თიხის ჭურჭლის ნატეხები. აღსანიშნავია, რომ აქ ეს ნივთები ჩნდებოდა სხვადასხვა დონეზე. ერთი და იგივე მძივები გვხვდებოდა როგორც ყორღანის ძირზე, ისე რამდენადმე უფრო მაღლა. იგივე ითქმის კერამიკაზეც.

„დასაქრძალავი დარბაზის“ დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ბრინჯაოს თავშეკრული სამაჯური, ბრინჯაოს ბუნიკი და სერდოლიკის მძივები. სამხრეთ-და-

სავლეთის კედლის შუა ნაწილში ნაპოვნია ობსიდიანის ისრის პირები (სურ. 2). დარბაზის ცენტრალურ ნაწილში თითქმის არაფერია აღმოჩენილა.



სურ. 3.

ყორღანი № 2 მდებარეობდა სოფ. უსენაქის ჩრდილოეთით, მისგან დაახლ. 1.0 კმ დაშორებით ზევის პირას. ყორღანს 3,0 მ სიმაღლის ქვაყრილი ჰქონდა. მისი დიამეტრი — 40,0 მ უდრიდა. ყორღანს თავი გაბრტყელებული ჰქონდა. ყორღანის შუა ნაწილში აღმოჩნდა სწორკუთხა მოყვანილობის „დასაყრძალავი დარბაზი“ (სურ. 3). დარბაზის კედლები ნაგები იყო მშრალად, მოზრდილი ქვებით. კედლის წყობა ალაგ-ალაგ გამავრებული იყო პატარა ქვებით. დარბაზის მიმართულება აღმოსავლეთიდან — დასავლეთისაკენ. „დასაყრძალავი დარბაზის“ ზომები: ჩრდილო კედლის სიგრძე — 7,60 მ, სიმაღლე — 3,80 მ. სამხრეთის კედლის სიგრძე — 6,25 მ, სიმაღლე — 2,70 მ. დასავლეთის კედლის სიგრძე — 3,50 მ, სიმაღლე — 3,0 მ.

აღმოსავლეთის მხრიდან დარბაზს კედელი არ ჰქონდა (სივანე აღმოსავლეთ ნაწილში უდრიდა 4,30 მ). აქაც სიგრძივი კედლების აღმოსავლეთ ნაწილში დარბაზს მიდგმული ჰქონდა სათავსები. სამხრეთის სათავსი სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეს დაშორებული იყო 0,70 მ. აღმოსავლეთის და დასავლეთის სიგრძივი კედლები ორი რიგისგან შედგებოდა. ქვედა ქვები დიდი ზომისაა, ზედა კი უფრო ატარები. აღმოსავლეთის კედლის ქვედა რიგი შედგებოდა სამი

ქვისაგან, მესამე ქვა ამავე დროს უკვე დარბაზის კედლის ქვაც იყო. ასევე იყო აგრეთვე დასავლეთის კედელი. სამხრეთის განივი კედელი ერთი ქვისა იყო. სათავსი გადახურული იყო სამი ბრტყელი ქვით, რომლებიც ქვევიდან შემაგრებული იყვნენ უფრო მომცრო ზომის ქვებით. სამხრეთის სათავსის გარეთა ზომები: სიგრძე — 2,70 მ, სიგანე — 2,70 მ, სიმაღლე — 1,55 მ. შიდა ზომები: სიგრძე — 2,20 მ, სიგანე — 1,20 მ, სიმაღლე — 1,20 მ.

ჩრდილო კედელში სათავსი იწყებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხიდან 2,60 მ დაშორებით. აქაც სიგრძივი კედლები შედგებოდა სამ-სამი მოზრდილი ქვით: განივი კედელი კი ერთი ქვისაა. სათავსი გადახურული იყო სამი ბრტყელი ქვით, რომლებიც უყრდნობოდნენ ქიმისებურად გახალაგებულ მოგრძო ბრტყელ ქვებს. ჩრდილო სათავსის გარეთა ზომები: სიგრძე — 4,0 მ, სიგანე — 2,70 მ, სიმაღლე — 1,60 მ. შიდა ზომები: სიგრძე — 3,30 მ, სიგანე — 1,90 მ, სიმაღლე — 1,10 მ.

ნივთები ძირითადად აქაც დარბაზის დასავლეთ ნაწილში ჩნდებოდა. თიხის ჭურჭელი ძლიერ დაღწეულია და მიმოფანტულია. დასავლეთის კედლის ძირას აღმოჩნდა შინდის კერვის ფორმის ხუთი ოქროს ფუტურა მძივი. დასავლეთ ნაწილში დარბაზის ჩრდილო კედლისაკენ ნაპოვნია სხვადასხვა ზომისა და ფორმის სერდოლიკის მძივები. აქვე მახლობლად აღმოჩნდა ობსიდიანის სამკუთხა ისრის პირი და ბრინჯაოს რგოლი.

ორ ევ სათავსი, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იყო გადახურული, ნახევარზე მეტად ამოვსებული იყო მიწითა და ქვით. ჩრდილო სათავსში ამოწმენდისას არაფერი არ აღმოჩნდა, სამხრეთისაში კი ნაპოვნია სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მოზრდილი ჭურჭელი, შესასვლელთან დასავლეთ კუთხეში იყო სერდოლიკისა და პასტის რამდენიმე წვრილი მძივი.

ყორღან № 2 ქვაყრილში აღმოჩნდა ნატეხები უფრო გვიანდელი თიხის ჭურჭლისა და რკინის დანისპირის ფრაგმენტი.

ყორღანები „დასაკრძალავი დარბაზით“ თრიალეთში სულ სამი იყო (ანობლი: ორი სოფ. კუშჩიდან (2, გვ. 83; 3 გვ. 12) და ერთიც საბით-აღჩაიდან (4, გვ. 7). კუშჩის თოფქარების „დასაკრძალავი დარბაზები“ შედარებით უფრო მოზრდილები იყო. აქაც დარბაზები, მსგავსად ყორღან № 1-ისა, ნაგებია ბრტყელი ფილაქვებით. აღსანიშნავია, რომ თოფქარს № 2 ისევე, როგორც ყორღანს № 2, აღმოსავლეთის კედელი არ ჰქონდა. საბით-აღჩას ყორღანში „დასაკრძალავი დარბაზის“ კედლები, ყორღან № 2-ის მსგავსად, მოზრდილი ქვებისაგან შედგებოდა. ჩვენი ყორღანები იმით განსხვავდებოდნენ თრიალეთურებისაგან, რომ მათ დარბაზის ორთვე მხოლოე გვერდითი სათავსები ჰქონდათ. ზურტაკეტის პლატოზე შესწავლილი ყორღანები მიეკუთვნება თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის „დადი ყორღანების ბრწყინვალე კულტურას“. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია კერამიკა. აქაც გვხვდება შეპრიალა ვარდისფერსარჩულიანი თიხის ჭურჭელი, შემკული თრიალეთური კერამიკისათვის დამახასიათებელი ორნამენტით: ირიბი ან სწორი ჭდეული წერტილებით შექ-

მნილი ხაზებით ამოკლებული სარტყლები, სამკუთხედები, ტენილი ხაზები, წვრილად ამოღარული ხაზებისაგან შექმნილი ბადეები, „ისრისებრი“ ორნამენტი და სხვ. გვხვდება აგრეთვე წყვილ-წყვილი კოპებით შემკული ჭურჭელი. ნიშანდობლივია, რომ ყორღანში № 1 შეგვხვდა აგრეთვე ნაცრისფერი, შედარებით თხელკედლიანი კერამიკა. ამ ტიპის თიხის ჭურჭელი ცნობილია ოქმი-ს ორივე ყორღანში. ყორღან № 2-ის სათავსში აღმოჩნდა ერთი დიდი ზომის დერგი ორი პატარა ფართო ყურით. ეს ჭურჭელი შეავრიალა კერამიკასთან შედარებით უფრო უხეშია. მსგავსი ჭურჭელი აღმოჩნდა აგრეთვე ყორღან № 1-ის „დასაკრძალავი დარბაზის“ გარეთ ქვაყრილში. ამ ტიპის ჭურჭელიც, ჩანს, გვხვდება თრიალეთის ყორღნებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამავე სათავსში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომლებსაც რელიეფური სპირალა ამკობდა. ამ ტიპის ორნამენტი, როგორც ცნობილია, გვხვდება ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კერამიკაზე ([5], გვ. 58). შუაბრინჯაოს ხანაში ეს მოტივი თითქმის არ ჩანს. თრიალეთში ამ პერიოდის ყორღნებში მხოლოდ ორგან შეგვხვდა სპირალური ორნამენტით შემკული ჭურჭელი (ყორღნები № 9 და № 18). ბ. კუფტინმა თავის დროზე აღნიშნა, რომ ეს კერამიკა მიუთითებს რაღაც კავშირზე წინამორბედი პერიოდის ჭურჭელთან (3, გვ. 26).

ბრინჯაოს ნევთებიდან ყორღან № 1-ში აღმოჩნდა ბუნეიკი, სამაჯური და რგოლი. მსგავსი თავგახსნალი რგოლი ნაპოვნია აგრეთვე ყორღან № 2-ში. ამგვარი რგოლები ცნობილია ამ პერიოდის მასალებიდან (ქვასათალი, ნული). სამაჯური შედარებით პატარა ზომისაა (d—3, 4 სმ, სურ. 2, 10), თავები ოდნავ გადადებული აქვს. თრიალეთის ამ პერიოდის ყორღნებში სამაჯური თითქმის არ გვხვდება. მსგავსი თავშეკრული სამაჯური აღმოაჩინა ბ. კუფტინმა 1940 წ. თოქჯარ № 1-ში. რამდენადმე განსხვავებული თავგახსნილი სამაჯური ნაპოვნია საბიდ-ახჩას № 1 ყორღანში ([4], გვ. 9). სამაგიეროდ თავგახსნილი სამაჯურები კარგადაა ცნობილი ამ პერიოდის ნულისა და ქვასათალის კოლექტიური სამარხებიდან ([6], გვ. 27).

ბრინჯაოს ბუნეის გუშმათისებური თავი აქვს (ბუნეის სიგრძე 1,4 სმ), მასრა მოკლეა (სიგრძე — 0,7 სმ, დიამეტრი — 1,2 სმ, სურ. 2, 11). ბუნეიკი შუაბრინჯაოს ხანის მასალებში ჩვენში ცნობილი არ იყო. ამ ტიპის ნივთი კარგადაა ცნობილი შომდევეო ხანის ძეგლებში. მაგრამ ეს ბუნეიკები განსხვავებული ფორმისაა.

იარაღისგან ყორღანებში აღმოჩნდა მხოლოდ ობსიდიანის ისრისპირბი. ოთხივე ისრის პირი ერთი ტიპისაა, სამკუთხა მოყვანილობის, სწორფუძიანი (სურ. 2, 13, 14, 15). ისრისპირები უხეშადაა დამუშავებული და საგრძნობლად განსხვავდებიან თრიალეთში და საერთოდ ჩვენში ამ პერიოდში გავრცელებული ფუძეამოღარული, კარგად დამუშავებული ისრისპირებისაგან. სწორფუძიანი სამკუთხა ისრისპირები ჩვენში საერთოდ მეტად იშვიათია. რამდენადმე უახლოვდება ამ ისრისპირებს ბ. კუფტინის მიერ აენევის ყორღანში აღმოჩენილი კაციის ისრისპირი.

ყორღანში № 2-ში აღმოჩნდა რამდენიმე ოქროს მძივი შინდის კურკის ფორმისა. იგი ოქროს ფურცლისაგანაა ნაკეთები, ბოლოებგადადებული. ამ ტი-

პის მძივები ჩვენში ცნობილია შუაბრინჯაოს პერიოდიდან. სერდოლიკის მძივები სხვადასხვა ზომისა და ფორმისაა. გვხვდება ბირთვისებრი, „დახერხილი“. კასრისებრი, ბრტყელი და სხვა ფორმის მძივები. მომცრო ზომის სერდოლიკის მძივები შედარებით უხეშადაა ნაკეთები. ამგვარი მძივები გვხვდება თრიალეთის ყორღანულ სამარხებში. ე. წ. „დახერხილი“ მძივები, როგორც ჩანს, ჩვენში გამოჩენას იწყებს შუაბრინჯაოს ხანაში. ეს ტიპი მძივისა კარგადაა ცნობილი გვიანბრინჯაოს ხანის აღრეულ საფეხურზე (7, გვ. 93). ყორღან № 2-ში აღმოჩენილია ორი ბრტყელი, გვერდებდაწინაგებული სერდოლიკის მძივი. ამგვარი მძივებიც გვხვდება თრიალეთის ყორღანებში და მომდევნო საფეხურის მასალებშიც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ე. წ. მინისებრი პასტის მძივები. ეს მძივებიც სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ფერის აღმოჩნდა. ცილინდრული მძივები ნაპოვნია როგორც ცისფერი, ისე თეთრი, როგორც ჩანს, აქ ერთი ასხმა თეთრი მძივებისა იყო (სურ. 2, 6),—მეორე კი ცისფერისა (სურ. 2, 4). თითოეულ ასხმას შესაბამისი ფერის ორ-ორი მსხლისებრი ფორმის საკიდი ახლდა. თეთრი მძივების ასხმაში გვხვდება აგრეთვე მოკლე ცილინდრული მძივები. ცილინდრული ფორმის პასტის მძივები, როგორც ჩანს, გამოჩენას იწყებს შუაბრინჯაოს ხანაში. მსგავსი ფორმის მძივები ცნობილია ჩრდილოკავკასიური მასალებიდან ([8], გვ. 119, ტაბ. II; 9, გვ. 262, 28), ტაბ. VII, 5). ვხვდებით მათ ძველალმოსავლურ მასალებშიც (მაგ. პისარ III; II, გვ. 223). და სხვ. როგორც ჩანს, ჩვენში ამ ტიპის მძივებმა საკმაოდ გვიანობამდე შემოინახა თავი (2, ტაბ. XXI). რაც შეეხება მსხლისებრ საკიდებს, ისინი მოგვაგონებენ ჩვენში ბრინჯაოს ხანაში გავრცელებულ ბრინჯაოს საკიდებს.

ყორღან № 1-ში აღმოჩნდა სამკუთხა ფორმის მინისებრი პასტის მოგრძო სამკუთხა ცისფერი მძივები, რომლებსაც წახანაგები დაკბილული აქვს (სურ. 2, 5). ასეთივე მძივები აღმოჩნდა აგრეთვე უფრო მოგვიანო ხანის წინწყაროს სამაროვანში (2, ტაბ. XXXIII). აღსანიშნავია აგრეთვე, რომ აქ ნაპოვნი ორი მძივი ერთი ცილინდრული ფორმისაა, რომელსაც ორ მწკრივად ხუთ-ხუთი კოპი აქვს; მეორე კი, მრგვალი და ბრტყელი, ურთიერთგადამკვეთი ამოდარული ხაზებითაა შემკული (სურ. 2, 19). მსგავსი კოპებიანი მძივები, აგრეთვე ცისფერი პასტისა, ახლან აღმოჩნდა ლილოში შუაბრინჯაოს ხანის ყორღანში საქვერებელ მახვილთან ერთად. კოპებიანი მძივები გვხვდება ამ პერიოდში ჩრდილო კავკასიაში (10 კვ, 58). როგორც ჩანს, ეს მძივები თრიალეთში მომდევნო ხანაშიც განაგრძობს არსებობას (2, ტაბ. XXXII). საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ყორღანებში სხვადასხვა ფორმის მინისებრი პასტის მძივები უკვე საკმაოდ გავრცელებული ჩანს. როგორც ფორმით, ისე კაზმით ეს მძივები ახლოს დგანან ყორღან № 1 და № 2-ში აღმოჩენილ ამგვარსავე მძივებთან. როგორც ჩანს, თრიალეთში მინისებრი პასტის მსგავსი მძივები საკმაოდ დიდხანს არსებობდნენ. წვრილი პასტის მძივები საკმაოდ კარგადაა ცნობილი ჩვენში შუაბრინჯაოს ხანიდან მოკიდებულად.

№ 1 ყორღანში აღმოჩნდა ბრტყელი პასტის ხუთი დილაკი (სურ. 2, 8). ცალი გვერდი მათ ბრტყელი აქვთ, მეორე კი ამოზურგული. ოთხი დილაკი ცის-

ფერა, ერთი კი შავი. ცისფერ ღილაკებს ამოზურგულ ნაწილზე უწესოდ განლაგებული კოხები აზით. შავი ღილაკი ინკრუსტირებულია მოყვითალო ფერის პასტით. მსგავსი ღილაკები ჩვენთვის სხვა უცნობაა.

აღსანიშნავია ყორღან № 1-ში ნაპოვნი ერთი მოზრდილი პასტის მძივსაკადი, როგორც ჩანს, ცისფერი ჭიქურით (სურ., 2, 1). ეტყობა, ამ პერიოდში უკვე ცნობილი ყოფილა ცისფრად მოჭიქული მძივები. თრიალეთის ყორღანებში ნაპოვნია მოზრდილი ჭიქურიანი მძივები (2, ტაბ. XXII). მოჭიქულა ჩანს აგრეთვე სამთავროს ყორღანულ სამარხში აღმოჩენილი ბროლის მძივი (7, გვ. 94). ჭიქურით იყო დაფარული აგრეთვე ჩვენს ყორღანებში ნაპოვნი პასტის რამდენიმე წვრილი მძივი.

რაც შეეხება ყორღან № 1-ში აღმოჩენილ რიყის ქვის ბრტყელ გახვრეტულ საკიდს (სურ., 2, 9), იგი საერთოდ ძალიან კარგადაა ცნობილი სხვადასხვა დროის მასალებში. თრიალეთში მათ ვხვდებით აგრეთვე უფრო მოგვიანო ხანის სამარხებში (2, სურ. 50, 87). აღსანიშნავია, რომ სირიაში ამ ტიპის საკიდები აშუქის თათქმის ყველა ფაზაში გვხვდება (12, სურ. 100, 134, 167, 207).

ზურტაკეტის პლატოზე გამოვლენილი ყორღნები მიეკუთვნება თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის „დიდი ყორღნების ბრწყინვალე კულტურას“. ყორღნები „დასაქრძალავი დარბაზით“, როგორც ჩანს, ამ კულტურის მოგვიანო საფეხურს უნდა მიეკუთვნებოდეს. ამ ტიპის ყორღანებში უკვე გვხვდება ისეთი ნივთები, რომლებიც მომდევნო საფეხურისთვისაა დამახასიათებელი (4, გვ. 34). ამიტომ, ჩვენი აზრით, ამ ჯგუფის ყორღნების თარიღი უნდა მიუახლოვდეს II ათასწლეულს პირველი ნახევრის ბოლო საუკუნეებს.

თბილისის სხეობწოდ
 უნივერსიტეტი

(ბედაქიას ცოფედა 15.11.1962)

АРХЕОЛОГИЯ

О. М. ДЖАПАРИДЗЕ

ЗУРТАКЕТСКИЕ КУРГАНЫ

Резюме

Объединенная археологическая экспедиция Музея искусств Грузии и Тбилисского государственного университета в 1959 г. во время разведок в Дманисском районе, на Гомаретском плато, в Зуртакети обнаружила группу курганов. Курганы здесь встречаются в основном в местечке «Орташуг». Курганы внешне не отличаются от курганов Цалкского плоскогорья. Здесь также встречаются курганы разной величины с каменной и каменно-земляной насыпью. В 1959 г. экспедиция изучила три кургана. В центральной части кургана № 1 находился «погребальный зал». Стены зала были сложены из плитняка. Вход был расположен в восточном углу северо-восточной стены. Первоначальные размеры зала были, по-видимому, больше. Впоследствии, в виду каких-то

обстоятельств, возможно, связанных с перекрытием, размеры зала были несколько уменьшены (рис. 1). В средней части юго-восточной и северо-западной стен зала были пристойки.

Вдоль стен зала стояли раздавленные глиняные сосуды. Предметы встречались в юго-западной части зала (бронзовый браслет, бронзовый набалдашник, обсидиановая стрелка, пастовые и сердоликовые бусы, пастовые пуговицы и др. рис. 2).

В средней части кургана № 2 находился прямоугольный «погребальный зал», стены которого были выложены большими камнями, насухо. (рис. 3). Восточной стены у зала не было. С южной и северной стороны здесь также имелись пристройки. Предметы в этом кургане встречались в западной части (золотые и сердоликовые бусы, обсидиановый наконечник стрелы, глиняные сосуды и др.).

Курганы Зуртакетского плато относятся к среднебронзовой эпохе «цветущей поры больших триалетских курганов». Курганы с «погребальными залами», по-видимому, относятся к более поздней стадии этой культуры. В этих курганах встречаются предметы, которые уже характерны для последующего периода. Поэтому мы считаем, что курганы этой группы можно отнести к концу первой половины II тысячелетия до н. э.

დავითმეცნიერული ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეურსა საქართველოა, თბილისი, 1941.
2. Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети. Тбилиси, 1941.
3. Б. А. Куфтин, Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе. Тбилиси, 1948.
4. თ. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში 1947 - 1948 წწ. თბილისი, 1960.
5. თ. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბილისი, 1961.
6. О. М. Джанаридзе, Квасатальский могильник эпохи бронзы в Юго-Осетии. КСИИМК, вып. 60. Москва, 1955.
7. ტ. ჩუბინიშვილი, ძეგლის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი, 1957.
8. А. П. Круглов, Б. Б. Пиотровский и Г. В. Подгаецкий: Могильник в г. Нальчике, МИА, № 3. М.-Л., 1941.
9. Б. Е. Деген, Курганы в Кабардинском парке г. Нальчика, МИА, № 3, М.-Л., 1941.
10. Е. И. Крупнов, Материалы по археологии Северной Осетии докобанского периода. МИА, № 23. М.-Л., 1951.
11. E. F. Schmidt, Excavations at Tepe-Hissar, Damghan. Philadelphia, 1937.
12. R. Braidwood and L. Braidwood, Excavations in the Plain of Antioch. Chicago, 1960.

ზეღოშერილია დასაბეჭდად 22.6.1963; შეკვ იმ 506; ანაწყობის ზომა 7×11;
ქაღალდის ზომა 70×108; სააღრიცხვო-საგამომც. ფურცლების რაოდენობა 20;
ნაბეჭდი ფურცლების რაოდენობა 16; უე 03734; ტირაჟი 1400.

Подписано к печати 30.7.1963; зак. № 506; размер набора 7×11; размер
бумаги 70×108; количество уч.-изд. листов 20; количество печатных
листов 16; УЭ 03734; тираж 1400

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა, გ. ტაბიძის ქ. № 3/5
Типография Издательство Академии Наук Грузинской ССР, ул. Г. Табидзе, № 3/5

შ ო ბ ა ა რ ს ი — С О Д Е Р Ж А Н И Е — C O N T E N T S

მათემატიკა—МАТЕМАТИКА—MATHEMATICS

Г. И. Сулхანიшвили. О численном решении обобщенного полигармонического неоднородного уравнения	3
*გ. ს უ ლ ხ ა ნ ი შ ვ ი ლ ი. განხილული არაერთგვაროვანი პოლიჰარმონიული განტოლების რიცხვითი ამოხსნის შესახებ	7
Д. П. Зерагия. О решении задачи Дирихле для некоторых нелинейных уравнений эллиптического типа	9
*ჯ. ზ ე რ ა გ ი ა. დირიხლეს ამოცანის ამოხსნის შესახებ ზოგიერთი ელიფსური ტიპის არაწრფივი განტოლებისათვის	14
Ш. С. Пхакадзе. Разложение меры	15
*შ. ფ ხ ა კ ა ძ ე. ზომის დაშლა	22
დამატების თეორია—ТЕОРИЯ УПРУГОСТИ—THEORY OF ELASTICITY	
И. А. Зоненашвили. Об одной задаче изгиба упругой пластинки	23
*ი. ზ ო ნ ე ნ ა შ ვ ი ლ ი. ფირფიტის ლუნვის ერთ შერეული ამოცანის შესახებ	30

ფიზიკა—ФИЗИКА—PHYSICS

Г. М. Мирианашвили, А. А. Бурчуладзе, Н. Я. Кирикашвили, Д. И. Баазов. Малофонная установка для измерения слабых активностей	31
*გ. მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ა. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, ნ. კ ი რ ი კ ა შ ვ ი ლ ი, დ. ბ ა ა ზ ო ვ ი. მცირეფონიანი დანადგარი სუსტი გამოსხივების გასაზომად	35

მეტეოროლოგია—МЕТЕОРОЛОГИЯ—METEOROLOGY

А. Г. Джапаридзе. Опыт прогноза атмосферного давления по Закавказью с помощью эмпирических функций влияния	37
*ა. ჯ ა პ ა რ ი ძ ე. ატმოსფეროს წნევის პროგნოზის ცდა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გაულენის ემპირიული ფუნქციების საშუალებით	44

ქიმია—ХИМИЯ—CHEMISTRY

ლ. ბ ე რ ე ე ი ა ნ ი. სტვარინის მკვება—პალმიტინის მკვებას სისტემაში მოლეკულური ნაერთის ბუნების საკითხისათვის	45
*ლ. ბ. Бережнани. К вопросу о природе молекулярного соединения в системе стеариновая кислота—пальмитиновая кислота !	51

ბიოქიმია—БИОХИМИЯ—BIOCHEMISTRY

М. М. Заалишвили и С. В. Джибладзе. О природе сократительных белков тонических и тетанических скелетных мышц	53
*მ. ზ ა ა ლ ი შ ვ ი ლ ი და ს. ჯ ი ბ ლ ა ძ ე. ჩონჩხის ტონური და ტეტანური კუნთის შემკვებადი ცილების ბუნების შესახებ	60

* ვარსკვლავით აღნიშნული სათაური გვეთვნის წინა წერილის რეზიუმეს ან თარგმანს.
 * Заглавие, отмеченное звездочкой, относится к резюме или к переводу предстоящей статье.
 * A title marked with an asterisk applies to a summary or translation of the preceding article.



გეოგრაფია—ГЕОГРАФИЯ—GEOGRAPHY

Э. Д. Церетели. К вопросу морфологии южной части Рачинской депрессии 61

*ე. წერეთელი. რაჭის დებრესიის სამხრეთ ნაწილის მორფოლოგიის საკითხისათვის 66

გეოლოგია—ГЕОЛОГИЯ—GEOLOGY

მ. ყუფარაძე. მუსკეტოვითიზაციის საკითხისათვის ძამის რკინამადნთან საბადოზე 67

*М. Д. Купарадзе. К вопросу мушкетовитизации на Дзамском железорудном месторождении 73

შ. ხეჭუაძე. რიონ-ყვირილის წყალგამყოფის პალეოგენო-ნეოგენური გეოლოგიური განვითარების ისტორიისათვის 75

*Ш. Х. Гегучадзе. К палеоген-неогеновой истории геологического развития водораздела Риони-Квирила 81

პეტროგრაფია—ПЕТРОГРАФИЯ—PETROGRAPHY

ა. ნოსოვი. ახალი მონაცემები დუშეთის რაიონის ტუტე ტრაქიტული ქანების შესახებ 83

*А. А. Носов. Новые данные о щелочных трахитовых порфирах Душетского района 87

პალეობიოლოგია—ПАЛЕОБИОЛОГИЯ—PALAEOBIOLOGY

ბ. დოლიძე და ლ. ქვლიძე. კოლხეთის სუროს გეოლოგიური ისტორიისათვის 89

*Ж. Ш. Долидзе и Л. Т. Челидзе. К геологической истории колхидского плюща 93

სპელეოლოგია—СПЕЛЕОЛОГИЯ—SPELEOLOGIA

ზ. ტინტილოზოვი. კალციტური ოლითები და პიზოლითები აფხაზეთის მღვიმეებში 95

*З. К. Тинтилозов. Кальцитовые оолиты и пизолиты в пещерах Абхазии 98

ტექნიკა—ТЕХНИКА—ENGINEERING GENERAL

ა. ბერაია. მსხვილპანელიანი შენობების ანგარიში სესიმურ ზემოქმედებაზე 101

*А. Г. Берая. Расчет крупнопанельных зданий на сейсмическое воздействие 106

საშენიანო მექანიკა—СТРОИТЕЛЬНАЯ МЕХАНИКА—STRUCTURAL MECHANICS

მ. გომეზიშვილი. ნიდაგ-გრუნტების წებვადობის განსაზღვრის ახალი მეთოდისა და ზღლსაწყოს საკითხისათვის 109

*В. В. Гдзелишвили. К вопросу о новом методе и приборе для определения липкости почво-грунтов 115

ენერგეტიკა—ЭНЕРГЕТИКА—POWER ENGINEERING

М. Г. Джигаури. О методике определения календарных границ прохождения расчетного паводка через энергетическое водохранилище 117

*მ. ჯიღაური. ენერგეტიკულ წყალსაცავში სანგარიშო ხარჯის გავლის კალენდარული საზღვრების დადგენის მეთოდის შესახებ 123

მეტალურგია—МЕТАЛЛУРГИЯ—METALLURGY

Ю. М. Гогиберидзе, М. А. Кекелидзе, Ш. М. Микиашвили. Влияние фосфора на поверхностное натяжение и плотность железа 125



*ი. გოგობერიძე, მ. კეკელიძე, შ. მიქიაშვილი. ფოსფორის გავლენა რძეპირფარეზის ზედაპირულ დაჭიმულობასა და სიმკვრივეზე 130

სამთო სამუშაო—ГОРНОЕ ДЕЛО—MINING

- ა. ძიძიგური (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი), შ. ონიანი, რ. სარინჯეი. ტვიზულ-შაორის ქვანახშირის საბადოს სამთო ქანების თბოფიზიკური თვისებების შესწავლისათვის 131
- *А. А. Дзидзигури (член-корреспондент Академии Наук Грузинской ССР), Ш. И. Ониани, Р. А. Сарычев. Исследование теплофизических свойств горных пород Тквибули-Шаорского каменноугольного месторождения 137

მცენარეთა ფიზიოლოგია—ФИЗИОЛОГИЯ РАСТЕНИЙ—PHYSIOLOGY OF PLANTS

- თ. ჭკუასელი და დ. კოტაევა. ვახის ფესვი პიგმენტების არსებობის შესახებ 139
- *Т. Я. Чукаели и Д. В. Котаева. Пигменты корневой системы виноградной лозы 142

ფიტოპათოლოგია—ФИТОПАТОЛОГИЯ—PHYTOPATHOLOGY

- ა. მჭავანაძე. მასალები კეთილშობილი დაუნეს ყავისფერი ლაქიანობის გამომწვევი ორგანიზმის შესწავლისათვის 143
- *А. В. Мжаванадзе. Материалы к изучению возбудителя пятнистости листьев лавра благородного 146

ენტომოლოგია—ЭНТОМОЛОГИЯ—ENTOMOLOGY

- კ. ხარაზიშვილი. მერქნიანი ჯიშებისათვის შთის ჰიქინოზელას... მავნეობის შესახებ საქართველოში 149
- *К. В. Харазшвили. О вредности горной цикады древесных пород в Грузии 153
- ა. კოლოკაევა. მთათშეთის ცხვირგრძელა ხოჭოების... ფაუნის სახეობრივი შემადგენლობის შესწავლისათვის 155
- *А. О. Чолокава. К изучению видового состава фауны долгоносиков... Мта-Тушети 160

ზოოლოგია—ЗООЛОГИЯ—ZOOLOGY

- ბ. ბესტაევაშვილი. ...ნიმფის შესწავლისათვის 163
- *Н. З. Беставашвили. К познанию нимф 165
- Л. А. Гомелаури. Новый род и виды хищных клещей 167
- *ლ. გომელაური. მტაცებელი ტიპების ახალი გვარი და სახეობები 169

ფიზიოლოგია—ФИЗИОЛОГИЯ—PHYSIOLOGY

- შ. გუგუშაშვილი. ადამიანის სხეულის სითბვისა და მკვრივ ნივთიერებათა ფიზიოლოგიური თანაფარდობის საკითხისათვის 171
- *Ш. И. Гугешашвили. К вопросу о физиологическом соотношении жидкостей и плотных веществ тела человека 177
- თ. კობახიძე. ძოწი სათითურასა და ქანკოვანა სათითურას არტერიულ წნევაზე შედარებითი მოქმედების შესწავლისათვის 179
- *Т. Д. Кобахидзе. К сравнительной оценке действия пурпуровой и ржавой наперстянок на артериальное давление 186
- ა. სიხარულიძე და ნ. ბოსტოლანაშვილი. ზოგიერთი მონაცემი შიზოფრენიის დროს შეკავების პროცესისა და მიპოქსიის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ 187



*А. И. Сихарулидзе и Н. И. Бостоганашвили. К вопросу о взаимоотношении между тормозным процессом и гипоксией при шизофрении 192

ანატომია—АНАТОМИЯ—ANATOMY

ქ. აბაშიძე. კანის საინერვაციო მექანიზმების მდგომარეობის საკითხისათვის ექსპერიმენტული ელექტროტრაზმის დროს 195

*К. Абашидзе. К вопросу состояния иннервационных механизмов кожи при экспериментальной электротравме 201

კლინიკური მედიცინა—КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА—CLINICAL MEDICINE

ბ. კალანდაძე. კუჭის ტუბერკულოზის შესწავლის საკითხისათვის 203

*Н. И. Каландадзе. К вопросу изучения туберкулеза желудка 205

ა. მინდაძე. ლუმბალური პუნქციის გავლენა სხეულის ტემპერატურაზე 207

*А. А. Миндадзе. Влияние люмбальной пункции на температуру тела 212

ე. ბეჟანიშვილი. მრგვალი წამლის მშრალი ექსტრაქტი... თერაპიული ეფექტი ანაციდური და სუბაციდური გასტრიტების დროს 215

*Е. Н. Бежанишвили. Терапевтическая эффективность сухого экстракта отавника... при субацидных и анацидных хронических гастритах 219

М. Г. Авалишвили. Функциональное состояние коры надпочечников в связи с лечением язвенной болезни некоторыми лечебными средствами 221

*მ. ავალიშვილი. თირკმელზედა ჯირკვლის ქერქოვანი ნაწილის ფუნქციური მდგომარეობა წყლულოვანი დაავადების ზოგიერთი სამყურნალო საშუალების გამოყენებასთან დაკავშირებით 225

ა. კირვალიძე. პერკუტორული მტკივნეულობის ზონა მწვავე აპენდიციტის დროს 227

*А. З. Кирвалидзе. Зона перкуторной болезненности при остром аппендиците 230

ლიტერატურათმცოდნეობა—ЛИТЕРАТУРОВЕДЕНИЕ—LITERARY CRITICISM

Г. Г. Орагвелидзе. О некоторых функциях рифмы в поэзии В. Маяковского 233

*გ. ორაგველიძე. რითმის ზოგიერთი ფუნქციის შესახებ ვ. მაიაკოვსკის პოეზიაში 240

ე. ხინთიბიძე. ერთი კომენტარი ექვთიმე ათონელის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ 241

*Э. Г. Хинтибидзе. Комментарий о литературном наследстве Евфимия Афонского 244

არქეოლოგია—АРХЕОЛОГИЯ—ARCHAEOLOGY

თ. ჯაფარიძე. ზურტაკეტის ყორღანები 247

*О. М. Джапаридзе. Зуртакетские курганы 254

ПОЛОЖЕНИЕ О «СООБЩЕНИЯХ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР»

1. В «Сообщениях Академии Наук Грузинской ССР» публикуются статьи научных работников Академии Наук Грузинской ССР и других ученых, содержащие сжатое изложение основных результатов их исследований.

2. «Сообщениями» руководит редакционная коллегия, избираемая общим собранием Академии Наук Грузинской ССР.

3. «Сообщения» выходят ежемесячно отдельными выпусками приблизительно в объеме 16 печатных листов каждый. Выпуски каждого квартала (три выпуска) составляют один том.

4. Статьи должны быть представлены на двух языках: на грузинском и русском. На одном из них, по желанию автора,—полный текст, а на другом языке—краткое изложение основного текста.

5. Объем статьи, включая иллюстрацию, не должен превышать 20.000 типографских знаков (8 страниц журнала). Разделение статьи на отдельные части для опубликования в разных выпусках «Сообщений» не допускается.

6. Статьи действительных членов и членов-корреспондентов Академии Наук Грузинской ССР сдаются непосредственно в редакцию «Сообщений» для опубликования, а статьи других авторов публикуются только по представлению действительных членов или членов-корреспондентов Академии. Статьи, поступившие без представления, направляются редакцией одному из действительных членов или членов-корреспондентов Академии на рассмотрение, с тем чтобы в случае положительной оценки статья была представлена для опубликования.

7. Статьи (а также соответствующие иллюстрации и чертежи) должны быть представлены автором в одном экземпляре, в совершенно готовом для печатания виде. Формулы должны быть четко вписаны в текст от руки. Текстовые части из иллюстраций должны быть выполнены на обоих языках. Никакие исправления и добавления после принятия к печати не допускаются.

8. Данные о цитированной литературе должны быть по возможности полными: необходимо указать полное заглавие статьи, название журнала, в котором опубликована статья, номер серии, тома, выпуска, год издания; если имеется ссылка на книгу, то необходимо указать полное наименование книги, место и год издания.

9. Цитируемая литература должна приводиться в конце статьи в виде списка. При ссылке на литературу в тексте статьи или в подстрочных примечаниях следует указывать номер по списку, закаячая его в квадратные скобки.

10. В конце текста статьи автор на соответствующем языке должен указать название и местонахождение того научного учреждения, где выполнена работа.

Статья датируется днем поступления ее в редакцию.

11. Автору представляется одна корректура в сверстанном виде на строго ограниченный срок (не более двух дней). В случае невозвращения корректуры к сроку редакция вправе приостановить печатание статьи или напечатать ее без визы автора.

12. Автор получает бесплатно 25 оттисков своей статьи.

АДРЕС РЕДАКЦИИ: ТБИЛИСИ, УЛ. ДЗЕРЖИНСКОГО, 8.

Телефон 3-03-52

1205
დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდიუმის მიერ 28.3.1963.

„საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გოაზისი“

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მონაბეში“ იბეჭდება აკადემიის მეცნიერი მუშაკებისა და სხვა მეცნიერთა წერილები, რომლებშიც მოკლედ გამოთქმულია მათი გამოკვლევების მთავარი შედეგები.
2. „მონაბეში“ ხელმძღვანელობს სარედაქციო კოლეგია, რომელსაც ირჩევს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება.
3. „მონაბეში“ გამოდის თვეში ერთხელ, ცალკე ნაკვეთებად, დაახლოებით 16 ბეჭდური თაბახი. ყოველი კვარტალის დასაწყისში იბეჭდება ერთ ტომში.
4. „მონაბეში“ დასაბეჭდად წერილები წარმოადგენს უნდა იქნეს ორ ენაზე: ქართულად და რუსულად. ერთ-ერთ მათგანზე, ავტორის სტრუქტურისაგან, — სრული ძირითადი ტექსტი ხოლო მეორეზე — ძირითადი ტექსტის შემოკლებული გამოცემა.
5. წერილის მოცულობა (ორივე ტექსტისა), ილუსტრაციების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს 20.000 სასტანდო ნიშანს (ჟურნალის 8 გვ. რაოდენობა); არ შეიძლება წერილის დაყოფა ნაწილებად სხვადასხვა ნაკვეთში გასაქვეყნებლად.
6. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების წერილები უშუალოდ გადაეცემა დასაბეჭდად „მონაბეშის“ რედაქციას, ხოლო სხვა ავტორების წერილები იბეჭდება აკადემიის ნამდვილი წევრის ან წევრ-კორესპონდენტის წარდგინებით. წარდგინების გარეშე შემოსულ წერილს „მონაბეშის“ რედაქცია გადასცემს აკადემიის რომელიმე ნამდვილ წევრს ან წევრ-კორესპონდენტს განსაზღვრულად, რათა მან, დადებითად შეუახების შემთხვევაში, წარმოადგინოს იგი დასაბეჭდად.
7. წერილები (ავტორთა სათანადო ილუსტრაციები და ნახაზები) ავტორმა უნდა წარმოადგინოს თითო ცალკედ, დასაბეჭდად საეგზეტი მონახაზდებულად. ფორმულები ზელოთ უნდა იყოს ჩაწერილი ტექსტში მკაფიოდ. ილუსტრაციებზე ტექსტობრივი წარწერები ორივე ენაზე უნდა იყოს შესრულებული. წერილის დასაბეჭდად მიღების შემდეგ ტექსტში შესწორებებისა და დამატებების შეტანა აღ.რ შეიძლება.
8. დამოწმებული ლიტერატურის შესახებ მონაცემები შეძლებისდაგვარად სრული უნდა იყოს: საჭიროა აღინიშნოს წერილის სრული სათაური, სახელწოდება ჟურნალისა, რომელშიც დაბეჭდილია წერილი, ნომერი სერიისა, ტომისა, ნაკვეთისა, გამოცემის წელი; თუ დამოწმებულია წიგნი, საკლდედებულა წიგნის სრული სახელწოდების, გამოცემის ადგილისა და წლის მითითება.
9. დამოწმებული ლიტერატურის სია წერილს ერთგვარ ბოლოში. ლიტერატურის მისათითებლად ტექსტში თუ შენიშვნებში კვადრატულ ფრაზილებში ნაჩვენებია უნდა იქნას შესაბამისი ნომერი სიის მიხედვით.
10. წერილის ტექსტის ბოლოს ავტორმა შესაბამის ენაზე უნდა აღნიშნოს იმ დაწესებულების სახელწოდება და ადგილმდებარეობა, სადაც შესრულებულია ნაშრომი. წერილი თარიღდება რედაქციაში შემოსვლის დღით.
11. ავტორს ექვლევა გვერდებზე შეკრული ერთი კორექტურა მკაცრად განსაზღვრული ვადით (ჩვეულებრივად არა უმეტეს ორი დღისა). თუ კორექტურა დადგენილი ვადისათვის არ იქნა წარმოადგენილი, რედაქცია უფლება აქვს შეაჩეროს წერილის დაბეჭდვა ან დაბეჭდოს იგი ავტორის ვიხის გარეშე.
12. ავტორს უფასოდ ექვლევა მისი წერილის 25 ამონაბეჭდი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ძმ. შინგარიძის ქ. 8
ტელეფონი 3-03-52